

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

გ. ნ ი ო რ ა ძ ე

ელაზნის ველის გათხრები

74 სურათით, 14 ტაბულით და 1 რუკით

ბაიბიქდა სსრუ მიწნიორუმიტა აკადემიის
საქართუელის ფილიალის განვარტელუმიტ

თავმჯდომარუ ავად. ნ. მიხსსელიმიფილი

ბუდატფორი პრთფ. ს. ჯანაშია

ზ ი ნ ა ა რ ს ი

I საფლავები და მათში აღმოჩენილი ინვენტარი . . . 1—23

აღმოჩენის პირობები —1; ადგილმდებარეობა—1; საცდელი შურფები—3; სამარე 0-ის ინვენტარი—3; პირველი სამარე და მასში აღმოჩენილი ნივთები—5; მეორე სამარე და მისი ინვენტარი—8; მესამე საფლავის მდებარეობა, მისი ინვენტარი და მძივების ჭიმოური ანალიზი—10; მეოთხე „საფლავის“ ნივთები—12; მეხუთე საფლავი და მასში აღმოჩენილი ინვენტარი—13; შეეკესე სამარე და მისი ინვენტარი—17; შეეკესე სამარის ზოგიერთი ნივთების ჭიმოური ანალიზი—18; მეშვიდე საფლავი, მასში აღმოჩენილი ნივთები და ჭიმოური ანალიზი—20; შემთხვევით აღმოჩენილი კურკელი—22.

II ტიპოლოგიისათვის 24—28

I ტიპ. თუნგულა, II ტიპ. მოკლენისკარტიანი ხელადა, III ტიპ. მოკლენისკარტიანი ხელადა—24; IV ტიპ. კინჭილა, V ტიპ. მათარა, VI ტიპ. ორყურა ჩაფი—25; VII ტიპ. ორყურიანი თასი, VIII ტიპ. ნაპირებგადაშლილი ჯამი—26; IX ტიპ. სამფეხა თევში, X ტიპ. ქოთანი, XI ტიპ. ყურიანი ქოთანი, XII ტიპ. ყურიანი თასი, XIII ტიპ. ბრტყელფეხა ჩარა—26; XIV ტიპ. მალაღმენიანი ბარძიმი, XV ტიპ. დელფიკურთა—27.

III ადგილები, სადაც აღმოჩენილია ალაზნის ველის კოლექციის მსგავსი ნივთები 28—58

სოფ. კიაური—28; სოფ. ჩუმლაყი—29; ქ. თბილისი—31; სოფ. ანთოკი—31; სოფ. წინანდალი—32; მდ. ალაზნის პირი—34; სოფ. ანაგა—35; სოფ. პატარძელი—36; სოფ. ძველი გავაზი—36; სოფ. ქვემო ხოდაშენი—36; გურჯაანი—37; სოფ. იყალთო—38; სამთავრო—39; სოფ. ნიჯი—39; იალოილუ-თაფა—50; კიროვაბადის მხარე—51; სოფ. ამირჯანლუ—52; ყურუ-ყობა—53; გეოქ-თაფა—53; მილის ველი—53; მულანის ველი—54; დეგმე-დერე ანუ დეხმე-დერე—55; მოლლა-ისაკლი, მინგეჩაური, ჯეირან-ქეჩმა, ჩუხურ-იურთა ფილიფლი და ხოჯალა—55; სქემა—57.

IV ალაზნის ველის თიხის კურკლის საერთო დახასიათება და ზოგიერთი მათგანის გენეზისი . . 58—65

შავი და წითელი ფერის კერამიკა—58; დეკორატიული ელემენტები—59; სამფეხა თევშების გაკეთება—59; კურკლის ყურები—59; კონსტრუქციული ელემენტები—60; „ცხობის“ და „დნობის“ ტემპერატურა—60; არქაული ელემენტები—60; ბარძიმის ფორმის გამოყენება—60; კურკლის რთული ფორმების განვითარება მარტივი ფორმებიდან—61.

V ალაზნის ველის მძივების დახასიათება 65—66

მძივების შემადგენლობა—65; მძივების ფერი—66; მძივების დამუშავება—66; თერმიული ცდები მძივებზე—66.

- VI ლიტერატურა იალოილუ-თაფას კულტურ. შესახებ 67—71
 დ. შარიფოვის გათხრები იალოილუ-თაფაში—67; ტ. პასეკისა და
 ბ. ლატინინის წერილი იალოილუ-თაფას კულტურის შესახებ—68;
 ა. ტალგრენის რეცენზია იალოილუ-თაფას კულტურის შესახებ—69;
 ა. იესენის შრომა იალოილუ-თაფას კულტურაზე—69; ფ. ჰანჩარის
 იალოილუ-თაფას კულტურის შესახებ—70.
- VII ალაზნის ველის და სხვა ქვეყნების კერამიკის
 ერთიმეორესთან ნათესაობა 71—89
 კავკასიისა და წინააზიის კულტურების ერთიმეორესთან ნათესაო-
 ბა—71; ნისკარტიანი საწურიანი ჭურჭლის წარმოშობის ადგი-
 ლი—72; წყლით მომარაგების საკითხი პალესტინა-სირიაში—73;
 ნისკარტიანი საწურიანი ჭურჭლის გავრცელება მცირე აზიაში და
 სხვა ქვეყნებში—75; საწურიანი ჭურჭლის გამოყენება—75; სხვა
 ქვეყნების გავლენა ალაზნის ველის ნისკარტიან საწურიან ჭურჭელ-
 ზე—77; მცირე აზიის კერამიკის გავლენა სხვა ქვეყნების კერამიკა-
 ზე—77; სამფეხა თევზების წარმოშობის ადგილი და მათი გავრცე-
 ლება—78; ალაზნის ველის დელფიკურთა, მისი ანალოგები და და-
 ნიშნულება—81; მალაღ და დაბალფეხიანი კიურკელი—83; ვიწრო
 მრლანი კურკელი და მისი ანალოგები—84; „მილნისკარტიანი“
 დოქი—85; მათარა, მისი წარმოშობის ადგილი და განვითარება—86;
 ორყურა დერგი და მისი ანალოგები—87; ყურიანი კოჭობი და მისი
 ანალოგია—88.
- VIII ქრონოლოგიისათვის 89—92
 შარიფოვის, პასეკის, ლატინინის, ტალგრენის, იესენის და ჰანჩარის
 აზრი იალოილუ-თაფას კულტურის დათარიღების შესახებ—89;
 იალოილუ-თაფაში აღმოჩენილი ფული და მისი მნიშვნელობა ალაზ-
 ნის ველის კულტურის დასათარიღებლად—90; სკინდერის, როზენ-
 დორფის და ჰუმელის გათხრების მნიშვნელობა ალაზნის ველის
 კულტურის დასათარიღებლად—91; კუბოდ ხმარებული ქვევრის
 აღმოჩენა სამთავროში—92; ალაზნის ველის კულტურის დათარი-
 ლება—92.
- IX ალაზნის ველის კულტურის გავრცელების არე . . 92—94
 ალაზნის ველის კერამიკის გავრცელების სამი რაიონი—92.
 ალაზნის ველის კერამიკის გავრცელების რუკა 93
- X ალაზნის ველის კერამიკის გავრცელების გზები 94—96
 ალაზნის ველის კერამიკის მთავარი ტიპების შემოსელა წინააზი-
 იდან მულანისა და მილის ველების მხრიდან—94; ალაზნის ველის
 კერამიკის მკონე ხალხი—95.
- XI Раскопки в Алаванской долине 97—107
 XII Zusammenfassung und Ergebnisse 108—118
 XIII პირთა სახელების, ნივთების და ადგილთა მარჯვენებელი 119—128

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ი
სურათების და ტაბულების
ა) სურათები

	83
1 ალაზნის ველის საფლავეების მდებარეობის გეგმა .	2
2 კედელი და წიწვიანი ორნამენტი .	4
3 კონცენტრული წრეები ირიბად გაკეთებული ფართო ხოლებით	9
4 ორყურიანი თასის ხელებით დაკერა .	14
5 ჯამი კონცენტრული წრეების მაგვარად „ამოლარული“ .	15
6 ამოფხაპნილი ორნამენტი ზიგზაგით .	16
7 ანგობით გაკეთებული კონცენტრული წრეები და მათ შუა დეკორატიული მოტივი .	18
8 ფეხის გაკეთების სქემა .	22
9 რესტავირებული ბარძიმი .	23
10 თუნგულა მრგვალი ტუჩით, დიდი ზომის ყურით, რომელიც ტუჩის ხემო ნაპირს უერთდება .	24
11 ხელადა, რომლის პირის ნაპირების მოყვანილობა სამყურა ბალახის ფოთლის ფორმას გვაგონებს .	24
12 ხელადა გვერდზე მოწყობილი ყურით .	25
13 საწურიანი ხელადა .	25
14 გრძელნიკარტიანი საწურიანი ხელადა (ტიპ. IIIa) .	25
15 გრძელნიკარტიანი საწურიანი ხელადა (ტიპ. IIIb) .	25
16 ჰინჭილა, ვიწრო მოკლე მილით .	26
17 მათარა .	26
18 ორყურა ჩაფი .	27
19 ორყურა დერგი .	28
20 ორყურიანი თასი (ტიპ. VII) .	29
21 თასი ორყურიანი (ტიპი VIIa) .	29
22 თასი ცალყურიანი .	30
23 ნაპირებგადაშლილი ჯამი .	30
24 ჯამი ნაპირებისაკენ მოვიწროვებული .	30
25 ჯამი ნაპირებისაკენ გაფართოვებული .	31
26 სამფეხა თეფში .	31
27 ქოთანი .	32
28 ქოთანი ყურიანი .	32
29 ყურიანი თასი .	32
30 მრგვალიპირიანი ჩარა .	32
31 ორყურიანი ჩარა .	33
32 ბრტყელფეხიანი ჩარა .	33
33 ბარძიმი (ტიპი XIV) .	34
34 ბარძიმი (ტიპი XIVa) .	34
35 დელფიკურთა (ბირთვის მსგავსი სამფეხა ღრმა თასი) .	35
36 დელფიკურთა .	35
37 დუბლირებული მათარა .	35
38 სოფ. ჩუმლაყის მათარის განვითარების წარმოდგენა სქემატურად	36
39 მათარა (წინანდლიდან) .	37
40 დუბლირებული მათარა .	38
41 მათარა .	40
42 სამფეხა თეფში	40
43 „ამფორა“ .	41
44 დოკი .	42
45 დოკი .	42
46 „ბადია“ .	43
47 „ამფორა“ .	44
48 ორყურა ქოთანი .	45

49 ჯამი	45
50 ჯამი	45
51 კვაწია	45
52 ნისკარტიანი დოქი	46
53 კოკობი	46
54 ჭინჭილა, გვერდზე დატანებული ვიწრო მილით	46
55 ნისკარტიანი დოქი	46
56 ნისკარტიანი დოქი	47
57 „მილნისკარტიანი“ დოქი	47
58 ვიწროთავა ქოთანი	47
59 მათარა, რომელსაც ე. ლალაიანი იხსენიებს კარაქის საკეთებელ ამფორად	48
60 ორყურთიანი ქოთანი	49
61 ნისკარტიანი დოქი	49
62 ყურთიანი ჯამი	49
63 ალაზნის ველის თიხის ჭურჭლის ფორმების განვითარების სქემა. სურათზე მოცემულია ჭურჭლის ფორმები ზემოდან დახედვით	62
64 ალაზნის ველის თიხის ჭურჭლის ფორმების განვითარების სქემა	63
65 მათარის კრილი ბორცვის გასწვრივ	64
66 ჭურჭლები: Vortan-იდან, Alishar-იდან, იალოლიუ-თაფიდან, მილისა და ალაზნის ველებიდან	76
67 სამფეხა თევზები: Tépé Sialk-იდან და ალაზნის ველიდან	80
68 სამფეხა ჭურჭლები: Tépé Sialk-იდან და ალაზნის ველიდან	80
69 სამფეხა ჭურჭლები: ტრაიდან, Bos-Öjünk-იდან და ალაზნის ველიდან	82
70 სამფეხა ჭურჭლები: Tépé Gawra-დან, სეგანის ტბის მიდამოებიდან და სასირიეთიდან	83
71 ჩარები: აღიშარიდან, იალოლიუ-თაფიდან და ალაზნის ველიდან	84
72 ჭურჭლები: სუმერიელებისა, მინეტ-ელბებიდან, ალაზნის ველიდან, კიროვ-აბადის მხრიდან	85
73 ჭურჭლები: Buxios-იდან, მულანიდან და ნიჯიდან	86
74 დერგები: ჩრდილო სირიიდან და ალაზნის ველიდან	88

ბ) ტ ა ბ უ ლ ე ბ ი

I საფ. 0. შურფის გაკეთების დროს აღმოჩენილი სამარე	131
II საფ. 0. და 1-ში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი	133
III საფ. 1. ბავშვის საფლავი. შუაზე მოჩანს „კუბოლ“ გამოყენებული კურის გვერდის ანამტერევი (b)	135
IV საფ. 2 და 3 პრეპარაციის შემდეგ. ნივთები g და h ეკუთვნის მესამე საფლავს, დანარჩენი კი—მეორეს	137
V საფ. 2, 3 და 4-ში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი	139
VI მესამე საფლავში აღმოჩენილი მძივები და რკინის ფრაგმენტები	141
VII სურათზე მოჩანს ჭინჭილები (c და b) ბარძიხის ზემო ნაწილი (a) და ჭურჭლის ნამტერევი (d)	143
VIII საფ. 5. პრეპარაციის პროცესში	145
IX საფ. 5, 6 და 7-ში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი	147
X საფ. 6. სურათზე მოჩანს გრძელნისკარტიანი ჭურჭელი (b), ჩაფის ფრაგმენტები (a) და ცხოველების ძვლები	149
XI მეექვსე საფლავში აღმოჩენილი სხვადასხვა სახის სამკაულები	151
XII საფ. 7. პრეპარაციის შემდეგ	153
XIII მეშვიდე სამარეში აღმოჩენილი მძივები და ბრინჯაოსა და რკინის ნივთები	155
XIV სასაფლაოს ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი	157

ალაზნის ველის გათხრები


1935 წელს ტექნიკოსმა გ. გავრილენკომ საქართველოს მუზეუმში მოიტანა თიხის ქურკლის ნამტვრევები და რამდენიმე ცალი მთლიანი თიხის ქურკელი, რომლებიც შემთხვევით აღმოეჩინა მუშებს სოფელ არხილოსკალოდან 5 კილომეტრის დაცილებით.

მე არ მქონდა შესაძლებლობა მაშინვე გაემგზავრებულიყავი აღმოჩენის ადგილზე და მომეხდინა არქეოლოგიური გათხრები. ეს შესაძლებლობა მე მხოლოდ 1937 წელს მომეცა, როდესაც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მარის სახ. ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა მე და ასპირანტი გ. გობეჯიშვილი მიგვაველინა ალაზნის ველზე არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად.

ტექნიკოს გავრილენკოს მიერ ჩამოტანილი ნაშთების აღმოჩენის ადგილის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ არქეოლოგიური გათხრები უნდა დაგვეწყო ალაზნის ველზე, მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე და არა შირაქის ველის ნაპირზე. სადაც მდებარეობს სოფელი არხილოსკალო. ადგილი, სადაც ჩვენ ჩავატარეთ არქეოლოგიური გათხრები, დაბლობზეა და ალაზნის ველის „ბოლოს“ მიმართულებითაა. ამ ადგილის მახლობლად მოსახლეობა არ არის, გარდა ახლანდ გაშენებული ინგილოების ერთი სოფლისა, რომელსაც სამთაწყაროს ეძახიან, მისი მცხოვრებლები 35 კომლისგან შედგება. ეს სოფელი ჩვენ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ადგილს 2,5 კილომეტრითაა დაცილებული.

ბევრი ვეცადეთ ზუსტად გამოვევრკვია გათხრილი ადგილის სახელწოდება, მაგრამ ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა. სოფელ არხილოსკალოს მცხოვრებლები, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს არიან უმეტეს ნაწილად დუშეთის რაიონიდან გადმოსახლებულნი, ამ ადგილს სხვადასხვა სახელს უწოდებენ: მაგალითად, ზოგი ეძახის „პატარა ყურეს“, ზოგი — „თუთიან ყურეს“, ზოგი კიდევ — „მელორის ყურესა“ და სხვა.

სამთაწყაროს ინგილოელებს ამ ადგილისათვის არაერთი სახელწოდება არ აქვთ, ხოლო თუშები, რომლებიც ალაზნის ველზე ცხვრის ფარებს ზამთრობით აძოვებენ, „ძირს“ ეძახიან.



სურ. 1. ალაზნის ეელოს საფლავების მდებარეობის გეგმა

ჩვენ, როდესაც ვიტყვით—მეუბნებოდა თუმი-მწყემსი—„შირაქში მივალთო, ეს იმას ნიშნავს, ზემოთ მივდივართ, აი, იქ, ზევით არხილოსკალოს იქით, შირაქის ველზე; თუ ვიტყვით „ძირზე“ მივდივართ, მაშინ, აქ მოვდივართ“-ო. მაგრამ ადგილი, რომელსაც თუშები ძირს ეძახიან, არის ალაზნის ველი, რომელიც დიდ მანძილზე მისდევს ალაზნის პირს აღმოსავლეთ-სამხრეთის მიმართულებით, ხოლო არქეოლოგიური აღმოჩენის ადგილი ამ ალაზნის ველის ბოლოს მიმართულებითაა და ემთხვევა განედის $41^{\circ}27'$ და სიგრძედის (გრინიჩიდან) $46^{\circ}25'$ კოორდინატებს.

სანამ არქეოლოგიურ გათხრებს დავიწყებდით, ჩვენ მოგვიხდა საცდელი შურფების გაკეთება და გასათხრელი ადგილის წინასწარი შესწავლა. ერთერთი შურფის გაკეთების დროს გამოჩნდა თიხის ნატეხი, რომელიც დაცილებული იყო მიწის ზედაპირიდან 2,1 მეტრის სიღრმით (სურ. 1 ა). როდესაც ეს ადგილი გავასუფთავეთ, გამოჩნდა მოყვითალო ფერის თიხის დიდი ქურკლის ქვემო ნაწილი (ტაბ. I ა, ინვ. № 7—38/67¹, ტაბ. II ბ). ამ ქურკლის თიხა კარგადაა დამუშავებული და ქურკელიც მორგეზეა ნაკეთები. ქურკლის გადატეხილი ნაპირები ხიწვიანია, წყალს კარგად იზიდავს და, თუ მათ წყლით დაასველებთ და თეთრ ტილოს მაგრად წაუსვამთ, ფერი არ გადაუვა, რაც გვეუბნება თიხის კარგს, ნორმალურ გამოწვაზე. იქვე აღმოჩნდა მოყვითალო ფერის მორგეზე ნაკეთები 17,4 cm სიმაღლის ორი ცალი პატარა ზომის თუნგულა (ტაბ. I ბ და c, ინვ. №№ 7—38/55, 7—38/56; ტაბ. II ა, c) საკმაოდ დიდი ზომის ყურებით. თითოეული მათგანის ყურის ზემო ნაწილი თუნგულის ტუჩის ნაპირს უერთდება. თუნგულების ტანის უმეტეს ნაწილს შემოვლებული აქვს მორგვისა და ფრთის წვერის საშუალებით მოთეთრო ფერის ვიწრო ზოლები, რომლის გასაკეთებლად გამოყენებულია თეთრი საღებავი აყალო მიწა, ე. წ. ანგობა (ტაბ. II ა, c)².

ქურკლის ამგვარად შეღებვა ცნობილია მცირე აზიის სხვადასხვა კუთხეში, მაგალითად, ბოსუსში, ცილეში, მერციფონსა და ტურჰალ-

¹ ალაზნის ველის კოლექცია ენიშნა გადასცა საქართველოს მუზეუმს, რომლის საინვენტარო წიგნებში არის გატარებული ეს მასალა. ამ შრომაში მოხსენებულია საინვენტარო ყველა ნუშერი გულისხმობს საქართველოს მუზეუმის საინვენტარო ნუმრებს.

² ანგობა არის თეთრი აყალო მიწა მეტად წმინდა კვარცის სილით ან მინდვრის შპატით. ქურკლის შეღებვის დროს ანგობას წყალში გახსნიდნენ და ისე წაუსვამდნენ გამოწვის წინ ცოტად გამშრალ ქურკელს.

ში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტებს ეტყობათ თეთრი ანგობით შეღებვა და შემდეგ კონცენტრული წრეების გაკეთება¹.

ტროაში აღმოჩენილი უძველესი კერამიკა თეთრი საღებავითაა გალამაზებული². შლიმანის მიერ ტირინფში აღმოჩენილ „ასკოს“ (მათარას) მაგვარ ქურქელზე, რომელიც სულ ძირა ფენაში აღმოჩნდა და რომელიც ძველ ტროას კერამიკის ხნოვანებას ეფარდება, არის თეთრი საღებავით გამოყვანილი ტეხილი ხაზები. ამნაირი შეღებვის ტექნიკა ცნობილია სმირნას ახლოს აღმოჩენილ ნეკროპოლის კერამიკაში; ცნობილია აგრეთვე კუნძულ ამორგოსზე, კრეტასა და მრავალ სხვა ადგილებზე³, სადაც ამგვარად გალამაზების ტექნიკა ანატოლიიდან გავრცელდა.



სურ. 2

ქვეული და წიწვიანი ორნამენტი

თუნგულების ყელის ძირზე ერთ რიგად გარშემო მიუყვება ირიბად გაკეთებული ქდეული ორნამენტი, რომელიც წიწვიანი ორნამენტის განვითარების პირველ საფეხურს წარმოადგენს (სურ. 2 a). ამ ორნამენტიდან განვითარდა წიწვიანი ორნამენტი (სურ. 2 b), რომელსაც ჩვენ შევხვდებით სხვა ქურქელზე⁴. ეტყობა, რომ ყური თუნგულას გაუკეთეს მას შემდეგ, რაც

ქურქელი უკვე შემკული იყო ორნამენტითა და თეთრი წრეებით. ჰქონდა შემოვლებული. ასეთი დამუშავების ტექნიკა სურათზედაც შესამჩნევია (ტაბ. II c).

თუნგულები და დოქები საერთოდ კარგადაა ცნობილი კავკასიაში მხოლოდ რკინის ეპოქიდან. სსრკ ჩრდილო და ცენტრალურ ნაწილებში ამ სახის ქურქელი ჩვენ გვხვდება მხოლოდ რკინის ეპოქის უკანასკნელ დროიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც კავკასია უკვე დიდი ხნით ადრე კარგად იცნობდა ქურქლის ამ ფორმას.

¹ Stefan Przeworski, Der Grottenfund von Urdu. Ein Beitrag zu den Kleinasiatisch-Kaukasischen Beziehungen am Ende des Jht. v. Chr. Reprinted from Archiv Orientalni, Vol. 7 (1935) No 3, S. 394.

² Dörpfeld, Troja und Ilion, S. 252. H. Frankfurt, Vorderasien, M. Ebert, RL B. XIV, Berlin 1929, S. 78.

³ Hubert Schmidt, Troja-Mykene-Ungarn. Archäologische Parallelen. ამონაბეჭდი aus der Zeitschrift für Ethnologic, Heft 5, Berlin 1904, S. 647 ff.

⁴ ამ სახის ორნამენტი ფართოდ იყო გავრცელებული პალესტინასა და სირიაში.

ლოქებსა და ხელადებს მცირე აზია და ეგეოსის ქვეყნები იცნობდნენ უფრო ძველი დროიდან და ამიტომ საფიქრებელია, რომ ქურქლის ეს ფორმა საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების კულტურის გავლენას განიცდის. ✓

ამ აღმოჩენის ადგილის გარშემო კიდევ ბევრი მიწა გავთხარეთ, მაგრამ ვერაფრითარი ნაშთი ვერ ვიპოვეთ, რომელიც დაკავშირებული ყოფილიყო ჩვენს პირველ აღმოჩენასთან, ხოლო ამ ადგილიდან სამნახევარი მეტრის დაცილებით და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ჩვენ მივაგენით პატარა ზომის საფლავს (სურ. 1 ბ და ტაბ. III), რომელიც დაცილებული იყო მიწის ზედა პირს 1,95 მ-ით. ეს საფლავი აღმოჩნდა პატარა ბავშვისა, რასაც მოწმობდა თავის ქალას ფრაგმენტარული ძვლები (ტაბ. III ა). მიცვალებული დადებული ყოფილა ქურის გვერდის ანამტვრევეზე (ტაბ. III ბ და ტაბ. II ი, ინვ. № 7—38/1), რომლის სიგრძე 64 სმ უდრის, ხოლო განი 51 სმ-ს. ქურის ნატეხის თიხა ფოროვანია; მის აღნაგობას კარგად ემჩნევა წვრილმარცვლოვანი ქვიშა (ალაგ-ალაგ ემჩნევა მსხვილი მარცვლებიც), თიხა ცუდადაა გამომწვარი და გარედან მოწითური ფერი დაჰკრავს, ხოლო შიგნივ კი მონაცრისფროა. „კუბო“ (ქურის ანამტვრევი) მიმართული იყო ჩრდილოეთსა და სამხრეთს შუა და არაფრითარი ნივთები მასში არ აღმოჩნდა, გარდა ბრინჯაოს პატარა სამაჯურისა (ტაბ. III ც, ინვ. № 7—38/7), რომლის დიამეტრი 4 სმ უდრის და რომელსაც თავები გახსნილი აქვს. სამაჯურის დიამეტრიც აგრეთვე მასზე მიგვითითებს, რომ სამარეში ბავშვი იყო დასაფლავებული.

✓ „კუბოს“ გარშემო შემოწყობილი იყო ქურქელი. მაგალითად, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორი პატარა ზომის ხელადა იდგა, რომელთა სიმაღლე 10 სმ არ აღემატებოდა. ერთ მათგანს (ტაბ. III დ, ტაბ. II გ, ინვ. № 7—38/3) პირი მრგვალი აქვს, ყელი მოკლე და ვიწრო, ტანი განიერი ($D=10$ სმ) და ყური ბრტყელი. რომელიც ერთი თავით ტანის შუა ნაწილზეა მიმაგრებული, ხოლო მეორე თავით ტუჩის ნაპირს უერთდება; თიხა კარგად გამომწვარია და მოყვითალო ფერი დაჰკრავს.

მეორე ქურქელი სულ სხვა ტიპისაა (ტაბ. III ე, ტაბ. II ი, ინვ. № 7—38/73) და მკვეთრად განსხვავდება პირველისაგან.

ამ ქურქელს მოტეხილი აქვს ნისკარტი და ნათლად ეტყობა, რომ ამ ნისკარტის ძირში მოწყობილი ჰქონია თიხის დახვრეტილი ფირფიტა (ტაბ. II ი), რომელიც საწურის დანიშნულებას ასრულებდა სასმელის დაღვევის დროს. ტუჩი ფართო და უკან გადაწეული აქვს;

ყური ამასაც ბრტყელი აქვს და ცალი თავით ტუჩის პირსაა შეერთებული, ხოლო მეორეთი—ტანის შუა ნაწილს. ამ ქურქლის სიმაღლე 10 სმ-ია და მისი ტანის უდიდესი დიამეტრის ზომას უდრის. თიხა ვერ არის საკმარისად დამუშავებული და სილა ბევრი აქვს შერეული, თუმცა კარგადაა გამომწვარი. ქურქლის ტანი მშვენიერადაა გადალესილი, რომ მისი კედლები წყლისათვის გასაქონავი არ ყოფილიყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ქურქლის გარეთა ნაპირი სხვა ქურქულზე უფრო გაპრიალებულია და შესაძლოა, რომ მას გამომწვის წინ ნაცარი მოაყარეს, რომ პრიალა კედლები გამოსვლოდა და თანაც სიჯის ნაკლებად გამჟონავი ყოფილიყო. ნაცარი ამგვარ შემთხვევაში რამდენადმე კალაქვის დანიშნულებას ასრულებს, რაც, როგორც ეტყობა, შემჩნეული ჰქონიათ ქურქლის ოსტატებს ძველ დროშიაც.

სამხრეთით „კუმოს“ შემოდებული ჰქონდა საშუალო ტანის თუნგულა (ტაბ. III f, ტაბ. II j, ინვ. № 7—38/2)¹, რომლის სიმაღლე 20,3 სმ-ია, ხოლო ტანის უდიდესი დიამეტრი 17,5 სმ-ი. ამ თუნგულასაც ყური ბრტყელი აქვს და ცალი თავი ტუჩის პირს უერთდება. ყელის ძირის გარშემო შემოვლებულია პატარა ნაკვდობები ირიბად, რომელთა ფორმა დაახლოებით პურის მარცვალს გვაგონებს (ეს ნაკვდობები სურათზედაც გასარჩევია, ტაბ. II j). ქურქლის გარეთა კედლებს გარშემო უელის მოთეთრო ფერის ზოლები. თუნგულა მორგვზეა ნაკეთები.

თუნგულას გვერდით დასავლეთის მიმართულებით იდგა სამფეხათეფში (ტაბ. III g, ტაბ. II d, ინვ. № 7—38/6), რომლის ფეხების სიმაღლე 7,5 სმ უდრის. ამ თეფშის გვერდზე დატანებულია ერთი ბრტყელი ყური, რომელიც ცალი თავით უერთდება მის გადაშლილ ნაპირს². თეფშის სიმაღლე მთლიანად 11 სმ პირის დიამეტრი 17,5 სმ, არავითარი ორნამენტი მას არ ამკობს. ფერი მოყვითალო. აქვს და კარგადაც არის გამომწვარი.

სამფეხათეფშს ზემოდან ედვა ორი თასი: ერთი ორყურა და მოყვითალო ფერისა (ტაბ. III h, ტაბ. II e, ინვ. № 7—38/5), ხოლო მეორე ცალყურა (ტაბ. III i, ტაბ. II h, ინვ. № 7—38/4) და შავი ფერისა. თასები მორგვზეა ნაკეთები, ყურები ბრტყელი აქვთ. ყურის ცალი თავი დაახლოებით თასების შუა კედელზეა მიმაგრე-

¹ ტაბულაზე მოცემული დოქის პირი რესტავირირებულია.

² თუ რომ ჩვენ ამ სამფეხათეფს ქურქულს წარმოვიდგინთ უფეხბოდ, მაშინ მისაფორმა ჯამის მსგავსი იქნება.

ბული, ხოლო მეორე—თასის გადაშლილი პირის ნაპირს უერთდება. ორყურა თასის ზემო ნაწილი „ამოლარულია“. ამ თასის სიმაღლე 8 см-ია, პირის დიამეტრი 12,5 см-ი, ხოლო ტანის უდიდესი დიამეტრი 13,5 см აღწევს. თასის თიხა მშვენივრადაა გამომწვარი და გადალესილიც კარგადაა გარედან. თიხის ფერი მოყვითალოა. თასს არ ამკობს არავითარი ორნამენტი; მხოლოდ ყურების ზემო ნაწილთან, იქ, სადაც ყურების ცალი თავი თასის პირს უერთდება, აქვს ლურსმნის თავის ფორმის პატარა ბორცვები, რომლებიც, როგორც ამას ზოგიერთი არქეოლოგი ფიქრობს¹, უნდა იყოს მიბაძვალთონის ჭურჭლის კეთების ტექნიკისა, რის თქმაც ჩვენის შეხედულებით, ყოველთვის არ შეიძლება, ვინაიდან ეს ბორცვები ხანდახან ისეთ ადგილას აქვს ხოლმე ჭურჭელს გაკეთებული, რომ ამას სრულებით არ მოითხოვს იმავე ფორმის ლითონის ჭურჭლის გაკეთება. ჭურჭელზე გამოყვანილ ბორცვებს ხანდახან დეკორატიული დანიშნულება უფრო ჰქონდა, ვიდრე მიმბაძველობითი. ყოველ შემთხვევაში, ალაზნის ველის ჭურჭელზე გამოყვანილი ლურსმნის თავის ფორმის პატარა ბორცვები არ მიგვიითებენ ლითონის ჭურჭლის მიმბაძველობაზე, არამედ მათ მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა აქვთ, რაც კარგად იყო ცნობილი მცირე აზიაშიაც.

ცალყურა შავი ფერის თასი (ტაბ. II h) განსხვავდება ზემოთ ნახსენები ორყურა თასისაგან, როგორც ფორმით, ისევე დამუშავების ტექნიკით. ამ თასის პირი დიდად არაა გაშლილი, ნაპირები ვიწრო და გარეთკენ მიმართული აქვს. შუა ტანი ცოტათია გამობერილი; თასის ტანის კედლები როგორც გარედან, აგრეთვე შიგნიდან დიდის ოსტატობითაა გამოწვის წინ გალესილი და წასმული აქვს ქონი ან ფისი (იცოდნენ სანთლის წასმაც), რომ გამოწვის დროს მური მკიდროდ შეერთებოდა თიხას და მიეცა მისთვის შავი ფერი. თასი არაა კარგად გამომწვარი, ამიტომ თიხაში შემავალი ორგანული ნივთიერებები მთლიანად არაა დამწვარი, რაც თასის ჩამოტეხილ ნაპირს ნაცრის ფერს აძლევს. ეტყობა, გამოწვის შემდეგ თასი კიდევ ყოფილა გაპრიალებული, რომ უფრო მეტი სილამაზე მისცემოდა. ამ თასის სიმაღლე—6,8 см, პირის დიამეტრი—14 см, ასე რომ ამ დიამეტრისა და სიმაღლის შეფარდება დაახ-

¹ E. Pottier, Note sur les poteries rapportées du Caucase par M. le baron De Baye (Bull. et Mém. de la soc. nat.) des antiquaires de France, Mémoires, 1899.

ლოებით 2:1-თან შეფარდებას უდრის. რაც საერთოდ ახასიათებს თასებს¹. თასების კედლების სისქე 0,6—0,7 სმ აღწევს.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით თასები წარმოადგენენ თიხის კურკლის უძველეს ფორმას² და შემოსული არიან ხმარებაში ნეოლითის დროიდან. მათს პროტოტიპად უნდა დავსახოთ კვახის ქვემო ნაწილი, რომელიც სასმისის დანიშნულებას ასრულებდა პალეოლითის ხანაში.


დასავლეთის შიშართულებით პირველი საფლავისა და მისგან ორი მეტრის დაცილებით ჩვენ მივაკვლიეთ მეორე სამარეს (სურ. 1 ც და ტაბ. IV), რომელიც იმყოფებოდა 2,2 მ სიღრმეზე. ამ სამარეში აღმოჩნდა ტუჩმოტეხილი დიდი დოქი (ტაბ. IV ა, ტაბ. V დ, ინვ. № 7—38/8): სიმაღლით 29,8 სმ, ტანის სიშსხოთი—23,5 სმ, ყურბრტყელი და ცალი თავით ტუჩის პირს შეერთებული, სადაც მას შვიდი ცალი ლურსმნის თავის მსგავსი პატარა ბორცვები ამკობს. დოქის ტუჩის მოყვანილობა სამყურა ბალახის (*Trifolium L.*) ფოთლის ფორმის მსგავსი უნდა ყოფილიყო. დოქს აქვს დაბალი ყელი, რომლის გარშემო პატარა ზომის ნაკვობებია ირიბად შემოვლებული. ტანის ზემო ნაწილს მოთეთრო ფერის წრეები უვლის გარშემო. ჯერ კიდევ, როდესაც წრეების ხაზები გამშრალი არ ყოფილა, ექვს მათგანზე, დოქის შუა წელის ზემოთ, აღმაცერად გადაუსვამთ თითი და ამიტომ წრეები ალაგ-ალაგ შეწყვეტილია (სურ. 3). თითით გაკეთებული ირიბი ზოლები დოქს ტანის გარშემო მისდევს და ერთგვარ სილამაზეს აძლევს. ამ დოქის გვერდით აღმოჩნდა ყურმოტეხილი თასი (ტაბ. IV ბ, ტაბ. V გ, ინვ. № 7—38/9) იმავე ტიპისა და ხელობის, როგორც ეს იყო პირველ საფლავში (ტაბ. II ე). იქვე ვიპოვეთ შავი ფერის დაბალფეხიანი და ბრტყელყურბრტიანი ჩარა განსაკუთრებული ფორმისა (ტაბ. V ბ, ინვ. № 7—38/19). ამ ჩარის სიმაღლე 8 სმ-ს აღწევს. მისი ზემო პირის ნაპირები მეტად გადაშლილია და ამიტომ ფართო პირი აქვს, რომლის დიამეტრი 15 სმ აღწევს. ჩარის ტანი მოგვაგონებს თავგადაკვეთილ კონუსს, რომლის

¹ В. А. Городцов, Русская доисторическая керамика. Труды Одесского Археологического Съезда, Киев 1901, т I, გვ. 599. შენიშვნა: თუ რომ ამგვარი ფორმის კურკლის სიმაღლის ზომა ამავე კურკლის პირის დიამეტრის $\frac{2}{3}$ შეადგენს, ანდა კიდევ უფრო მეტსაც, მაშინ სჯობს, ერთგვარი გარკვეულობისათვის, ასეთს კურკელს ჩარა ვუწოდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში—თასი. თანაც ჩარები ძირისაკენ უფრო მოვიწროებული უნდა იყვნენ, ვიდრე თასები.

² K l e m m, Handbuch der germanischen Alterthumskunde, ციტირებულია ვ. გორდცოვიდან: Русск. доистор. кер. გვ. 599.

კვეთილი თავი ბრტყელ მრგვალ ფეხზეა დაყრდნობილი. ჩარა არ არის მორგვზე ნაკეთები და ცუდადაა გამომწვარი.

დიდი დოქის (ტაბ. IV a) მოშორებით გამოჩნდა დამტვრეული პატარა თუნგულა (ტაბ. IV d, ტაბ. V a, ინვ. № 7—38/10) 13 სმ-ის სიმაღლისა და 11,5 სმ სიგრძის უდიდესი დიამეტრით. ამ პატარა დოქის ტუჩი მრგვალია. ყური ამასაც ბრტყელი აქვს და ცალი თავით ტუჩის ნაპირს უერთდება, სადაც მოჩანს პატარა ზომის ბორცვი ესეც ლურსმნის თავის ფორმის მსგავსი. ყელის გარშემო უსწორმასწოროდ მიუყვება ირიბად ნაკეთები კდეული ორნამენტი. დოქი მორგვზეა ნაკეთები; მისი ტანი გარედან გადალესილია და მოყვითალო ფერი აქვს, თიხა საუცხოოდაა დამუშავებული და ცეცხლზედაც კარგადაა გამომწვარი.



სურ. 3

„ონცენტრული წრეები ირიბად გაკეთებული ფართო ხოლებით

ამ პატარა თუნგულის მახლობლად დადებული იყო დერგის ძირი (ტაბ. IV e, ტაბ. V c, ინვ. № 7—38/13), რომლის თიხა მოწითული ფერისაა და სილაც ბლომადა აქვს გარეული. შერჩენილი კედლების სისქე 1 სმ უდრის. კედლების ნატეხს კარგად ემჩნევა ფორიანობა და ამიტომ წყალსაც ბევრს იშრობს. თიხა მშვენიერადაა გამომწვარი.

დერგის ძირის გვერდით ორი სამფეხა „ჭურჭელი“ იდგა. ერთი მათგანი (ტაბ. IV f, ტაბ. V e, ინვ. № 7—38/12) მოყვითალო ფერისაა და უკვე ზემოთ ნახსენებ სამფეხა თეფშს (ტაბ. II d) ეფარდება, ხოლო მეორე შავი ფერის თიხისაა (ტაბ. IV i, ტაბ. V f, ინვ. № 7—38/11) და თავის მოყვანილობით დელფიკურთას (სამ-

ფეხა თასს) წარმოადგენს. ყური ბრტყელი აქვს და ფეხების ზემოთ-მომდევნო ნაწილი—დაბალი; თანაც განიერი თასის მოყვანილობისაა. ტანის გარშემო ნაწილს სიმეტრიულად აქვს სამი წამონაშვევრი ორ-წახნაგოვანი ფორმისა.

როდესაც ამ სამარესა და მის გარშემო ადგილს გულმოდგინედ გაუვკეთეთ პრეპარაცია, აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის სულ უმნიშვნელო ნაშთები პატარ-პატარა ფრაგმენტების სახით. აღმოჩნდა აგრეთვე კურკელში (ტაბ. IV) ჩაწყობილი ცხვრის ქვედა ყბისა და ზოგიერთი ძვლების ნაწილები.

კურკელის სამარიდან ამოღების შემდეგ, ჩვენ კიდევ დიდის სიფრთხილითა და დაკვირვებით ღრმად გავთხარეთ მიწა, მაგრამ სულ ყამირი იყო და ვერ ვიპოვეთ ვერაფერითარი ისეთი ნიშანი, რომელსაც შესაძლოა კავშირი ჰქონოდა დასაფლავებასთან, ან ადამიანის მიერ ნამოსახლარ ადგილთან, ანდა სხვა რაიმე ისეთ მოვლენასთან, რომელსაც ადამიანის ხელი სტყობოდა.

ამ მეორე საფლავის მახლობლად, იქვე გვერდით, ჩრდილოეთის მიმართულებით, მდებარეობდა მესამე საფლავი (სურ. 1 d). ამ ორ საფლავს (მეორესა და მესამეს) შუაზედ მხოლოდ ორი ცალი რიყის ქვა (ტაბ. IV j, k) ჰყოფდა. ეს მესამე საფლავი პატარა ბავშვისა აღმოჩნდა, რასაც მოწმობდა თავის ქალას და ზოგიერთი ნეკნების ფრაგმენტები. ამ სამარეში ჩადებული იყო ორი კურკელი, სახელდობრ: ყურმოტეხილი, მრგვალპირიანი, მოყვითალო ფერის თუნგულა (ტაბ. IV g, ტაბ. V h, ინვ. № 7—38/15), 14 cm სიმაღლისა, და მოწითური ფერის დაბალი ტანის კოკობი (კვაწია) (ტაბ. IV h, ტაბ. V i, ინვ. № 7—38/14) 8 cm სიმაღლისა და საკმაოდ მსხვილი ტანის (D=10 cm). კოკობს ამშვენებს ტანის შუა წელზე ერთიმეორის პირდაპირ გაკეთებული ორი ბურცული, თუნგულას კი აქვს ყელის ძირის გარშემო ირიბად ნაკდობი პატარ-პატარა ნიშნები.

ამ საფლავის ინვენტარიდან აღსანიშნავია სხვადასხვა სახის მძივები:

ა) მოთეთრო ფერის ცილინდრისებრი ფორმის 22 ცალი მძივი (ტაბ. VI a, ინვ. № 7—38/78), რომელთა შემადგენლობაში შემდეგი კომპონენტებია: 66,25% სილიციუმის ორჟანგი (SiO_2), 3,80% —ალუმინუმის ჟანგი (Al_2O_3), 3,20% —რკინის ჟანგი (Fe_2O_3), 7,35% —კალციუმის ჟანგი (CaO), 2,30% —მაგნიუმის ჟანგი (MgO).

2,98%—გოგირდმეავეს ანჰიდრიდი (SO_3), მანგანუმის (Mn) კვალი-
და 3,9% $\text{NaCl} + \text{KCl}$ ¹.

ბ) შავი ფერის 20 ცალი მოგრძო მძივი (ესეც ცილინდრისებრი-
ფორმისა), რომლებსაც მიუყვებათ შუა წელზე თეთრი ზოლი (ტაბ.
VI b, ინვ. № 7—38/79). ამ მძივების ნივთიერებას შეადგენს:
55,42% SiO_2 , 6,77% Al_2O_3 , 2,47% Fe_2O_3 , 7,00% CaO , 1,66%
 MgO , 17,96% SO_3 , Mn (კვალი) და 14,00% $\text{NaCl} + \text{KCl}$. მძივების
„ცხოების“² ტემპერატურა 1000°C , ხოლო „ღნობის“³— 1200°C ¹.

გ) მრგვალი ფორმის, მონაცრისფრო და თანაც ფერმკრთალი
მსხვილნახვრეტიანი 29 ცალი მძივი (ტაბ. VI c, ინვ. № 7—38/80),
რომლის კომპონენტებია: 62,80% SiO_2 , 3,63% Al_2O_3 , 1,53%
 Fe_2O_3 , 7,46% CaO , 2,64% MgO , 8,13% SO_3 , Mn (ნიშნები) და
3,30% $\text{NaCl} + \text{KCl}$.

დ) 4 ცალი ბრტყელი ფორმის მსხვილნახვრეტიანი გიშრის მძივი
(ტაბ. VI d, ინვ. № 7—38/81).

ე) 3 ცალი ცილინდრისებრი და თანაც გრძელი ფორმის (ტაბ.
VI e, ინვ. № 7—38/82) მძივი. ამ მძივების სიგრძე 1,3 cm-ია,
სიშსხო 0,3 cm-ი; მონაცრისფროა და ფერმკრთალი.

ვ) 10 ცალი წვრილი მძივი მოყვითალო ფერისა (ტაბ. VI f,
ინვ. № 7—38/83).

ზ) 2 ცალი შავი მძივი (ტაბ. VI g, ინვ. № 7—38/85).

თ) ბრინჯაოს მძივის ფრაგმენტები (ტაბ. VI k, ინვ. № 7—38/84),
რომლების შემადგენლობაში 92,10% სპილენძია (Cu), 7,16% კალა-
(Sn), 0,36% ტყვია (Pb) და 0,38% ანთიმონი (Sb). ალუმინი, რკინა
და თუთია ბრინჯაოს მძივის შემადგენლობაში ანალიზმა არ გვი-
ჩვენა⁴.

¹ როგორც ამ მძივის, აგრეთვე შემდეგ მოხსენებული მძივების ანალიზი გა-
აკეთეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ქიმიურ ინსტი-
ტუტში ქიმიკოსებმა შ. ნადარეიშვილმა, მ. გიორგობიანმა და
დ. კილაძემ.

² „ცხოებას“ ჩვენ უწოდებთ ნივთიერების ისეთ მდგომარეობას, როდესაც ამ
ნივთიერების მასა ტემპერატურის გავლენის ქვეშ დარბილებას დაიწყებს, მაგრამ
ფორმას მაინც ინარჩუნებს.

³ „ღნობას“ ეძახიან, როდესაც ტემპერატურის გავლენით ნივთიერება დაიწყებს
გაღნობას და თანაც ფორმის დაკარგვას.

⁴ თერმული ანალიზი, როგორც მძივებისა, აგრეთვე ქვემოთ მოხსენებული-
კერამიკისა გააკეთა ინვენერმა-კერამისტმა თუ ში შვილმა.

⁵ წინა აზიაში ანთიმონი ხშირად გვხვდება: მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში,
შემდეგ ირანის აღმოსავლეთ ნაწილში (ნაინში), კუპბენანში და დაბოლოს მი-

ამავე მესამე საფლავის ინვენტარიდან აღსანიშნავია აგრეთვე:

ი) რკინის ლურსმნის ფრაგმენტები (ტაბ. VI h, ინვ. № 7—38/86).

კ) ბრინჯაოს წვრილი რგოლის ნაწილი (ტაბ. VI i, ინვ. № 7—38/46 და

ლ) მრგვალი ფორმის რკინის ფრაგმენტი (ტაბ. VI j, ინვ. № 7—38/29) გაურკვეველი დანიშნულებისა.

„საფლავი“ № 4 დაცილებული იყო პირველ სამარეს 5,8 მეტრით და მდებარეობდა მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით (სურ. 1 e). ამ „სამარემ“ ღარიბი ინვენტარი მოგვცა და ადამიანის ჩონჩხის სრულებით არავითარი ნიშანი. „სამარეში“, როგორც ეს სურათზედაც ჩანს (ტაბ. VII), აღმოჩნდა სქელი ქურქლის ნამტვრევები (ტაბ. VII d, ტაბ. V n, ინვ. № 7—38/20) და ოთხი ცალი ქურქელი. ამნაირი სახის ქურქელი სხვა სამარეებში არ შეგვხვედრია. ერთი მათგანი მეტად ლამაზი და თანაც თავისებური ფორმისაა და წარმოადგენს მსხვილფეხა ბარძიმის თავს (ტაბ. VII a, ტაბ. V j, ინვ. № 7—38/16), რომელსაც ფართოდ გადაშლილი ნაპირები აქვს. ბარძიმის ზემო ნაწილი ღრმად ამოღარულია, ქვედა კი გვაგონებს თავგადაკვეთილ კონუსს. ბარძიმის ზემო ნაწილის ამოღარულ ნაპირებს ლამაზად აქვს შეერთებული ფართო ყური, ხოლო ღარის ქვედა ნაპირებზე სამი ბურცულია გამოყვანილი. ეტყობა, რომ ბარძიმს მსხვილი ფეხი ჰქონდა, რომელიც თავდებოდა დისკოთი. ბარძიმის თიხას სილა ბლომადა აქვს გარეული და ცუდად გამომწვარია, თუმცა გარედან მოწითური ფერი დაჰკრავს.

ბარძიმთან გვერდით ორი კინკილა იდვა; ერთს მათგანს ტანის შუა წელზე წვრილ დარიჯაგიანი (ყალიბიანი) 3,5 cm სიგრძის მილი აქვს დატანებული (ტაბ. VII b, ტაბ. V k, ინვ. № 7—38/18), ხოლო მეორეს ამნაირი მილი მოტეხილი ჰქონდა (ტაბ. VII c, ტაბ. V m, ინვ. № 7—38/17). პირველი კინკილის მილის თავი თითქმის კინკილის ყელის ძირის სიმაღლეს უსწორდება. ამიტომ კინკილაში თუ ჩვენ წყალს ჩავასხამთ, მაშინ ამ უკანასკნელის დონე კინკილის ყელის ძირს ცოტათი ქვემოთ მოხვდება და წყალი მილიდან აღარ დაიღვრება, ეტყობა, რომ ამ მილს ჰქონდა ერთი დანიშნულება,

დიანში. როგორც ეტყობა ანთიმონს არ ამუშავებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ძველ დროში, თუმცა მისი საბადოები ჩვენ გვხვდება მეტალოგენურ ზონაში, რომელიც მოჰყვება კავკასიის ქედს ყაზბეგის რაიონიდან ზემო სვანეთამდის (Минеральные ресурсы СССР Грузии, Тифлис 1933, стр. 967—968). ძველის დროის კავკასიის ბრინჯაოს ნივთების შემადგენლობაში ანთიმონი ან სრულებით არ გვხვდება და თუ გვხვდება, ისიც მეტად მცირე რაოდენობით.

სახელდობრ: სითხე წანწკარით გადმოეშვა. კინქალების პირი მრგვალია, ყურები ბრტყელია და მათს ზემო ნაწილს პატარა ზომის მრგვალი ფორმის ბურცული ამკობს. მილმოტეხილ კინქილას (ტაბ. V m) ყელის ძირსა და შუა წელის გარშემო წიწვიანი ორნამენტი აოამაზებს. მილიან კინქილას კი ყელის ძირის გარშემო „ნახევარ წიწვიანი“ ორნამენტი მისდევს, რომელიც წიწვიანი ორნამენტის განვითარების პირველ საფეხურად უნდა ჩაითვალოს.


კინქილების თიხა კარგადაა დამუშავებული, მშვენიერადაა გამომწვარი და მოყვითალო ფერი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კურკლის თიხა მეტად წმინდაა, კინქილის კედლები წყალს მაინც ხარბად იზიდავს.

თიხის ნამტვრევები (ტაბ. VII d, ტაბ. V n, ინვ. № 7—38/20) ისეთ მდგომარეობაშია, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მათი საშუალებით კაცმა აღადგინოს კურკლის პირველი ფორმა. ამ ნამტვრევების სისქე 1,5 cm უდრის; მათი ფერი მუქი „ღვინისფერია“ გარედან, ხოლო შიგნივ კი ნაცრისფერი დაჰკრავს. თიხა ცუდად გამომწვარია და თანაც ბევრი სილა ურევია. მეოთხე „საფლავშივე“ აღმოჩნდა შავი ფერის ბრტყელყურიანი, ნაპირებგადაშლილი თასი (ტაბ. V l, ინვ. № 7—38/64), რომლის შუა წელი დიდზეა გარეთ გამოწეული. თასს მოკლე ფეხი აქვს და ფართო დისკოთი თავდება. თასის სიმაღლე 11 cm-ია, პირის დიამეტრი კი 14,5 cm-ი.

ჩეხუთე საფლავი დაცილებული იყო პირველ საფლავს ოთხი მეტრით და მდებარეობდა სამხრეთის მიმართულებით (სურ. 1 f). ეს საფლავი დაცილებული იყო მიწის ზედაპირს 1,85 m-ით. მისი სიგრძე 2,3 m-ია და სიგანე 1,5 m. ამ საფლავის ინვენტარიდან აღსანიშნავია დიდი ტანის ორყურიანი დერგი (ტაბ. VIII a, ტაბ. IX f, ინვ. 7—38/21), რომლის სიმაღლე 35 cm უდრის, ტანის დიამეტრი— 30 cm, ხოლო პირის დიამეტრი 16 cm-სა და ძირისა კი 17 cm-ს. დერგის ტანის კედლები გამოწვის წინ გადაულესიათ მაგარი ნივთით¹, შემდეგ შემოუყოლებიათ თეთრი ზოლები და ყელის გარშემო ერთმწკრივად დაუჩხვლეტიათ და გამოუყვანიათ პატარ-პატარა ნიშნები წვრილი ჩხირის საშუალებით. პირის ჩამოტეხილ ადგილს ეტყობა ფოროვანობა და თანაც მოყვითალო ფერი დაჰკრავს. დერგის კედლების სისქე 0,7—1 cm აღწევს. თიხა კარგადაა დამუშავებული და საკმაოდ გამომწვარია.

¹ ამგვარი გადალესვა წარმოებდა გრძელი მრგვლად გამოყვანილი ქვით, ხით ან ძელის საშუალებით.

ამავე საფლავში აღმოჩენილია მორგვზე გაკეთებული ლამაზი ფორმის დიდი ზომის ორი თასი. ერთ მათგანს (ტაბ. VIII b, ტაბ. IX j, ინვ. № 7—38/30) ორი ბრტყელი ყური აქვს და 9 cm სიმაღლისაა. მეორეს კი ერთი ყური აქვს (ტაბ. VIII c, ტაბ. IX a, ინვ. № 7—38/27) და სიმაღლით 8 cm უდრის. არაერთი ორნამენტი მათ არ ამკობს. თიხა კარგად გამომწვარია და მოყვითალო



სურ. 4


ორყურიანი თასის ხელებით დაჭერა

ფერი აქვს. ცალყურა თასს ორი თითის მეტი არ გაეტევა ყურში და შეიძლებოდა ეხმარათ როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელით. ორყურა თასს კი ყურში გაეტევა მხოლოდ ერთი თითი; ეტყობა, რომ ამ თასს ორივე ხელს მოკიდებდნენ და ყურებზე ცერსა და საჩვენებელ

თითებს შემოსდებდნენ და ისე ხმარობდნენ, როგორც სასმისს (სურ. 4).

ორყურა თასს ზემოდან დადებული ჰქონდა პატარა ფეხიანი, ცალყურიანი ღრმა ჯამი (ტაბ. VIII d, ტაბ. IX i, ინვ. № 7—38/23), რომლის საერთო ფორმა გადაკვეთილ კონუსს მოგვაგონებს, თუ მის დაბალ ფეხს მხედველობაში არ მივიღებთ. ჯამის ყური ისეთნაირადაა გაკეთებული, რომ მასში თითი არ გაეტევა, ე. ი. მეტად ვიწროა. ეს ყური გაკეთებული იყო მხოლოდ წერილი ლარის გასაყრელად, რომ მით შესაძლო ყოფილიყო ჯამის ჩამოკიდება. ჯამის ქვედა ნაწილის შიგნითა მხარე წერილად დაღარული და ერთი შეხედვით კონცენტრულ წრეებს მოგვაგონებს, რომლებიც მორგვზე კეთების დროს დაუტოვებიათ (სურ. 5). საფიქრებელია, რომ ჯამის ამ დაღარულ ნაწილს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, მაგალითად, მასზე გაღესვა თიხაზე უფრო რბილი რაიმე ნივთიერებისა. ჩვენ ვცადეთ დაღარულ ადგილზე ნიორის გაღესვა და ცდა საუცხოვოდ ჩატარდა. ამოღარული ხაზების ამგვარი დანიშნულება მით უფრო დასაშვებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ეს „ღარები“ ძალზე გადასწორებულა სწორედ იმ ადგილას, სადაც უფრო მოსამარჯვებელი იყო ამათუიმ ნივთიერების გაღესვა.

ჯამის კედლების სისქე 0,5 სმ-ია, პირის დიამეტრი 18,5 სმ და ფეხის სიმაღლე 0,6 სმ. ჯამს ეტყობა ცოტა დეფორმაცია, რომელიც მას მიჰლია გაშრობის ან გამოწვის დროს.



სურ. 5

ჯამი კონცენტრული წრეების მაგვარად „ამოლარული“

მეორე ჯამი (ტაბ. VIII e, ტაბ. IX b, ინვ. № 7—38/26), რომელიც ამავე სამარეში აღმოჩნდა, უფრო კარგი ხელობისაა და განსხვავდება პირველი ჯამისაგან. ამ ჯამს ფეხი არ აქვს, ზემო ნაწილის ნაპირი შიგნითაა გადაწეული; ყურის „რგოლი“ პორიზონტალურადაა პირთან ახლოს გაკეთებული და მასში თავისუფლად გაეყრება ერთი თითი, თუმცა ამ ყურის დანიშნულება უმთავრესად ჯამის ჩამოკიდება იყო თასმის ან თოკის საშუალებით. ეს ჯამიც მორგეზება ნაკეთები; მას თხელი კედლები აქვს და დეფორმაციის არაერთი ნიშანი არ ეტყობა. ჯამის სიმაღლე 5,5 სმ, პირის დიამეტრი 17,5 სმ. არც პირველს და არც ამ მეორე ჯამს სრულებით არ ეტყობა არაერთი ნიშანი ორნამენტისა. თიხა კარგადაა დამუშავებული და მოყვითალო ფერისაა.

ჯამებს შუა მოთავსებული იყო პატარა ზომის ორყურია-ნი ჭურჭელი (ტაბ. VIII f, ტაბ. IX d, ინვ. № 7—38/25), რომელიც მათარად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ჭურჭელს ვიწრო ყელი აქვს და ტანთან შეფარდებით ფართო პირი, რომ უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო ჭურჭლის თავის დაცემა და მისგან წყლის დაღვევა. ყელის ძირს ამკობს ერთ რიგად შემოვლებული წერილი ჩხირით ნაკეთები „წინწყლებიანი ორნამენტი“. ჭურჭლის კედლებს

(განსაკუთრებით ქვედა ნაწილს) გარედან ეტყობა გადაღესვა, რომ სითხის გამოჟონვა შემცირებული ყოფილიყო. მათარის სიმაღლე 13,5 სმ-ია, ტანის უდიდესი დიამეტრი 11 სმ. მისი თიხა კარგადაა გამომწვარი და მოყვითალო ფერისაა.

დერგის გვერდით იდგა მალალფეხიანი შავი ფერის ბარძიმი (ტაბ. VIII გ, ტაბ. IX ხ, ინვ. № 7—38/22), რომელსაც ყური აღარ აქვს შერჩენილი. ბარძიმის ზემო პირი გადაშლილია, ხოლო მისი ტანის მთლიანი ფორმა დაახლოებით ორ თავგადაკვეთილ კონუსს მოგვაგონებს, რომლის ფუძეები შეერთებულია ბარძიმის ტანის შუა ნაწილთან. ბარძიმის ფეხი საკმაოდ მსხვილია, მასიურია და თავდება 10,2 სმ დიამეტრის სიდიდის დისკოთი. ბარძიმის თიხის მიწას საკმაო რაოდენობის სილიკატები ურევია, რაც შველოდა ბარძიმს, რომ მას არ დაეკარგა თავისი ფორმა გაშრობისა და შემდეგ გამოწვის პროცესში. ცნობილია, რომ სილიკატები თიხის ქურქ-

ლის დამუშავებაში კარკასის როლს თამაშობენ და ქურქელს უნარჩუნებენ იმ პირველად ფორმას, რომელიც მას ჰქონდა მიღებული გაშრობისა და გამოწვის წინ. ბარძიმის ტანი როგორც შიგნივ, ისე გარედან დიდის ოსტატობითაა გაღესილი.



სურ. 6

ამოფხაქნილი ორნამენტი ზიგზაგით

ასეთს კარგს გაღესვას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ბარძიმი მისი გაფორმების შემდეგ, რასაკვირველია, გამოწვის წინ ამოვლებულია თიხის თხელ ფაფაში (Toumbrei) და გაკეთებული აქვს „პერანგი“, რომლის ნიშნები დღესაც მშვენივრად ემჩნევა. გაღესვას კი მისდევდნენ როგორც დეკორატიული მიზნით, ისე იმიტომაც, რომ ქურქელს წყალი არ გაჰპაროდა.

როდესაც საფლავს საბოლოო პრეპარაცია გავუკეთეთ, დერგის მეორე მხარეს აღმოჩნდა შავი ფერის კიდევ ერთი კოჭობი (ტაბ. IX ხ, ინვ. № 7—38/28), უორნამენტო, ბრტყელყურა, სიმაღლით 9,5 სმ, პირის დიამეტრი—9,6 სმ, ტანის უდიდესი დიამეტრი—13,5 სმ. იქვე აღმოჩნდა მოყვითალო პატარა კოჭობი (კვაწია) (ტაბ. IX ე, ინვ. № 7—38/33), რომლის სიმაღლე 5,5 სმ უდრის. აღმოჩნდა აგრეთვე უმორავოდ და უშნოდ ნაკეთები ყურიანი „ჯამი“ (ტაბ. IX გ, ინვ. № 7—38/31), საშუალო ტანის თუნგულა (ტაბ. IX ც, ინვ. № 7—38/32), რომელსაც ქლოვანი ორნამენტი აქვს


ყელის ძირის გარშემო ერთ პწკრად გაკეთებული და ტანის გარშემო შემოვლებული აქვს თეთრი ფერის წრეები. მასვე ტანის შუა ნაწილზე ერთ წყებად მიუყვება ზიგზაგი ჩხირის წვერით ოდნავ ამოფხაკნილი (სურ. 6). დოქის გაკეთების ტექნიკა და მისი შემკობა თეთრი წრეებით იგივეა, როგორც ჩვენ ეს გვქონდა აღწერილი ზემოთ ნახსენები ქურკლებისათვის (შდრ. ტაბ. II a, c, j, ტაბ. V d და სხვა).

ამ სამარეში არავითარი ნაშთი ადამიანის ჩონჩხისა არ აღმოჩნდა. იყო მხოლოდ ცხვრის ქვედა ყბისა და ზოგიერთი ძვლის ნამტვრევები (ტაბ. VIII h). აღმოჩნდა აგრეთვე მოშავო ფერის ობსიდიანის ნამტვრევები, რომლების შეხვედრა, საერთოდ, იშვიათი არ არის სამარეებში, ვინაიდან ობსიდიანს ჰქონდა აგრეთვე სარიტუალო დანიშნულება.

მეექვსე სამარე (სურ. 1 გ) დაცილებული იყო პირველ სამარეს ოთხნახევარი მეტრით და მდებარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს სამარე 2,6 m სიღრმეზე იყო მიწის ზედაპირიდან და განსაკუთრებული ხასიათისა აღმოჩნდა. ამ სამარის პირველი ნიშნები სამი ქურკლის, ცხოველების (ცხვრის) დამტვრეული ძვლების, ობსიდიანის, ნაცრისა და ნახშირის სახით აღმოჩნდა. ამ სამი ქურკლიდან ყველაზე დიდი ქურკელი ორყურა ჩაფი (ტაბ. X a, ტაბ. IX n, ინვ. № 7—38/35) იყო, რომელსაც მოკლე ვიწრო ყელი აქვს და ფართო ტუჩით ბოლოვდება. ეს ჩაფი, ისე როგორც ჩვენს მიერ აღმოჩენილი სხვა ბევრი ქურკელი, ფრაგმენტების სახით იყო და დღეს კი მთლიანად აღდგენილია. ჩაფის ნამტვრევებთან იყო ცხოველების ძვლების ნამტვრევებიც. ჩაფის სიმაღლე 36,5 cm, ტუჩის დიამეტრი 9,5 cm და ტანის დიამეტრი კი 27 cm. ტანის გარშემო შემოვლებულია მოთეთრო ფერის ზოლები. ყურების გასწვრივ ორ ზოლს შუა გაკეთებულია ირიბი ხაზები ანგობით, რომელთა ზემო თავები ზიგზაგის ხაზითაა შეერთებული და თანაც გაფართოვებულია (სურ. 7).

ჩაფის მახლობლად იყო თავქვედამხობილი გრძელნისკარტიანი ქურკელი (ტაბ. X b, ტაბ. IX l, ინვ. № 7—38/34) ბრტყელი ყურით, რომელიც ქურკლის გადაშლილ პირს უერთდება. ყურის გასწვრივ ქურკლის პირის გვერდი დახერხებულია და გაკეთებული აქვს ამოღარული, ცოტად მოხრილი გრძელი „ნისკარტი“ იმნაირად, რომ ქურკლიდან წყლის გადმოსხმის დროს წყალი გაივლის ჯერ დახვრტილ ტუჩის გვერდში (საწურში) და შემდეგ „ნისკარტში“.

მესამე კურკელი, რომელიც მთლიანად დამსხვრეული იყო, რესტავრაციის შემდეგ გამოვიდა დიდი ზომის ჩარა (ტაბ. IX III, ინვ. № 7—38/36) პატარა ზომის ორი ყურითა და ფართოდ გადაშლილ



სურ. 7

ანვობით გაკეთებული კონცენტრიული წრეები და მათ შუა დეკორატიული მოტივი

უსწორ-მასწორო ჩატრასტიანი ფორმის პირით, რაც თავისებურ სილამაზეს აძლევს კურკელს. ჩარის ქვედა ნაწილი თანდათან ვიწროვდება და თავდება დაბალი დისკოთი. ჩარის სიმაღლე 14,5 სმ-ია და პირის დიამეტრი 21,5 სმ უდრის. ჩარის თიხას ბევრი ქვიშა აქვს გარეული, ცუდად არის გამომწვარი და ღია ყავისფერი დაჰკრავს.

როდესაც ეს სამი კურკელი ამოვიღეთ და 40 სმ-ის სიღრმეზე მიწის ქვეშ წავედით, აღმოჩნდა ადამიანის ძვლები და ბავშვის ჩონჩხის ფრაგმენტები. ჩონჩხის მიმართულება ჩრდილოეთსა და სამხრეთ შუა იყო. მიცვალებული მოკრუნჩხული პოზიით იყო დამარხული და სხვადასხვა სახის სამკაულები ჰქონდა ჩატანებული, რომლებიდანაც აღსანიშნავია:

ა) ორი ცალი დიდი ზომის თავებგახსნილი და თანაც თავებმსხვილი ბრინჯაოს სამაჯური, რომლის დიამეტრი 6,2 სმ უდრის (ტაბ. XI I, III, ინვ. №№ 7—38/89, 90). ამ სამაჯურის ბრინჯაოს შემადგენლობაში ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა 78,88% სპილენძი

(Cu), 7,88% კალა (Sn), 8,88% ტყვია (Pb), 0,94% ალუმინი (Al), 0,38% რკინა (Fe) და 3,04% ანთიმონი (Sb); თუთიის სრულეობით არაერთიანი ნიშანი არ აღმოჩნდა. სამაჯურებს უფრო მოთეთრო ფერი აქვს, ვიდრე მოყვითალო, როგორც ეს საერთოდ ბრინჯაოს ნივთებს ახასიათებს.

ბ) ბრინჯაოს პატარა ზომის რგოლის მსგავსად მოგრებილი ნივთი (ტაბ. XI k, ინვ. № 7—38/91) სრულიად გაურკვეველი დანიშნულებისაა. ეტყობა, რომ ეს ნივთი ბრინჯაოს სამაჯურზეა (ტაბ. XI m) მოტეხილი და ეხლა ძნელი სათქმელია, თუ რად დასკირდათ მისი მოტეხა და ან რა უნდოდათ გაეკეთებინათ ამ ნატეხისაგან.

გ) ბრინჯაოს პატარა ზომის ზარი (ტაბ. XI i, ინვ. № 7—38/92), ძალზე დაზიანებული, თუმცა კიდევ აქვს შერჩენილი ენა და ჩამოსაკიდი ყური. ამ ზარის ნივთიერების შემადგენლობაში შედის: 87,20% Cu, 4,77% Sn, 0,40% Pb, 0,48% Al, 0,15% Fe, 7% Sb. იქცევს ყურადღებას ანთიმონის (Sb) დიდი რაოდენობა (7%) და კალის (Sn) სიმცირე (4,77%).

დ) რკინის ლურსმანი მოგრებილი თავით (ტაბ. XI j, ინვ. № 7—38/93).

ე) 60 ცალი მსხვილნახერტიანი მძივი (ტაბ. XI a, ინვ. 7—38/94). ამ მძივების შემადგენლობაში შემდეგი კომპონენტებია: 62,80% SiO₂, 3,83% Al₂O₃, 2,16% Fe₂O₃, 5,88% CaO, 1,72% MgO, 16,55% SO₃, ნიშნები Mn-ის და 9,65% NaCl+KCl. „ცხობის“ ტემპერატურა 1150°C, „დნობის“—1200°C. ეს მძივები გარეგანი შეხედულებით მეტად ჰვანან მესამე საფლავეში აღმოჩენილ მძივებს (ტაბ. VI c).

ვ) 7 ცალი ცილინდრისებრი ფორმის მძივი (ტაბ. XI b, ინვ. № 7—38/95), დაახლოებით იმავე ნივთიერებისაგან ნაკეთები, როგორისაგანაც ნაკეთები იყო მესამე საფლავეში აღმოჩენილი მძივები (ტაბ. VI a).

ზ) 54 ცალი წვრილი მძივი (ტაბ. XI c, ინვ. № 7—38/96). ამ მძივების შემადგენლობაში შედის: 50,00% SiO₂, 1,75% Al₂O₃, 4,25% Fe₂O₃, 3,00% CaO, 0,42% MgO, 31,55% SO₃, Mn ნიშნები და 9% NaCl+KCl. „ცხობის“ ტემპერატურა 1150°C, „დნობის“—1200°C.

თ) 3 ცალი მრგვალი და ერთი ოვალური ფორმის მძივი (ტაბ. XI d, ინვ. № 7—38/99).

ი) 3 ცალი სერდოლიკის მძივი (ტაბ. XI e, ინვ. № 7—38/101).

კ) 4 ცალი—შუაწელზე ოდნავ ჩალარული და პატარა ზომის—მოთეთრო ფერის მძივი (ტაბ. XI f, ინვ. № 7—38/98).

ლ) 4 ცალი მძივი (ტაბ. XI g, ინვ. № 7—38/97) იმავე შემადგენლობისა, როგორისაც მესამე საფლავის აღწერილი მძივები იყო (ტაბ. VI c). ეს მძივები ერთიმეორის გვერდით იყო საფლავში ჩაწყობილი, თუმცა მოყვანილობით ერთმეორისაგან განირჩევიან გარდა ორი ცალისა.

მ) 4 ცალი მოთეთრო ფერის მძივი (ტაბ. XI h, ინვენტ. № 7—38/100).

ეტყობოდა, რომ მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ, მისვე სამარეზე გადაუხდიათ „სულის საქმე“, რასაც მოწმობდა საფლავის ზემოთ ნაცრისა და ნახშირის ნიშნები და იქვე გაბნეული ცხოველების დამტვრეული ძვლები.

უკანასკნელი მეშვიდე საფლავი, რომელიც ჩვენ გაეთხარეთ, დაშორებული იყო პირველ სამარეს 3,8 m და დაცილებული იყო მიწის ზედაპირს 1,98 m (სურ. 1 h, ტაბ. XII). ამ საფლავში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის ზოგიერთი ძვალი, სახელდობრ: ნეკნები (ტაბ. XII a), მხარი (humerus) (ტაბ. XII b) და წინა მხარი (radius, ulna) (ტაბ. XII c), მენჯი (pelvis) (ტაბ. XII d), ბარძაყი (femur) (ტაბ. XII e), მუხლის კეირისტავე (patella) (ტაბ. XII f), წვივის ძვლები (tibia, fibula) (ტაბ. XII g), რომლების მდებარეობის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მიცვალებული ჩადებული იყო სამარეში მოკრუნჩხული პოზით, იწვა მარჯვენა გვერდზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და სახე დასავლეთისაკენ ჰქონდა მიმართული. სამარის სიგრძე 2,2 m, სიგანე 1,4 m. სამარეში აღმოჩნდა პატარა ზომის ბრინჯაოს ორი რგოლი (ტაბ. XII h, i, ტაბ. XIII j, g, ინვ. №№ 7—38/41, 39), რომლის დიამეტრი საშუალოდ 2,8 cm აღმოჩნდა აგრეთვე ერთი ცალი თითზე წამოსაცმელი ბრინჯაოს „ბეჭედი“ (რგოლი) (ტაბ. XII j, ტაბ. XIII h, ინვ. № 7—38/40), სამი ცალი ბრინჯაოს მძივი (ორი მთელი და ერთიც დამსხვრეული; ტაბ. XIII d, ინვ. №№ 7—38/45). დამსხვრეულ მძივს გაუყეთეთ ქიმიური ანალიზი და გამოირკვა, რომ მის შემადგენლობაში შედიოდა 88,10% Cu, 4,99% Sn, 1,92% Pb, 1,26% Al, 0,58% Fe და 3,15% Sb.

რკინის ნივთებიდან ამ სამარეში აღმოჩნდა ერთი ცალი წვერ-მოტეხილი რკალისებრად მოხრილი დანა (ტაბ. XII k, ტაბ. XIII n, ინვ. № 7—38/38), დანის ნატეხი (ტაბ. XII l, ტაბ. XIII i, ინვ. № 7—38/42), რგოლი (ტაბ. XII m, ტაბ. XIII m, ინვ. № 7—38/43), ორი ცალი სადგისის მსგავსი ნივთები (ტაბ. XII n, o, ტაბ. XIII l, k,

ინვ. № 7 — 38/44), ობსიდიანის ნატეხი (ტაბ. XIII f, ინვ. № 7 — 38/53), 16 ცალი საკმაოდ მსხვილი, გრძელი ფორმის მძივი: სიგრძე 1,7' cm. სიშსხო 0,9 cm (ტაბ. XII p, ტაბ. XIII b, ინვ. № 7 — 38/50). მძივების შემადგენლობაში შემდეგი კომპონენტებია: 64,14%_o SiO₂, 6,30%_o Al₂O₃, 4,00%_o Fe₂O₃, 12,24%_o CaO, 0,96%_o MgO, 8,40%_o SO₃, Mn ნიშნები და 3,90%_o NaCl+KCl. „ცხოების“ ტემპერატურა 1180°C, „ღნობის“ — 1230°C. ამ მძივების შუა წელი უფრო მსხვილია და ორივე თავისაკენ ოდნავ დაწვერილებული. თანაც კარგად ეტყობა სხვადასხვა ფერის ზოლები, რომლებიც სპირალების მსგავსად გარშემო მიუყვება მძივის სხეულს.

სხვა მძივებიდან აღსანიშნავია აგრეთვე 10 ცალი სხვადასხვა ზომის მძივი (ტაბ. XIII c, ინვ. № 7 — 38/51), რომლებსაც მოთეთრო და თანაც ბრწყვილა ფერი აქვთ და გვაგონებს ირიზებულ შუშას ან ხელოვნურ მარგალიტს. ამ მძივების ნივთიერება არის 63,10%_o SiO₂, 4,62%_o Al₂O₃, 2,01%_o Fe₂O₃, 8,05%_o CaO, 1,90%_o MgO, 13,45%_o SO₃, კვალი Mn-სა და 3,30%_o NaCl+KCl.

პასტის მძივებს უნდა მივაკუთნოთ სხვადასხვა ზომის 8 ცალი მძივი, რომლებიც წვივის ძელების მახლობლად ამოვიღეთ (ტაბ. XIII e, ინვ. № 7 — 38/52).

ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო მშენივრად გახეხილი 15 ცალი თეთრი ტოპაზის მძივის აღმოჩენა ამავე სამარეში (ტაბ. XIII a, ინვ. № 7 — 38/49). ტოპაზის მძივები, საერთოდ, იშვიათად გვხვდებან ხოლმე საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ სამარეებში. ტოპაზის საბადოები არ მოიპოვება არც ჩვენში და არც კავკასიაში. ტოპაზს აკუთნებენ მეორე კლასის ძვირფას ქვას.


ჩვენ მიერ აღმოჩენილი ტოპაზის მძივების სიმაგრე უდრის 8-ს და ხვედრითი წონა 3,5-ია.

ევრაზიაში ტოპაზი ცნობილია ურალზე, „ზაბაიკალიეზე“ და სხვაგან. ვიციტ ტოპაზის საბადოები მუგლაში ანუ მუკლაში (მცირე აზია)¹ და სხვა.

თიხის ჭურჭლით მეტად ღარიბი იყო ეს სამარე. ამ უკანასკნელში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ჩარა შავი ფერისა, უმორგოდ ნაკეთები, ბრტყელი ყურით, პირი — ნაპირებგადაშლილი. ფეხისაკენ წაწვერილებული კონუსის მაგვარად და დისკოთი დაბოლოვებულ, რომელიც ფეხის მაგივრობას ასრულებს (ტაბ. IX o, ინვენტურა).

¹ Dr. F. Klockmann, Lehrbuch der Mineralogie. Stuttgart 1903. 211.
 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55.

№ 7—38/54). აღმოჩნდა აგრეთვე სამფეხა ბრტყელყურიანი ქურქელი (დელფიკურთა) (ტაბ. IX p, ინვ. № 7—38/103), რომელსაც ტანის შუა წელზე ოთხი ბორცვი აქვს სიმეტრიულად გაკეთებული. ეს ქურქელი მიწაში აღმოჩნდა „დაშლილი“, ე. ი. ფეხები მოცილებული ჰქონდა ქურქლის ტანს. მშვენიერად შეიძლება მთელი სურათის აღდგენა, თუ როგორ უკეთებდნენ ფეხებს დელფიკურთებს და სამფეხა თეფშებს. გამოიკვეა, რომ სანამ ფეხს მიადგამდნენ თეფშს, ჯერ თვითონ ამ ფეხის თავს კოტას მავვარ ბურცულს გაუკეთებდნენ, კოტის გარშემო სიბრტყეს დასერავდნენ და შემდეგ ტანის კედელში „შეარქობდნენ“ (სურ. 8), რომ ფეხი უფრო მაგრად დამა-



სურ. 8
ფეხის გაკეთების სქემა

გრებულიყო და ადვილად არ მომძვრალიყო. მერმე შენაერთ ადვილას გარედან შემოლესავდნენ და შეასწორებდნენ აყალო მიწით.

ალაზნის ველის ამავე სასაფლაოს ტერიტორიაზე წყალსადენის კოლექტორის გაყვანის დროს მუშების მიერ შემთხვევით იქნა აღმოჩენილი თიხის ქურქელი და კერამიკის ნატეხები, რომლებიც ჩვენით

გათხრების თიხის ქურქელს სავსებით უდგება და მასთან ერთად განუყრელ ორგანულ მჭიდრო ნათესაურ კავშირშია.

ამ ქურქელებიდან აღსანიშნავია:

ა) სამი ცალი სამფეხა თეფში (ტაბ. XIV a, b, c, ინვ. №№ 7—38/58, 69, 61) იმავე ტიპისა, როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღწერილი (მაგალითად, ტაბ. II d, ტაბ. IV e და სხვა).

ბ) ერთი ცალი უყურო ქოთანის (ტაბ. XIV d, ინვ. № 7—38/77).

გ) ერთი ცალი შავი ფერის დაბალი სამფეხა ქურქელი (დელფიკურთა) (ტაბ. XIV e, ინვ. № 7—38/76), რომლის ტანი ღრმა და თანაც ბირთვისებრი ფორმის თასს მოგვაგონებს ვიდრე ჯამს (ამ ქურქლის ფეხების სიმაღლე 3 სმ და ტანის ზემო ნაწილზე დეკორატიული მნიშვნელობის სამი ბურცული აქვს ძუძუების მსგავსი).

დ) სამი ცალი კონუსის მაგვარი ჩარა (ტაბ. XIV f, g, h, ინვ. №№ 7—38/65, 37, 57) იმავე ტიპისა, როგორც მეორე საფლავში იყო.

ე) ორი ცალი ისეთი ხელადა (ტაბ. XIV i, j, ინვ. №№ 7—38/75, 62, 59), რომლის ტუჩის მოყვანილობა სამყურა ბალახის ფოთოლსა ჰგავს და რომლის მაგვარი, მხოლოდ უფრო დიდი ზომისა, ჩვენ შეგვხვდა მეორე საფლავში.

ვ) ერთი ცალი პატარა ხელადა, ნისკარტიანი, ყურით გვერდზე (ტაბ. XIV k).

ზ) ორი ცალი გრძელნისკარტიანი და საწურიანი ჭურჭელი (ტაბ. XIV l, m, ინვ. №№ 7—38/72, 74; ერთს მათგანს აკლია ყური და ტუჩის ნაწილი).


თ) ყურმოტეხილი ერთი თუნგულა (ტაბ. XIV n, ინვ. № 7—38/63) იმავე ხელობისა და ტიპის, როგორც შეგვხვდა პირველს, მეორესა და სხვა სამარეებში.

ი) სამი ცალი (ერთი დიდი და ორი პატარა) გვერდებამოღარული თასი (ტაბ. XIV o, p, r, ინვენტარი №№ 7—38/24, 60, 66), რომლის მსგავსი აღმოჩენილი იყო პირველს, მეორესა და მეხუთე სამარეებში და

კ) ფრაგმენტები სხვადასხვა სახის ჭურჭლისა.

ეს ფრაგმენტები ჩვენს მიერ

იქნა შეკრებილი კოლექტორში ამოღებული მიწის გადარჩევის დროს. ამ ფრაგმენტებიდან მთლიანი ჭურჭელი არც ერთი აღარ აღდგა, მხოლოდ ისღა შეიქმნა შესაძლო გაგვეჩია, რომ ისინი ეკუთვნოდნენ შვიდ ცალ სამუფხა თეფშს (ტიპ. IX), ოთხ თუნგულას (ტიპ. I), ორ თასს (ტიპ. VII b), ერთს ჯამსა (ტიპ. VIII a) და ერთს ბარძიშს (ტიპ. XIV a, სურ. 9).



სურ. 9


რესტავრირებული ბარძიში. 1/3 ნატ. სიდიდისა

ტიპოლოგიისათვის

ახლა, თუ ჩვენ განვიხილავთ ალაზნის ველის კერამიკას ფორმის მიხედვით, შესაძლო იქნება შემდეგი მთავარი ტიპები გამოვყოთ:


I ტიპი. თუნგულა მრგვალი ტუჩითა და დიდი ზომის ყურით, რომელიც ტუჩის ზემო ნაპირს უერთდება (სურ. 10, ინვენტარი № 7—38/32).

II ტიპი. მოკლენისკარტიანი ხელადა, რომლის პირის მოყვანილობა სამყურა ბალახის ფოთლის ფორმას გვაგონებს (სურ. 11, ინვ. № 7—38/59).



სურ. 10

თუნგულა მრგვალი ტუჩით, დიდი ზომის ყურით. რომელიც ტუჩის ზემო ნაპირს უერთდება. $\frac{1}{3}$ ნატ. სიდიდისა



სურ. 11

ხელადა, რომლის პირის ნაპირების მოყვანილობა სამყურა ბალახის ფოთლის ფორმას გვაგონებს. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

III ტიპი. მოკლენისკარტიანი ხელადა. რომელსაც ნისკარტის ძირში საწური აქვს დატანებული და თანაც ყური გვერდზე მოწყობილი (სურ. 13, ინვ. № 7—38/73);

ა) გრძელნისკარტიანი საწურიანი ხელადა, რომლის პირი ფართოდაა გადაშლილი (სურ. 14, ინვ. № 7—38/72);

ბ) გრძელნისკარტიანი საწურის მქონე ხელადა, რომლის საწურის ზემო ნაპირი ხელადის პირს უერთდება (სურ. 15, ინვენტარი № 7—38/34).

IV ტიპი. კინკილა, როზელსაც დატანებული აქვს მუცლის შუა ნაწილზე ვიწრო და თანაც მოკლე მილი (სურ. 16, ინვენტარი № 7—38/18).



სურ. 12


ხელადა გვერდზე მოწყობილი ყურით. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა



სურ. 13


საწურიანი ხელადა. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

V ტიპი. თუნგულას მავვარი მათარა ორი პატარა ყურით (სურ. 17, ინვ. № 7—38/25).



სურ. 14

ვრძელნისკარტიანი საწურიანი ხელადა. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა



სურ. 15

ვრძელნისკარტიანი საწურიანი ხელადა. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

VI ტიპი. ორყურა ჩაფი (სურ. 18, ინვ. № 7—38/24);

ა) ორყურა დერგი (სურ. 19, ინვ. № 7—38/21).

VII ტიპი. ორყურიანი თასი, დიდი ზომისა (სურ. 20, ინვენ. № 7—38/24);

a) ორყურა თასი, რომელსაც ნაპირები გარეთკენ აქვს გადაშლილი და ყურის სიგრძის გასწვრივ ფართოდ გარშემო ამოღარული (სურ. 21, ინვ. № 7—38/30);

b) ცალყურა თასი ამავე სახისა (სურ. 22, ინვ. № 7—38/27).



სურ. 16

ქინკილა, ვიწრო მოკლე მილით.
1/4 ნატ. სიდიდისა



სურ. 17

მათარა. 1/4 ნატ. სიდიდისა

VIII ტიპი. ნაპირებგადაშლილი ჯამი დიდი ყურით, რომელიც „პერპენდიკულარულად“ ხედება ჯამის ნაპირს (სურ. 23, ინვენტარი № 7—38/31);

a) მუცელგანიერი ჯამი, ნაპირებისაკენ მოვიწროვებული, ფართო და თანაც ჰორიზონტალურად მდებარე ყურით (სურ. 24, ინვენტ. № 7—38/26);

b) ნაპირებისაკენ გაფართოვებული ჯამი, ვიწრო ყურით, რომელიც ლარის გასაყრელად იყო განკუთვნილი (სურ. 25, ინვენტარი № 7—38/23).

IX ტიპი. სამფეხა თეფში (სურ. 26, ინვ. № 7—38/55).

X ტიპი. ქოთანი (სურ. 27, ინვ. № 7—38/77).

XI ტიპი. ყურიანი ქოთანი (სურ. 28, ინვ. № 7—38/28).

XII ტიპი. ყურიანი თასი (სურ. 29, ინვ. № 7—38/4).

XIII ტიპი. ბრტყელფეხა ჩარა (სურ. 30, ინვ. № 7—38/54);

a) ორყურიანი, ბრტყელფეხა დიდი ზომის ჩარა, რომლის ნაპირები (სურ. 31, ინვ. № 7—38/36) ჩაფრასტიანი ფორმისაა;

ბ) ბრტყელფეხა ჩარა, რომლის ტანის ზემო ნაწილი ჯერ მკვეთრად არის შიგნივ გადაწეული, ხოლო შემდეგ ისევ გარეთკენაა გადმოქანებული (სურ. 32, ინვ. 7—38/64).



სურ. 18

ორყურა ჩაფი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

XIV ტიპი. მაღალფეხიანი ბარძიმი (სურ. 33, ინვ. № 7—38/22);

ა) მაღალფეხიანი ბრტყელი ბარძიმი (სურ. 34, ინვ. № 7—38/16).

XV ტიპი. დელფიკურთა, ბირთვის მსგავსი სამფეხა ღრმა თასი (სურ. 36, ინვ. № 7—38/76).

ადგილები, სადაც აღმოჩენილია ალაზნის ველის
კოლექციის მსგავსი ნივთები

ამ ადგილების განხილვას ჩვენ დაეიწყებთ საქართველოს ტერიტორიით და იმასაც აღმოჩენის დროის მიხედვით:



სურ. 19

ორყურა დერგი. $\frac{1}{3}$ ნატ. სიდიდისა


სოფ. კიაური

1894 წ. მდ. ალაზნის „გალმა“ მდებარე კიაურის ტყეში (ერეთის კარში) შემთხვევით აღმოუჩენიათ ერთი ცალი სამფეხა თეფში (ინვ. № 6—30/2, ტიპი IX) და პატარა ზომის თუნგულა (ინვენტ. № 6—30/1, ტიპი I)¹.

¹ ნივთები ინახება საქართველოს მუზეუმში.

სოფ. ჭიაურიდან ცნობილია აგრეთვე 1890 წ. ნაპოვნი სამი ცალი სამეფხა თეფში და ქოთანნი, რომლებიც მოხსენებული აქვს ა. ი. ენენს თავის შრომაში¹. მოსკოვის ისტორიულ მუზეუმს, სადაც თურმე ეს ნივთები მიუტანიათ, უკანვე დაუბრუნებია პატრონისათვის და დღეს არ ვიცით რა ბედი ეწია ამ სამეფხა თეფშებს (История: Делю 1890/29).


1936 წელს საქართველოს მუზეუმს გადმოსცა აგრეთვე მეტეხის ხელოვნების მუზეუმის მცირე ხელოვნების განყოფილებამ ორი ცალი სამეფხა თეფში (ინვ. №№ 1—36/186, 187, ტიპი IX) იმავე სოფ. ჭიაურში შემთხვევით აღმოჩენილი. ამ თეფშების აღმოჩენის დრო უცნობია. არ ვიცით აგრეთვე თუ რა ნივთები იყო ამ თეფშებთან ერთად აღმოჩენილი. საამისო ცნობები მცირე ხელოვნების განყოფილებას ჩვენთვის არ მოუცია და როგორც გავიგეთ, არც მოეპოვება.



სურ. 20
ორყურიანი თასი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

სოფ. ჩუმლაყი


კახეთის რკინისგზის მე-118 კილომეტრზე მდებარე ადგილზე, რომელსაც ჩუმლაყს უწოდებენ, 1913 წელს, რკინისგზისათვის მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოუჩენიათ და საქართველოს მუზეუმში გადმოუგზავნიათ ოთხი ცალი პატარა ზომის თუნგულა (ინვ. №№ 167—13/4, 5, 6, 44, ტიპ. I), ერთი ცალი ხელადა, რომლის ტუჩის მოყვანილობა სამყურა ბალახის ფოთლის ფორმას გვაგონებს (ინვ. № 167—13/3, ტიპ. II), სამი ცალი კვაწია (ინვ. №№ 167—13/7, 8, 45, ტიპ. X), თასის ფეხი, რომელიც კატალოგში შეცდომითაა აღნიშნული როგორც კანდელი



სურ. 21
თასი ორყურიანი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

¹ А. А. Иессен, Культура Ялоису-Тапа в Закавказьи, ГАИМК-Сборник I, Ленинград 1929, გვ. 34.

(*чаша*, ინგ. № 167—13/10), ერთი პატარა ზომის ჯამი (ინგ. № 167—13/11, ტიპ. VIII a), ერთი ცალი სამფეხა ჯამი (ინვენტარი № 167—13/43, ტიპ. IX), ერთი ცალი მათარა, რომელიც აღნიშნულია კატალოგში როგორც თიხის ლამპარი (სურ. 37, ინგ. № 167—13/9) და რომლის მიმგვანო აღმოჩენილია იალოილუთაფაში (შდრ. დ. შარიფოვი, სურ. 2), ერთი კრამიტი, ერთი



სურ. 22

თასი ცალყურიანი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა



სურ. 23

ნაპირებგადაშლილი ჯამი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

დიდი ზომის ქოთანნი (ინგ. №№ 167—13/2,1), თუთბრის ბალთის ნაწილი (ინგ. № 167—13/12), ლითონის მრგვალი ფორმის სამკაული ქურჭლისათვის (ინგ. № 167—13/13), შვიდი ცალი ბრინჯაოს სამაჯური (ინგ. №№ 167—13/14—20), რომლებიც ენათესავენა ალაზნის



სურ. 24

ჯამი ნაპირებისაკენ მოვიწრო. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა


ველის სამაჯურებს, სამი ცალი თითზე წამოსაცვამი ვერცხლის რგოლი (ინვენ. №№ 167—13/21—23), ოთხი მძივი (ერთი მათგანი სერდოლიკისაა და ორი შუშის მაგვარი სმალტისა, ჩასმული თვლებით, ინვენ. № 167—13/24), რკინის დიდი ზომის სამკბილა (ინვენ. № 167—

13/26) და თექვსმეტი ცალი სხვადასხვა სახის რკინის ნივთები (ინგ. №№ 167—13/27—42). სოფ. ჩუმლაყის მათარა (სურ. 37) მეტად საინტერესოა თავისი განვითარებით. მას ნათლად ეტყობა, რომ ორი პატარა თუნგულიდან (ტიპ. I) არის წარმომდგარი. ერთერთ ამ თუნგულას ვიწრო და მოკლე ყელი აქვს, მეორეს კი უფრო ფართო და განიერი. ფართოყელიანი თუნგულის ტუჩზე შეუერთებიათ პატარა და ვიწრო დაბალყელიანი თუნგულა თავისი გვერდის კედლით და გაუკეთებიათ ორი ყური, რომ შესაძლო ყოფილიყო თასმით ან

თოკით მისი ჩამოკიდება (სურ. 38). თუ მოვიგონებთ ალაზნის ველის მათარას (სურ. 17), რომლის პროტოტიპი თუნგულაა, მაშინ უფრო ადვილი გასაგები ხდება სოფ. ჩუპლაყის მათარის წარმოშობა ორი პატარა თუნგულის ერთად შეერთებით.

ქ. თ ბ ი ლ ის ი

საქართველოს მუზეუმის საძიარკვლისათვის მიწის ამოღების დროს შემთხვევით ყოფილა აღმოჩენილი ორი დოქი (ინვენტარი №№ 67—15/1, 2, ტიპ. II). თბილისშივე ცნობილია ამავე ტიპის კურკელი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მახლობლად აღმოჩენილი 1922 წ. (ინვ. № 20—32/132). ეს დოქი საქართველოს მუზეუმს გადმოსცა მეტეხის ხელოვნების მუზეუმმა.




სურ. 25

ჯამი ნაპირებისაკენ გაფართოებული.
1/4 ნატ. სიდიდისა

სოფ. ანთოკი

სოფ. ანთოკი, რომელიც მდებარეობს საგარეჯოს მახლობლად, შეცდომითაა კატალოგში აღნიშნული, როგორც ანტოკი. ამ სოფელში 1921 წ. (?) აღმოუჩენიათ დიდი ზომის თასი (ინვ. № 2—21/1, ტიპ. VII), 1 პატარა თასი (ინვ. № 2—21/2, ტიპ. XII) და სხვა ნივთები, რომლებიც აღნიშნულია კატალოგში 2—21/5, 6, 3, 4, 7—12, ნუმრის ქვეშ. ეს ნივთები შემდეგია: ბრინჯაოს დილები (ორი ცალი), ბრინჯაოს ორი სამაჯური, ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხები და რკინის შუბის წვერი.



სურ. 26


სამფეხა თევში. 1/4 ნატ. სიდიდისა

სოფ. წინანდალი

ამ სოფლიდან ცნობილია 102 ცალი სხვადასხვა სახისა და დროის ნივთები, რომლებიც აღმოუჩენიათ შარაგზის გაყვანის დროს 1925 წელს. სამწუხაროდ ნივთები ერთიმეორეშია არეული და ძნელი გასარჩევია. თუ რომელი ნივთი რა ნივთებთან და რა ადგილას იქნა-



სურ. 27.

ქოთანი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

სურ. 28

ქოთანი ყურიანი $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

აღმოჩენილი. ამ ნივთებში ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებით კერამიკული ნაწარმი, რომელიც უკავშირდება ალაზნის ველის თიხის კურქელს, მაგალითად, თერთმეტი ცალი სხვადასხვა ზომის თუნგულა (ინვ. №№ 11—25/75, 77—86, ტიპ. I), ორი ცალი ღოჭი (ინვ. №№ 11—25/87, 88, ტიპ. II), სამი ჯამი (ინვ. №№ 11—25/99,



სურ. 29

თასი, ყურიანი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

სურ. 30

ჩარა, მრგვალიპირიანი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა


101, 102, ტიპ. VIII), ერთი ქოთანი პატარა მილით (ინვენტარო № 11—25/91), ერთი ჯამი (ინვ. № 11—25/100), რომელიც უახლოვდება VIII a ტიპს, მხოლოდ არა აქვს ყური. ერთი ქოთანი

(ინვ. 11—25/92, ტიპ. X), ორი ცალი კვაწია (ინვ. №№ 11—25/94, 55, ტიპ. X), ორი ცალი ყურიანი კვაწია (ინვ. №№ 11—25/74, 76, ტიპ. XI), ერთი ცალი ისეთი კვაწია, რომლის ზემო ნაპირზე ორი ნახვრეტია ლარის გასაყრელად დატანებული (ინვ. № 11—25/93), ორი ცალი მათარა (სურ. 39 და 40, ინვ. №№ 11—25/90, 89). მათარა (სურ. 40, ინვ. № 11—25/89) აღნიშნულია საქართველოს მუზეუმის კატალოგში, როგორც კინკილა, რაც გაუგებრობის შედეგია. ეს მათარა უკვე ზემოთ მოხსენებული ჩუმლაყისა (სურ. 37, ინვენტ. № 167—13/9) და იალოილუ-თაფას (შარიფოვი, სურ. 2) მათარების მსგავსია. ორივე



სურ. 31
ორყურიანი ჩარა. 1/4 ნატ. სიდიდისა

მათარას მოთეთრო ფერის ანგობით გაკეთებული აქვს კონცენტრული წრეები და დამუშავების ტექნიკაც ალაზნის ველის კერამიკის დამუშავებას უდგება. თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილია აგრეთვე ბრინჯაოს სამაჯურები (ინვ. №№ 11—25/1—3, 25—47, 49—51), რკინის დანები (ინვენ. №№ 11—25/4—10), რკინის შუბის თავები (ინვ. №№ 11—25/11—24), სამაჯურის მსგავსი რკინის რგოლი (ინვ. № 11—25/48), ბრინჯაოს ბეჭდები (თითზე წამოსაცვამი რგოლები, ინვ. №№ 11—25/52—55), ბრინჯაოს ფიბულა (ინვ. № 11—25/56), ბრინჯაოს ქინძისთავეები (ინვ. №№ 11—25/61—64), ბრინჯაოს სამკაულები (ინვ. №№ 11—25/58—60, 65), ძეწკვი, ზანზალაკი, ულარუნა და მძივები (ინვენტ. №№ 11—25/66—68, 69, 70, 71—82).



სურ. 32
ჩარა ბრტყელფეხიანი. 1/4 ნატ. სიდიდისა

სოფ. წინანდალში აღმოჩენილი მათარა (სურ. 39) უფრო ბირთვის ფორმის მაგვარია და ცალი გვერდის ერთი ნაწილი გაბრტყელებული აქვს, რომ შესაძლო ყოფილიყო მდგრადად (устойчиво) მისი დადება სწორ ადგილზე, ანდა გვერდზე მისი ჩამოკიდება მგზავრობის დროს. მეორე მათარა (სურ. 40) უკავშირდება ამავე წინანდლის პირველი სახის მათარას (სურ. 39) და, შეიძლება ითქვას, რომ მისგანაა განვითარებული¹.

წინანდლის ორივე სახის მათარას აქვს ცალ გვერდზე კონუსის მაგვარი ბორცვი და ბორცვის გარშემო ქლოვანი ორნამენტი.



სურ. 33
ბარძიმი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა




სურ. 34
ბარძიმი. $\frac{1}{4}$ ნატ. სიდიდისა

მდ. ალაზნის პირი

ასეთი ადგილმდებარეობის სახელწოდებით საქ. მუზეუმის საინვენტარო წიგნში შეტანილია ჩვენთვის მეტად საინტერესო კინკილა, რომელსაც ვიწრო ზილი აქვს დატანებული (ინვ. № 12—25/1, ტიპ. IV) და რომელიც დამახასიათებელია ალაზნის ველის კულტურისათვის. კინკილასთან ერთად ნაპოვნი ყოფილა ბრინჯაოს სამაჯური (ინვ. № 12—25/2), რომელსაც თავები გახსნილი აქვს და რომელიც იმავე ტიპისაა, როგორიც აღმოჩნდა ჩვენი გათხრების დროს ალაზნის ველზე, მხოლოდ ამ სამაჯურს თავები არ აქვს ერთიმეორეზე გადასული.


¹ ეს მათარაც შეტანილია საქ. მუზეუმის კატალოგში, როგორც კინკილა, რაც შეცდომაა.

ეს ორი ნივთი აღმოუჩენიათ ალაზნის არხის გათხრის დროს 1925 წ., 1,5 მეტრის სიღრმეზე და ზუსტად არ არის აღნიშნული. თუ რა ადგილას იპოვნეს.



სურ. 35

დელფიკურთა (ბირთვის მსგავსი სამფეხა ღრმა თასი). $\frac{1}{3}$ ნატ. სიღიდისა




სურ. 36

დელფიკურთა (სამფეხა თასი). $\frac{1}{3}$ ნატ. სიღიდისა

ამავე ალაზნის არხის სამუშაოზე ნაპოვნია თიხის სხვა კურკელიც, რომელიც უდგება ალაზნის ველის გათხრების ნივთებს, მაგალითად, პატარა ზომის ორყურიანი თასი (ინვ. № 15—25/2, ტიპ. VII a), თუნგულა (ინვ. № 15—25/1, ტიპ. I) და ჯამი (ინვ. 15—25/3, ტიპ. VIII a).

სოფ. ანაგა

სოფ. ახალ ანაგიდან ჯერ კიდევ 1927 წ. არის ცნობილი კინკილა, გვერდზე დატანებული ვიწრო მილით (ინვ. № 6—28/2, ტიპ. IV). ეს კურკელი აღმოუჩენიათ ფიქალი ქვებით აგებულ აკლდამაში სხვადასხვა ფორმის თიხის კურკლებთან ერთად, რომლებიც საქართველოს მუზეუმში არ მოუტანიათ გარდა ერთი ცალი თიხის პატარა ვაზისა (ინვ. № 6—28/1) და ზემოთ მოხსენებული მილიანი დოქისა.




სურ. 37

დუბლირებული მათარა. სოფ. ჩუმლაყი. $\frac{1}{3}$ ნატ. სიღიდისა

სოფ. ძველი ანაგიდან ცნობილია აგრეთვე ერთი ცალი კვაწია (ინვ. № 22—30/7, ტიპ. X), აღმოჩენილი ალაზნის არხის გათხრის დროს.

სოფ. ანაგიდან და მის მახლობლად მდებარე ადგილებიდან საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებმა 1938 წელს ჩამოიტანეს გრძელნისკარტიანი ხელადა (ტიპ. III a), ერთი ორყურა დერგი (ტიპ. VI a), ორყურა ჩაფი (ტიპ. VI), სამი ცალი მრგვალტუჩიანი თუნგულა (ტიპ. I), ორი ცალი დოქი სამყურა ბალახის

ფოთლის ფორმის მაგვარი ტუჩით (ტიპ. II), თასი (ტიპ. VII a), ქოთანი ვიწრო ყურით (ტიპ. XI) და თასები. ეს ქურქელი კოლმეურნეების მიერ ყოფილა სხვადასხვა დროსა და ადგილას აღმოჩენილი და ამჟამად საქართველოს მუზეუმის ისტორიულ განყოფილებაში ინახება.



სურ. 38

სოფ. ჩუმლაყის მათარის განვითარების წარმოდგენა სქემატურად

სოფ. პატარძელი

ამ სოფლიდან 1930 წ. საქართველოს მუზეუმში შემოსულია რვა ნივთი, სხვადასხვა დროსა და ადგილას აღმოჩენილი. ამ ნივთებიდან აღსანიშნავია კვაწია (ინვენ. № 2—30/6, ტიპ. X).

სოფ. ძველი გავაზი

სოფელ ძველ გავაზში 1932 წ. ნაპოვნია ერთი დოქი (ინვ. № 20—32/126), რომელიც შეგვიძლია მივაკუთნოთ ალაზნის ველის კერამიკის მეორე ტიპს (ეს დოქი გადმოსცა საქართველოს მუზეუმს მეტეხის მუზეუმმა).


სოფ. ქვემო-ხოლაშენი

ამ სოფელში ნაპოვნია პატარა თუნგულა (ინვ. № 20—32/118, ტიპ. I). თუნგულას მუცლის გარშემო შემოვლებული აქვს თეთრი ზოლები ისეთნაირად, როგორც ეს ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენე-

ბული ალაზნის ველის ზოგიერთი ქურკლისათვის, და ყელის ზემოთ მიუყვება ზიგზაგი.

გურჯაანი

გურჯაანში, ლენინის ქუჩაზე, არხის გაყვანის დროს, 1933 წელს აღმოჩენილ იქნა სამარეები, საიდანაც ამოუღიათ ერთი თუნგულა (ინვ. № 7—33/4, ტიპ. I), ორი თასი (ინვ. №№ 7—33/11, 14, ტიპ. VII a, VII b), ერთი ცალყურა ქოთანი (ინვ. № 7—33/6, ტიპ. X),




სურ. 39

მათარა. სოფ. წინანდალი

ერთი ორყურა ქოთანი (ინვ. № 7—33/5), ორი ცალი კვაწია, რომლებიდანაც ერთ მათგანს გაკეთებული აქვს ორი ვიწრო ნახვრეტი ლარის გასაყრელად (ინვ. № 7—33/15), ხოლო მეორე სადათაა გაკეთებული (ინვ. № 7—33/12, ტიპ. X), ხუთი ცალი სამფეხა თეფში (ინვ. №№ 7—33/7, 8, 9, 10, 16, ტიპ. IX), თხელი ფირფიტებიდან ნაკეთები ოთხი ცალი ბრინჯაოს ნივთი (ინვ. № 7—33/1)¹, სამი ცალი სარდლოიკის მძივი (ინვ. № 7—33/2), ბრინჯაოს (?) ძეწკვი (ინვ. № 7—33/17), ბრინჯაოს სამაჯურები (ინვ. № 7—33/18—20),

¹ ეს ნივთები იმავე სახის არის, როგორც ეს იყო აღმოჩენილი ადგილ „Стеклянный завод“-ში, მხოლოდ მათზე უფრო ახალი დროისაა. Г. Ниорадзе, Могильник „Стеклянного завода“, Проблемы истории докапиталистических обществ, Москва-Ленинград 1934, март, № 3, გვ. 92, სურ. 2 е. „Стеклянный завод“-ში აღმოჩენილ სამაჯურებს თავები ისეთნაირად აქვთ ერთიმეორეზე გადადებული, როგორც ალაზნის ველის სამაჯურებს. მხოლოდ თავები არ აქვთ მსხვილი (გვ. 92, სურ. 2 f).

რკინის ლაგამი (ინვ. №№ 7—33/21, 22) და რკინის ნაქერი, რომლიდანაც შუბის წვერის გაკეთება ნდომებიათ (ინვ. № 7—33/23).



სურ. 40

დუბლირებული მათარა. სოფ. წინანდალი

ამავე გურჯაანში, ამავე ლენინის ქუჩაზე, 1937 წელს აღმოუჩენიათ აამუფხა თეფში (ინვ. № 2—37/1, ტიპ. IX), ორი ცალი რკინის შუბის წვერი (ინვ. №№ 2—37/2, 3) და ადამიანის ჩონჩხის ზოგიერთი ნაწილი. მიცვალებულის მდებარეობა და სამარის ტიპი გაურკვეველი დარჩა.

გურჯაანიდან და მის მახლობლად მდებარე ადგილებიდან მოიპოვება აგრეთვე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც ალაზნის ველის კოლექციას უკავშირდება. მაგალითად, საქართველოს მუზეუმის საარქივო მასალების მიხედვით გურჯაანთან ახლოს უპოვნიათ მოკლენისკარტიანი ხელადა (ინვენტ. № 20—32/100, ტიპ. II) და პატარა ზომის თუნგულა (ინვენტარი № 20—32/105, ტიპ. I), რომლებიც ალაზნის ველის კულტურას ახლო ენათესავენ¹.

სოფ. იყალთო

სოფ. იყალთოდან ჩვენ მოგვეპოვება ორი ცალი სხვადასხვა ზომის მათარა (ინვ. № 5—33/34, 35), რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება და მეტად ახლო ნათესაურ კავშირში არის წინანდალში აღ-

¹ ეს ნივთები გადმოსცა საქართველოს მუზეუმს მეტეხის ხელოვნების მუზეუმმა.

მოჩენილ მათარასთან (ინგ. № 11—25/90) და უეკველად ერთსა და იმავე ტიპს ეკუთვნიან.

ს ა მ თ ა ე რ ო

სამთავროს ერთ-ერთ სამარეში აღმოჩენილია ალაზნის ველის კერამიკის მეორე ტიპის ხელადა, რომელსაც დაბალი ყელი აქვს და ყურის ერთი თავი უშუალოდ ველის პირს უერთდება:

აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოს მუზეუმში დაცული ფეხიანი ქურქელი (ინგ. № 26—26/157) და დიდი ზომის მათარა (ინვენტ. № 7—19), მაგრამ ადგილი, თუ სად არიან ისინი ნაპოვნი, გაურკვეველია.

საქართველოს მუზეუმში მოიპოვება აგრეთვე ერთი ცალი მათარა (ინგ. № 20—32/48)¹, რომელიც წინანდალსა (ინგ. № 11—25/90) და იყალთოში აღმოჩენილი მათარების ტიპისა არის, მხოლოდ უფრო უხეშად გაკეთებული. ადგილი, თუ სად ყოფილა ნაპოვნი ეს მათარა, კატალოგში ნაჩვენებია „კახეთი“, მაგრამ კახეთის რომელი კუთხე, ეს გაურკვეველია.

საქართველოს ტერიტორიის გარეშე ალაზნის ველის კერამიკის მონათესავე ქურქელი აღმოჩენილია აზერბეიჯანშიაც.

ს ო ფ. ნ ი ჯ ი

¹ ალაზნის ველის კერამიკას მკიდრო ნათესაური კავშირი აქვს სოფ. ნიჯში (ნუხის რაიონი, აზერბეიჯანი) ერვ. ლალაიანის მიერ 1915 წ. აღმოჩენილ თიხის ქურქელთან².

სოფ. ნიჯში აღმოჩენილი კერამიკა სავსებით ეფარდება ალაზნის ველზე აღმოჩენილ თიხის ქურქელს და, ცხადია, რომ ისინი ერთსა და იმავე კულტურასა და დროს უნდა მიეკუთნოთ.

ამ აღმოჩენის შესახებ, მართალია, ე. ლალაიანმა თავის დროზე მოათავსა სტატია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების „Известия“-ში, მაგრამ ამ სტატიამ ვერ დააკმა-

¹ ეს მათარაც საქართველოს მუზეუმმა მიიღო მეტეხის მუზეუმისაგან და შეტანილია კატალოგში, როგორც ჭილა, რაც სწორი არაა.


² Е. А. Лалаян, Раскопки в сел. Ниж и Варташен, Нухинского уезда. Изв. Кавк. Отделения Московского Археологического Общества, Тифлис 1919, Вып. V, გვ. 37—47. ე. ლალაიანის მიერ სოფ. ნიჯში მოპოვებული კერამიკა, 22 ცალის რაოდენობით, ინახება საქართველოს მუზეუმში და შეტანილია საინვენტარო წიგნში 163—16/1—22 ნუმრის ქვეშ.

ყოფილა ვერც სპეციალისტი-არქეოლოგები და მკითხველი საზოგადოება და ვერც „Известия“-ს რედაქცია. ამიტომ სრულიად სამართლიანი იყო, როდესაც „Известия“-ს რედაქციამ ასეთი შენიშვნა გაუკეთა ე. ლალაიანის სტატიას: „Вообще нужно заметить, что подробное описание перечисленных глиняных сосудов (ლაპარაკია ნიჯის კერამიკაზე) ныне хранящихся в Кавказском музее, должно составить предмет нарочитого описания специалиста“¹. საქმის ასეთი გარემოება გვაიძულებს ჩვენ ცოტად თუ ბევრად გავარკვიოთ ნიჯის არქეოლოგიური მასალა, რომელსაც დიდი ხანია ელის არქეოლოგიური ლიტერატურა.

სოფ. ნიჯში ე. ლალაიანს გაუთხრია რვა ყურღანი, რომლებშიაც გარდა ნაცრისა, ნახშირისა და ადამიანის დამწვარი ძვლებისა ვერაფერი უპოვნია. შემდეგ მას დაუწყია გათხრები ადგილ დარაბაგში (ნიჯის მიდამო), სადაც თურმე გზის ნაპირებზე არხების გათხრის დროს, მუშებს შემთხვევით აღმოუჩინიათ სხვადასხვა სახის თიხის ქურქელი, რომლიდანაც სამი ცალი ქურქელი, სახელდობრ: მათარა² (სურ. 41, ინვ. № 163—16/13), სამფეხა თეფში (სურ. 42, ინვენტ. № 163—16/19, ტიპ. IX) და შავი თიხის „ამფორა“ (სურ. 43



სურ. 41
მათარა




სურ. 42
სამფეხა თეფში

ინვ. № 163—16/18) შეუძენია და ჩვენს მუზეუმში მოუტანია. („ამფორას“ აქვს კისერთან ახლოს სამი ბურცული; მისი კედლების სისქე 1 см-ს აღწევს).

¹ Известия Кавказск. Отдел. Московск. Археол. Об-ва, Вып. V; Тифлис 1919, გვ. 46.

² ამ მათარას ე. ლალაიანი შეცდომით უწოდებს პატარა ყელღან დოქს (გვ. 45). მათარას აქვს ორი ყური და მრგვალი ფორმის ვიწრო პირი; ტანის ზედა ნაწილზე დატანებული აქვს ვიწრო მილი და ვამოყვანილი აქვს ოთხი ბურცული. შუა წველზე ერთი ყურიდან მეორე ყურადმის არის ფართოდ ამოღარული. თიხა მოყვითალო ფერისაა და გარედან კარგადაა გადალესილი. ინვ. 163—16/16.

იმევე ადგილის მახლობლად, საცდელი არქეოლოგიური გათხრების დროს, ერთი მეტრის სიღრმეზე ე. ლალიანს აღმოუჩენია სამი ქურქელი, რომლიდანაც ორი ცალი წამოუღია მუზეუმში (სურ. 44, ინვ. № 163—16/12, ტიპ. I) და სურ. 45 № ინვ. 163—16/9, ტიპ. II ა), ხოლო მესამე იქვე დაუტოვებია, ვინაიდან მეტად მძიმე წონის ყოფილა (გვ. 44) და წამოღება ვერ მოუხერხებია. ეს ქურქელი 70 cm სიმაღლის ყოფილა და ე. ლალიანის აზრით ღვინის ჩასასხმელად ყოფილა ხმარებული (გვ. 44)¹.



სურ. 43

„ამფორა“

საქართველოს მუზეუმში მოტანილი ეს ორი ქურქელი (სურ. 44 და 45) ნაცრისფერი თიხისაა. ერთ მათგანს (სურ. 44) ვიწრო კისრის გარშემო ჰორიზონტალურად უღლის წვრილად ამოფხაჭნილი ხაზები. კისრის ბოლოს სამი პატარა ბურცული აქვს და ტანის ზემო ნაწილს ამკობს კისრიდან ძირისაკენ მიმართული წვრილადვე ამოფხაჭნილი ხაზები. ქურქელის სიმაღლე 16,5 cm, მუცლის სიშსხო 12,5 cm. ქურქელი უნდა მიეკუთვნოს ალაზნის ველის კერამიკის პირველ ტიპს.

¹ სამწუხაროდ ე. ლალიანის წერილში: „Раскопки в сел. Няж...“ არ არის აღწერილობა ისეთნაირი, რომ აღაშინოს შეეძლოს უდაოდ გამოყოს თითოეული სამარის ინვენტარი. მაგალითად, იმ ორი ქურქელის შესახებ, რომელიც მან მუზეუმში მოიტანა, აღნიშნავს: „Матерьякий кувшин, а с боку (находилась) другой кувшин с одной ручкой и несколько вывинутым вперед клювообразным отверстием“, გვ. 44). ამგვარი აღწერიდან ძნელი ხდება გაგება, თუ რომელ დოკუმენტზე დააბრკი, ვინაიდან ნიჯიდან მას აქვს მოტანილი სხვა დოკუმენტი, რომლებსაც ახასიათებს „вывиннутое вперед клювообразное отверстие“ და რომლებიც ერთიმეორეშია არეული.

არც მუზეუმის საინვენტარო წიგნში არის ნიჯის კერამიკა სამარეების მიხედვით შეტანილი და არც არის აღნიშნული ესათუის ქურქელი რომელი სამარისაა ამოღებული. ამიტომ ჩვენ მიერ გამოყოფილი ქურქელი სამარეების მიხედვით შესაძლოა საუავე იყოს.

როდესაც სამარეების მიხედვით ნიჯის კერამიკას ვყოფდით, ჩვენ გვქონდა მანქანაში, როგორც ე. ლალიანის მიერ მოყვანილი ცნობები, ისე აგრეთვე კერამიკის თავისებურებანი.

მეორე დოქს (სურ. 45) მოკლე და დიდი ზომის მსხვილი კისერი აქვს. პირის მოყვანილობა სამყურა ბალახის ფოთლის ფორმისაა. პატარა და ბრტყელი სახელური გვერდზე აქვს გაკეთებული და პირთან შეერთებისას მოწყობილია ცერის ჩასადები (დასაყრდენი) ადგილი, რაც საერთოდ ხშირად გვხვდება როგორც კავკასიაში, აგრეთვე მის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში აღმოჩენილ ჭურჭლის ტარზე¹. დოქის სიმაღლე 20 см-ია, სიშხო — 16 см და ეკუთვნის ალაზნის ველის კერამიკის მეორე (IIa) ტიპს.



სურ. 44
დოქი




სურ. 45
დოქი

ამ აღმოჩენის მახლობლად და იმავე სიღრმეზე ე. ლალაიანს უპოვნია რკინის, დაქანებული შუბის წვერი (ე. ლალაიანის გამოთქმით „конец сгнившего железного копья“, გვ. 44), ლორისა და ძროხის თავების ქალები, რომელთა გვერდით კიდევე უნახავს „ბადია“, ლორის ოთხი ფეხების ძვლით, „ამფორა“, „ბადიები“ და დოქები (გვ. 44). ჩვენი ფიქრით, „ბადია“ ლორის ფეხების ძვლებით უნდა იყოს წითელი ფერის თიხის კარგად გამომწვარი ჭურჭელი (სურ. 46), რომლის სიმაღლე 23,5 см-ია და პირის დიამეტრის სიგრძე უდრის მის

¹ ამგვარადვე მოწყობილი (თუმც ცოტა სხვაობით) ცერის ჩასადები ადგილი აქვს სხვათა შორის ლაჯობის ძირზე (სოფ. ოყურეში, ლეჩხუმის რაიონი) აღმოჩენილ თითბერის სიტულებს (ინვენტ. № № 1—36/178, 179, 180), რომლებთანაც ერთად უპოვნიათ კობანის ტიპის ცულები, და პ. პეტროვის მიერ სოფ. მალაკლიუ-ში (იგდირის ახლოს) არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ ბრინჯაოს (?) ჭურჭლის ყურს (ინვ. 30—14/120). აღნიშნული ნივთები ინახება საქართვე. მუზეუმში.

სიმაღლეს; აქვს ორი ყური, რომელთაც გასწვრივ მიუყვება ამოთხა-
კნილი სამი წრე და ამათ გვერდით არა-ღრმად გაკეთებული კლო-
ვანი ორნამენტი. ყურებს შუა ორივე მხრით ტანის ზემო ნაწილზე
გამოყვანილია სხივების მაგვარად წვრილი ხაზები. ჭურჭლის კედ-
ლების სისქე 1 cm უდრის. ეკუთვნის მეექვსე (VIa) ტიპს.



სურ. 46
„ბადია“


„ამფორაც“ (სურ. 47, ინვ. № 163—16/1) წითელი ფერის თიხისაა. მისი სიმაღლე 47 cm, პირის დიამეტრი 33 cm, ტანის ყველაზე დიდი დიამეტრი—41 cm, ძირის—16 cm, კედლების სისქე—2 cm; აქვს ორი ყური, რომელთა ფორმა რქებს გვაგონებს. არავეთარი ორნამენტი მას არ ამკობს. ეტყობა, რომ ეს „ამფორა“ დერგის დანიშნულებას ასრულებდა.

ამათთან ერთად ნაპოვნი სხვა ჭურჭელი უნდა იყოს მოშავო ფერის თიხის ორყურა ქოთანის (სურ. 48, ინვ. № 163—16/11, ტიპ. XI), რომელიც აღნიშნულია საქართველოს მუზეუმის საინვენტარო წიგნში, როგორც მოკიქული, რაც შეცდომაა. ქოთანს ეტყობა მხოლოდ გარედან გალესვის ნიშნები. მისი სიმაღლე 12,5 cm, პირის დიამეტრი 11,5 cm, კედლის სისქე 0,5 cm.

იქვე ნახულია:

ა) წითელი თიხის, 9 cm სიმაღლის ჯამი (სურ. 49, ინვენტარი № 163—16/20), რომელსაც პირის ნაპირები გარეთკენ აქვს გადაწეული (პირის დიამეტრი 18 cm); ყური ბრტყელი და დაღარულია; ყურის ქვემო ნაწილს გასწვრივ მიუყვება კლოვანი ორნამენტი.

ბ) ჯამი (სურ. 50, ინვ. № 163—16/21, ტიპ. VIII b) 5,5 cm სიმაღლისა და 14,5 cm პირის დიამეტრით; აქვს მეტად ვიწრო ყური ლარის გასაყრელად, რომ შესაძლო ყოფილიყო მისი ჩამოკიდება.




სურ. 47
„ამფორა“

გ) მოყვითალო ფერის თიხის კვაწია (სურ. 31, ინვენ. № 163—16/16, ტიპ. X) 8,5 cm სიმაღლისა, ყელის გარშემო ირიბად გაკეთებული კლოვანი ორნამენტითა და ოთხი ბურცულით. ეს კვაწია იმავე სახისაა, როგორც ჩვენ აღმოვაჩინეთ ალაზნის ველის მესამესა და მეხუთე საფლავში (ტიპ. V i, ტაბ. IX e, ტიპი X).

დ) ნისკარტიანი მოყვითალო ფერის თიხის ღოჭი (სურ. 52, ინვ. № 163—16/7, ტიპ. II) გრებილი სახელურით; კისრის გარშემო წვრილად ამოფხაქნილი წრეებით, კლოვანი ორნამენტითა და ტანის

ზემო ნაწილზე შვიდი ბურცულით. დოქის სიმაღლეა 19 cm, სიშსხო—15,5 cm.

ე) წითელი თიხის კოქობი (სურ. 53, ინვ. № 163—16/5), ვიწრო ყურიანი (ეტყობა მას მეორე ყურიც ჰქონდა). კოქობის სიმაღლეა 7,5 cm, სიშსხო = 11,3 cm.



სურ. 48
ორყურა ქოთან



სურ. 49
ჯამი

ვ) კინჭილა, 11 cm სიმაღლისა, გვერდზე დატანებული ვიწრო მილით (სურ. 54, ინვ. № 163—16/14, ტიპ. IV); კისერი მოკლე აქვს, პირი გარეთკენ აქვს გადაშლილი, სახელური ბრტყელი მოეპოება და პირის შეერთებასთან მოწყობილი აქვს ცერის ჩასადები.

ამ ნივთების ქვემოთ 30 cm სიღრმეზე აღმოუჩენია ადამიანის დამწვარი ჩონჩხი (გვ. 45).



სურ. 50
ჯამი




სურ. 51
კვაწია

იქვე მახლობლად გაუთხრია ახალი სამარე (ე. ლალაიანის ანგარიშით მეცხრე)¹, სადაც უპოვნია წითელი თიხის ოთხი ქურქელი; აქედან ორი ყოფილა ნისკარტიანი დოქი (სურ. 55, ინვენტ.

¹ ეტყობა, რომ ნიჯში გათხრილ რვა ჯურღანს ე. ლალაიანი სთვლის რვა სამარედ, ხოლო საცდელი გათხრების დროს აღმოჩენილ ქურქელს და სხვა ნაშთებს სამარეს არ აკუთვნებს (გვ. 44—45).

№ 163—16/6, ტიპ. II) და 56 (ინვ. № 163—16/4, ტიპ. II), შესაბამისად «кувшинчик с двумя ручками» (სურ. 57, ინვ. № 163—16/3), როგორც ამას ე. ლალაიანი აღნიშნავს. მაგრამ ეს არ არის სწორი, ვინაიდან ამ დოქს აქვს ერთი ყური და ერთი ც სითხის გადმოსას-



სურ. 52
ნისკარტიანი დოქი




სურ. 53
კოჭობი

ხამი მილი-ნისკარტი, რომელიც შეცდომით აქვს ე. ლალაიანს მოხსენებული სახელურად (გვ. 45)¹. მეოთხე კურკელი, ე. ლალაიანის აღ-




სურ. 54
კინკილა, გვერდზე დატანებული ვიწრო მილით




სურ. 55
ნისკარტიანი დოქი

¹ ამგვარივე შეცდომა დაშვებული საქართველოს მუზეუმის საინვენტარო კატალოგშია (ინვ. № 163—16/4), სადაც ეს დოქი აღნიშნულია, როგორც ორ სახელურაანი. ამ კურკელს სითხის გადმოსასხამი მილის ნაწილი და ნისკარტი მოტეხილი აქვს, ხოლო შერჩენილი ნაწილი სახელურს გვაგონებს და შეცდომაში შეყავს ადამიანი. ამგვარი კურკელი დაუზიანებლად შენახული ნაპოვნია მულანის ველზე (სურ. 57, ინვენტ. № 121—13/3 A), ბიბლოსში და სხვაგან, რომლებზედაც ჩვენ ვიტყვი შემდეგში.

წერით, უნდა იყოს კვაწია (სურ. 58, ინვ. № 163—16/17, ტიპ. X), რომელსაც ე. ლალაიანი ტოლჩას („кряжка“) უწოდებს.



სურ. 56
ნისკარტიანი ღოჭი



სურ. 57
ღოჭი „მილ-ნისკარტიანი“

ზემოთ ნახსენები ნისკარტიანი ღოჭების სიმაღლე საშუალოდ 18 cm უდრის, ხოლო სიშსხო—14,5 cm-ს. ქურქელი (სურ 56) უბრალოდაა გაკეთებული და არავეითარი ორნამენტი მას არ ამკობს, ხოლო ქურქელი (სურ. 55) მეტად საინტერესო ხელობისაა და სუფთად გამოყვანილია. კისრის გარშემო მას მისდევს ამოღარული წრეები, რომელთა ქვემოთ ძირისაკენ მიმართულია პარალელურად მიმდევნო მოკლე ხაზები მაგარი „საეარცხლის“ საშუალებით ღრმად ამოუხაქნილი. ნისკარტის ორივე მხარეზე არის ლურსმნისთავის მაგვარი პატარა ბურცულეები, ყურის ზემოპირზე არის თითქმის ჰორიზონტალურად და ირიბად ამოღარული ხაზები; სახელურის ზემო თავის მოყვანილობა იგივეა, როგორც ეს ახასიათებს საწურავის მქონე ნისკარტიან ქურქელს (სურ. 14) და უნდა იყოს ყურზე დატანებული ცერის ჩასადები მოწყობილობის შემდეგი განვითარება.




სურ. 58
ვიწროთავა ქოთანი

მილ-ნისკარტიან ქურქელსაც (სურ. 57) აქვს ლურსმნის თავის მაგვარი ოთხი ბორცვი ტანის ზემო ნაწილზე და „საეარცხლის“ კბილების საშუალებით ამოუხაქნილი ჰორიზონტალურად და „ვერტიკალურად“ მიმდევნო წვრილი ხაზები. მილის და კისრის ძირის გარშემო ნაქლობები არის. ამგვარივე ნაქლობები აქვს ნისკარტის პირდაპირ პირის გარეთა მხარეს. ე. ლალაიანის მიერ „кряжка“-დ

მოხსენებული ჭურჭელი არის პატარა ზომის (სიმაღლე 7,8 см, სიშახო 6,5 см) ვიწროთავე კვაწია (სურ. 58), რომლის ზემო ნაწილი ირიბად მიმდევნო ქლოვანი ორნამენტით არის შემკული.

აღვილ დარაბაგიდან ერთი კილომეტრის დაცილებით ე. ლალაიანს კიდევ გაუთხრია ერთი სამარე, სადაც უნახავს ოთხი ჭურჭელი, რომლიდანაც ე. ლალაიანი იხსენიებს „ამფორას“ (სურ. 51, ინგ. № 163—16/8), „служившую очевидно, пахтальницей“ და



სურ. 59


მათარა, რომელსაც ე. ლალაიანი იხსენიებს კარაქის საკეთებელ ამფორად

წილზე აირის გამოსაშვებად დღეების პროცესში, რაც აუცილებელია თიხიდან გაკეთებულ სადღვებლისათვის, თანაც ტუჩის მოყვანილობა ისეთია, რომ თავი კარგად არ მოეკვრება და დღვების დროს ნაღებიც დაიქცევა და დოც. ეს ჭურჭელი წარმოადგენს მათარას და წყლის სახმარებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ე. ლალაიანის მიერ აღმოჩენილი მათარა მოყვითალო ფერის თიხისაა. აქვს კვერცხის მაგვარი ფორმა და ეტყობა, რომ მისი პირვანდელ ფორმის დასახვის დროს გამოუყენებიათ კონუსის ფორმის მაგვარი ორი დიდი ჩარა, რომლების პირები ერთიმეორეზე მიუდგამთ და შეუერთებიათ (შესაძლოა აგრეთვე, რომ ამ მათარის პროტოტიპად იყო ხევსურული „ორძირა“-ს მაგვარი ხის ჭურჭელი). შემდეგ მისთვის გაუკეთებიათ სამყურა ბალახის ფოთლის მაგვარი ფორმის პირი და ორი ბრტყელი ყური ჩამოსაკიდებლად. მის ზედაპირს ეტყობა გადაღესის ნიშნები; მათარა იტევს 3,5 ლიტრა წყალს.

ამ მათარასთან ერთად უპოვნიათ მალალყელიანი, ორყურა, უორნამენტო, ცუდად გამომწვარი 13,5 см სიმაღლის ქოთან-

ფიქრობს, რომ ამ ჭურჭლის საშუალებით კარაქს აკეთებდნენო (გვ. 45), რაც შეცდომაა. მართალია, ამ ჭურჭელს აქვს „ნისკარტი“, ორი ყური ჩამოსაკიდებლად განკუთვნილი, მაგრამ ეს არ იყო სადღვებელი, როგორც ამას ე. ლალაიანი ფიქრობდა (გვ. 45). სადღვებლისათვის ეს ჭურჭელი არის მეტად პატარა და თანაც კისერი იმდენად ვიწრო აქვს, რომ კარაქს, მართლაც რომ ჭურჭლის შიგნივ გაკეთდეს, ვერ გამოიღებამასთანავე ჭურჭელს არ აქვს დატანებული მილი ტანის ზემო ნა-

(სურ. 60, ინვ. № 163—16/10, ტიპ. XI), ერთი პატარა მოყვითალო ფერის თიხის დოქი სამყურა ბალახის ფოთლის მაგვარი პირით (სურ. 61, ინვ. № 163—16/15, ტიპ. II). ამ დოქს კისრის ძირის გარშემო მიუყვება წერტილოვანი ორნამენტი და ტანის ზემო ნაწილზე გამოყვანილია ლურსმნისთავის ფორმის მაგვარი ოთხი ბურცული; სახელური აქვს დაგრებილი და მის ვატეხილ ნაპირს კარგად ეტყობა, თუ როგორ შეუგრებიათ ერთიმეორეზე ფანქრის სიმსხო რბილი თიხის ორი „ჩხირი“.




სურ. 60
ორყურიანი ქოთან



სურ. 61
ნისკარტიანი დოქი

ამათთან ნახული მეოთხე კურკელი, რომელსაც ე. ლალაიანი აღნიშნავს, როგორც „таз с оаиои ручкии“ (გვ. 45), არის წითელი ფერის თიხის კარგად გამომწვარი ყურიანი ჯამი (სურ. 62, ინვენტ. № 163—16/22). მას აქვს ვიწრო ყური, რომელშიაც მხოლოდ ერთი თითი გაეტევა და ჯამის კედლის ზემო ნაწილზეა გამოყვანილი. ჯამის სიმაღლეა 10 cm, პირის დიამეტრია 25 cm, ხოლო კედლის სისქეა 1,2 cm.

სოფ. ნიჯის მიდამოებში აღმოჩენილ თიხის კურკელს ე. ლალაიანი აკუთვნებს რკინის ხანას, მიაწერს დოლიხოცეფალური ტიპის ხალხს (გვ. 47) და ფიქრობს, რომ იმ მხარეში მცხოვრები უდები არიან არა აბორიგენები, არამედ ბოლო დროის იმიგრანტები.



სურ. 62
ყურიანი ჯამი

ცხადია, რომ ე. ლალაიანის ამგვარი წინასწარი დასკვნა სრულე-
ბით დაუსაბუთებელია და სრულიად უსაფუძვლოდ არის ნათქვამი.

ი ა ლ ო ი ლ უ - თ ა ფ ა

ალაზნის ველის კერამიკის მონათესავე თიხის ქურქელი და ზო-
გიერთი სხვა სამკაული აღმოჩენილია აგრეთვე აზერბეიჯანის სხვადა-
სხვა ადგილებში. აქ პირველად აღსანიშნავია აზერბეიჯანის სახელ-
მწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1926 წელს
აღმოჩენილი კერამიკა და ზოგიერთი სხვადასხვა სახის სამკაული
იალოულუ-თაფაში, რომელიც მდებარეობს სოფ. ნიჯის მახლობლად
მდინარე ყარ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე¹.

ექსპედიციის მიერ გათხრილი იყო ხუთი სამარე, სადაც აღმოჩე-
ნილ იქმნა ორი ცალი თუნგულა (ტიპ. I), გრძელნისკარტიანი ხელა-
დები ოთხი ცალი (ტიპ. III, III a), ერთი ცალი ორყურიანი ჩაფი
(ტიპ. VI), ერთი ჯამი (ტიპ. VIII a), ორი ჯამი (ტიპ. VIII b), სამი
ცალი ყურიანი ქოთანა (ტიპ. XI), სამი ცალი ბარძიმი (ტიპ. XIV),
ორი ბარძიმი (ტიპ. XIV a), ერთი ცალი ბირთვის მსგავსი სამფეხა
ღრმა თასი (ტიპ. XV a) და ზოგიერთი სხვადასხვა სახის ქურქელი.
აღმოჩენილ იქმნა აგრეთვე ბრინჯაოს, პასტის, შუშის, სარდოლი-
კისა და სხვა ქვის მძივები და ზოგიერთი სხვა ნივთები, რომელთა შო-
რის აღსანიშნავია ლითონის ორი ცალი მრგვალი „ფირფიტა“. ეტ-
ყობა ეს ორი „ფირფიტა“ საფლავებთან იყო დაკავშირებული, თუმ-
ცა ამის შესახებ დ. შარიფოვის აღწერილობაში არაფერია ნათქვამი.
„ფირფიტების“ სურათი მოცემულია დ. შარიფოვის წიგნში (ტაბ. I).

¹ ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობა და განათხარი მასალის აღწერი-
ლობა ცალკე წიგნად აქვს გამოქვეყნებული დ. შარიფოვის: Раскопки в
Ялойлы-Гапа, Издание О-ва Обследования и Изучения АССР, Баку 1927.
ა. ალექპეროვი ერთს თავის სტატიაში: „Материалы по археологии и эт-
нография Азербайджана“ (Известия О-ва Исследов. и Изуч. Азербайджана,
№ 4, Баку 1927, გვ. 243) აღნიშნავს, რომ სახელწოდება იალოიულუ-თაფა არ
არის სწორი და ამბობს იალოიულუ-თაფას მაგიერ უნდა ითქვას იალოიულუ-თეფე,
რაც ნიშნავს ცეცხლოვან ბორცვებს („Огниенные холмы“). ა. ალექპეროვის მიერ
შეგროვილი ცნობებით იქაური მკვიდრი მცხოვრებლები იმ ადგილს, რომელსაც
დ. შარიფოვი იალოიულუ-თაფას უწოდებს, ეძახიან „იალილი-თეფე“-ს (რაც ნიშნავს
ფლატეებიან ბორცვს, „Орнывыистый холм“) და „ჯუუდ-კაბარ“-საც. ეს უკანას-
კნელი კი ნიშნავს ჯუუდების საფლავებს. იქაური მოსახლეობა ჯუუდებს ეძახიან
საერთოდ ებრაელებს და კერძოდ უდებს, რომლებიც ეხლაც ცხოვრობენ იმ
რაიონში (ა. ალექპეროვი, გვ. 243).

ამ „ფორფიტებს“ მიტომ ვაქცევთ ყურადღებას, რომ ესენი, როგორც შემდეგში გაირკვა, ფულები გამოდგნენ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დათარიღებისათვის. ერთი ამ ფულთაგანი სრულებით გადაღესილი აღმოჩნდა და არ მოხერხდა მისი გარკვევა. მეორე კი რომაულ რესპუბლიკურ დენარს წარმოადგენს, რომელიც მიეკუთვნება პირველი საუკუნის მეორე ნახევარს ჩვენს წელთაღრიცხვამდე¹.

კ ი რ ო ვ ა ბ ა დ ის მ ხ ა რ ე

კიროვაბადის რაიონის ერთერთ კუთხეში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ფრანგმა მეცნიერმა ბარონ de Baye-მ შეაგროვა სხვადასხვა სახის ჭურჭელი და გადასცა ლუვრის მუზეუმს. ეს ჭურჭელი უკვე დიდი ხანია რაც გამოაქვეყნა M. E. Pottier-მ თავის შრომაში². ამ ჭურჭლიდან ხუთი ცალი, ცხადია, ეკუთვნის ალაზნის ველის კულტურას.

ბარონ de Baye-ს კიროვაბადის რაიონიდან გაუტანია სამფეხა თეფში (ტიპ. IX), გრძელნისკარტიანი ხელადა საწურით (ტიპ. IIIa), ორი ცალი ნისკარტიანი ხელადა (ტიპ. II), ერთი ცალი ქოთანი და სხვა ნივთები. ჭურჭელი ნაპოვნი ყოფილა სამარეუბში, სადაც კერამიკასთან ერთად უპოვნიათ რკინის ნივთებიც. ამ ჭურჭლის ოთხი სურათი ხელმეორედ გამოაქვეყნეს ტ. პ ა ს ე კ მ ა და ბ. ლ ა ტ ი ნ ი ნ მ ა ³.

კიროვაბადის მხარიდან, როგორც ეს არქეოლოგიური განყოფილების კატალოგშია აღნიშნული, საქართველოს მუზეუმს მოეპოვება შავი ფერის თიხის პატარა ქინკლა, რომელსაც დატანებული აქვს მუცლის ზემო ნაწილზე ვიწრო მილი (ინვ. № 20—32/12, ტიპ. IV). მოგვეპოვება აგრეთვე პატარა ტანის თუნგულა (ინვენტ. № 20—32/26, ტიპ. I), რომელიც მეტად ახლოს უდგება ალაზნის ველის კერამიკას.

¹ Е. А. Пахомов, Статуэтка из Молла-Исаклинского сельбиша и ее датировка. Известия Азербайджанского Филиала Академии Наук СССР, Баку 1936, гв. 24.

² E. Pottier, Note sur les poteries rapportées du Caucase par M. le baron de Baye (Bull. et Mém. de la Soc. nat. des antiquaires de France, Mémoires. Paris 1897, No No 17—21, гв. 1—16.

³ Т. Пассек и Б. Латынин, К вопросу о керамике из Ятойлу-Тапа. Известия О-ва Обследования и Изучения Азербайджана, № 4, Баку 1927. გვ. 219. ბარონ de Baye-ს კიროვაბადის მხარიდან სულ გაუტანია 23 ცალი ჭურჭელი, აქედან ჩვენთვის საინტერესოა ხუთი ცალი, რომლებიც ზემოთ არის მოხსენებული და რომლებიც ალაზნის ველის კერამიკას ენათესავება.

კიროვბადის მხარიდან აღსანიშნავია აგრეთვე ვ. სკინდერი ს გათხრები 1905 წ. ვ. სკინდერმა აქ გათხარა ყურლანი, რომლების მდებარეობდა კიროვბადსა და სოფ. ჩავდარს შუა მდებარე თვალ-უწვდენელ (30 კილომეტრზე მეტი სიგრძისა) მინდორზე¹, სადაც მოიპოვებოდა (და დღესაც ალბათ მოიპოვება) ორასამდე ყურლანი². ამ „მინდორის“ ბოლო ნაპირებზე ვ. სკინდერმა გათხარა 9 ყურლანი, მართალია, მეტად ლარიბი, მაგრამ ჩვენთვის მეტად საინტერესო ინვენტარით, საიდანაც ჩვენთვის საყურადღებოა ალაზნის ველის კერამიკის მეტად ახლო მონათესავე ქურქელი, მაგალითად დოჭი, რომლის პირი სამეურა ბალახის ფოთლის მაგვარია (ტიპ. II)³, ქინქილები ვიწრო მილით (ტიპ. IV)⁴, მილ-ნისკარტიანი ქურქელი იალოილუ-თაუასა და ნიჯის მაგვარი⁵, ქოთანი (ტიპ. X)⁶, ბრინჯაოს სამაჯური თავებგახსნილი და თავებგამსხვილებული⁷ ალაზნის ველზე აღმოჩენილი ტიპისა და სხვა.

არქეოლოგი იაკობ ჰუმმელი წერილით მატყობინებს, რომ მან აღმოაჩინა კიროვბადის მიდამოებში ალაზნის ველის კერამიკის ტიპის ნისკარტიანი დოჭები (ტიპ. II) და თავებგახსნილი და თანაც თავებგამსხვილებული სამაჯური ალაზნის ველის სამაჯურის ტიპისა⁸.

სოფ. ამირჯანლუ

სოფ. ამირჯანლუმში (ზაქათალის რაიონი) 1892 წ. უპოენიათოთხი ცალი სამფეხა-თეფში, რომლებიც გაუგზავნიათ მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, მაგრამ ეს ნივთები მუზეუმს არ შეუძენია და უკანვე დაუბრუნებია პატრონისათვის⁹.

¹ В. л. а. д. С. к. и. п. д. е. р. Опыт археологической разведки. Пятигорск 1906.

² Отчет Археологической Комиссии за 1903 год. С.-Петербург 1906, стр. 88.

³ Известия Археологической Комиссии Выпуск 29, С.-Петербург 1909-стр. 16, рис. 67.

⁴ Изв. Арх. Комиссии, Вып. 29, стр. 16, рис. 68, 72.

⁵ Изв. Арх. Комиссии, Вып. 29, стр. 16, рис. 69.

⁶ Изв. Арх. Комиссии, Вып. 29, стр. 16, рис. 71.

⁷ В. С. к. и. н. д. е. р. Опыт археологич. разв.

სამაჯურის ფოტო სურათი სკინდერის შრომას აქვს დართული ბოლოში.

⁸ ამ ნივთების სურათები გადმომიგზავნა ი. ჰუმმელმა, რაზედაც მას მადლობას ვუცხადებ.

⁹ А. Иессен, გვ. 34.

ყურუ-ყობა

კიროვბადის რაიონში, სახელდობრ ადგილ ყურუ-ყობადან, რომელიც მდებარეობს მდინარე აჯიგან-ჩაის ნაპირზე, სოფ. ჩემახლსა და გეოქ-თაფას შუა, შენობებისათვის საძირკვლის ამოთხრის დროს, უპოვნიათ ერთი ცალი სამფეხა ჯამი (ინვ. № 2673, ტიპ. IX), მოკლენისკარტიანი დოქები, რომელთა პირის ფორმა სამყურა ბალახის ფოთოლსა ჰგავს (ინვ. №№ 2663, 2664, 2666—2672, ტიპ. II), მრგვალტუჩიანი თუნგულა (ინვ. № 2665), ქოთანი (ინვ. № 2674), ორი კვაწია ყურით (ინვ. №№ 2675, 2676), ორყურიანი ქოთანი (ინვ. № 2661), ბრინჯაოს სამაჯური, რკინის რგოლების ნამტვრევები და სხვა¹. ეს კერამიკა თავისი ფორმით ენათესავება ალაზნის ველის ქურქელს, მხოლოდ დამუშავების ტექნიკით განსხვავდება და, უეჭველია, უფრო უხნესია ალაზნის ველის კერამიკაზე².

გეოქ-თაფა

გეოქ-თაფიდან ჩვენ მოგვეპოვება ქინკილა, რომელსაც მუცელზე ვიწრო მილი აქვს (ინვ. № 6—05, ტიპ. IV). ქინკილას დღეს უკვე ამძვრალი აქვს მილიცა და ყურიც; მილის ადგილას მუცლის ზემონაწილზე შერჩენილი აქვს ნაბურეტი, რაზედაც თავის დროზე მოწყობილი ყოფილა მილი. ამ ქინკილის განმასხვავებელ ნიშანს სხვა ამგვარი ქურქლისაგან წარმოადგენს ყური, რომელიც მილის გასწვრივ და არა გვერდზე ჰქონია გაკეთებული.

მილის ველი

ოირან-ქალას ნანგრევებში მიწის თხრის დროს ნაპოვნია გრძელნისკარტიანი (საწურით მოწყობილი) ხელადა, რომელსაც ფეხი მოტეხილი აქვს (ინვ. № 145—13/2, ტიპი III ა)³. იქვეა აღმოჩენილი

¹ ნივთები ინახება საქართველოს მუზეუმში. მათი აღწერილობა იხილეთ: Коллекция Кавказского Музея, Археология, Тифлис 1902, т. V, გვ. 117—119.

² ამ კოლექციიდან ა. იესენი იხსენიებს თავის შრომაში (Культура Мелиты-Тапа в Закавказьи) მხოლოდ „чаша на 3 ножках“ და ამ „чаша“-საც მდინარე აჯიგან-ჩაის და არა ყურუ-ყობას მიაწერს (გვ. 34).

³ თუ ამ დოქს რესტავრაციას გავუკეთებთ, მაშინ მივიღებთ ისეთნაირ ფორმის ქურქელს, როგორიც გაუტანია ბარონ de Baye-ს ყოფილ განჯის გუბერნიიდან (Иссек и Латышев, გვ. 219, სურ. 1) და როგორიც აღმოუჩენიათ აალოილუ-თაფაში (Ильин, სურ. 14, 13).

ორყურიანი მათარა (ინვ. № 71—07/2) იმავე ტიპისა, როგორც ნაპოვნი იყო სოფ. წინანდალში (ინვ. № 11—25/90), იყალთოში (ინვ. №№ 5—33/34, 35) და ნიჯში (ინვ. № 163—16/8), მხოლოდ უფრო კარგი ხელობისა და თანაც უფრო ახალი დროისა.

მულანის ველი

1913 წელს მულანის ველზე არხის თხრის დროს აღმოუჩენიათ ხუთი ცალი ნისკარტიანი ხელადა, რომლებსაც საწური აქვთ ნისკარტის ძირში დატანებული (ინვ. №№ 121—13/4—8, ტიპ. III). ოთხს მათგანს (საშუალო სიმაღლეა 24—19 cm, სიშსხო 17,5—16 cm) სახელურები გვერდზე აქვს გაკეთებული და ცალი თავით ტუჩის ნაპირზეა შეერთებული შეგრეხილი (სახელურები, თიხის ორი ჩხირიდანაა გაკეთებული, რომლის მაგვარი ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული ნიჯის კოლექციიდან (სურ. 32, 43). თითოეულ მათგანს ყელის გარშემო მისდევს უშნოდ გაკეთებული ამოღარული ზოლი.

ჩეხუთე კურკლის (ინვ. № 121—13/8 A) ყური არც „შეგრეხილია“ და არც უშუალოდ უერთდება ტუჩის პირს, თუმცა ყური ამასაც გვერდზე აქვს დატანებული. ხელადები უმორგვოდ არის გაკეთებული.

იმავე არხის მიწის სამუშაოების დროს აღმოუჩენიათ ორი ცალი დიდი ზომის დოქი (ინვ. №№ 121—13 A/3, 2), რომლებსაც მუცლის ზემო ნაწილზე დატანებული აქვთ მილები. ეს მილები მიიმართვიან ტუჩის ნაპირისაკენ თითქმის ვერტიკალურად, უერთდებიან ტუჩის პირს და იღებენ „ნისკარტის“ ფორმას. ყურები მოწყობილი აქვთ მილის გასწვრივ.

ერთი დოქი (ინვ. № 121—13A/3) ნაკეთებია მორგვზე; ყელის გარშემო მას მიუყვება ოდნავ ამოღარული და ერთიმეორეს 13 mm-ით დაცილებული ორი წრე, რომელთა შუა ჩხირის საშუალებით ნაჩხვლეტები გაუყეთებიათ. ამ დოქის სიმაღლეა 23 cm, სიშსხო 18,5 cm; ყური აქვს ბრტყელი და შუა წელზე ამოღარული.

მეორე დოქი (ინვ. № 121—13A/2) ნაკეთებია უმორგვოდ და მეტად ტლანქი ხელობისა არის. ყელის გარშემო მიუყვება უშნოდ გაკეთებული და ვიწროდ ამოღარული ხაზი. დოქის სიმაღლეა, 30,5 cm, ხოლო სიშსხო—25 cm. ორივე დოქი იმავე ტიპისაა, როგორც ე. ლალაიანმა სოფ. ნიჯში აღმოაჩინა (სურ. 37) და რომელსაც ის უწოდებდა ორყურიან კურკელს. ამნაირი კურკელი აღმოჩენილია იალოლიუ-თაფაშიაც (შარიფოვი, სურ. 17).

მულანის ველის კერამიკა შეღებილია ანგობით და თავისი ტექნიკით, ფორმების გამოყვანით, ბევრად ჩამორჩება ალაზნის ველის კერამიკას და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ უფრო ძველი დროისა უნდა იყოს ვიდრე ალაზნის ველის კურკელი. მულანის ველიდან, სახელდობრ ადგილ ყარადომლიდან, მოიპოვება აგრეთვე მსხვილყელიანი, დაბალი ტანის მოკლენისკარტიანი დოქი (ინვენტ. № 20—32/88), რომელიც უდაოდ მიეკუთვნება იალოილუ-თაფას კულტურას.

დეგმე-დერე ანუ დეხმე-დერე

ნიჯიდან 15 კილომეტრის დაცილებით და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ადგილ დეგმე-დერეში, სადაც მდინარე ახმედ-აგა-ჩაი გადასჭრის შარა გზას კუტკაშენ-ნუხას, 1927 წ. ალექპეროვმა აღმოაჩინა გრძელნისკარტიანი დოქი (ტიპი III), მრგვალი ფორმის მათარა და სხვა კურკელი, რომელიც ალაზნის ველის კულტურას ეფარდება¹.

დეგმე-დერედან ბაქოს მუზეუმში, როგორც ამას ე. პახომოვი წერილით მატყობინებს, ი. ჯაფარ-ზადეს მიუტანია იალოილუ-თაფას კერამიკის მსგავსი ნაშთები.

ე. პახომოვის სტატიიდან «Статуэтка из Молла-Исаклинского сельнища» ირკვევა აგრეთვე, რომ იალოილუ-თაფას კულტურის მონათესავე კერამიკა აღმოუჩენიათ სოფ. მოლლა-ისაკლში (ისმაილლის რაიონი). სახელდობრ, ამ ადგილიდან ცნობილია გრძელნისკარტიანი საწურიანი ხელალები, სახელურით გვერდზე (ტიპ. III) და კერამიკის ბევრი ნამტვრევები «частью тождественной с находками Д. М. Шарифова в Ялойлу-Тапа, частью близкой к ним»².

ე. პახომოვი იტყობინება აგრეთვე, რომ ამგვარი კერამიკის აღმოჩენას ადგილი ჰქონია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სოფ. შინგე-ჩაურში, ჯეირან-ქეჩმაში, ჩუხურ-იურთში (მდინარე პირ-საგათას მარჯვენა მხარე) და ს. ფილიფლიში (ვართაშენის

¹ А. Алекперов, Материалы по археологии и этнографии Азербайджана, № 4, Баку 1927, გვ. 243. А. Иессен, Культура Ялойлу-Тапа в Закавказьи, Сборник I, Госуд. Акад. Истории Материальной Культуры, Ленинград 1929, стр. 34.

² Е. А. Пахомов, стр. 25.

რაიონი). აზერბეიჯანშივე ადგილ ხოჯალაში ცნობილია სამფეხა „საინი“, რომელიც ტ. პასეკისა და ბ. ლატინინის გადმოცემით აღმოჩენილი ყოფილა ყურლანში (Т. Пассек и Б. Латынин, К вопросу о керамике из Ялойлу-Тапа, Изв. О-ва Обслед. и Изучения Азербайджана, № 4, Баку 1927, стр. 219—220). დაბოლოს აღსანიშნავია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული სამფეხა „საინი“ კომაროვის კოლექციიდან.

აი, არქეოლოგიის ყველა ის მასალა, რომელიც ალაზნის ველის კულტურას უნდა მივაკუთვნოთ ანდა მასთან მკიდრო ნათესაურ კავშირში დაეაყენოთ. შესაძლოა ამიერ-კავკასიაში და სხვაგან არსებულ მუზეუმებში (განსაკუთრებით აზერბეიჯანში და სომხეთში) კიდევ მოიპოვებოდეს ალაზნის ველის კულტურის მონათესავე მასალა, რომელიც არქეოლოგიური ლიტერატურისათვის უცნობია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, თუ მართლაც ასეთი მასალა სადმე არის, გამოქვეყნებული იქნება და ჩვენც მაშინ უფრო ფართო წარმოდგენა გვექნება ალაზნის კერამიკის გავრცელების შესახებ.

ახლა, თუ ჩვენ გავანაწილებთ ადგილმდებარეობის მიხედვით ალაზნის ველის და მის მონათესავე კერამიკის გავრცელებას და თანაც მხედველობაში ვიქონიებთ, თუ რა და რა სახის ჭურჭელი იქნა დაახლოებით ამ ადგილებში აღმოჩენილი, მაშინ ჩვენ წინ შემდეგი სურათი გადაიშლება, რომელიც ცოტად თუ ბევრად მთლიან წარმოდგენას მოგვცემს: (იხ. ცხრ. გვ. 57).

ეს სურათი დაახლოებით იმას გვეუბნება, რომ ყველაზე მეტი ჭურჭელი, რომელიც ჩვენ ახლა გვაინტერესებს, აღმოჩენილი ყოფილა ალაზნის ველზე, წინანდალში, იალოილუ-თაფაში და ნიჯში. ეს ადვილი გასაგებიც არას, ვინაიდან დანარჩენ ადგილებში (წინანდლის ჩათვლით) სისტემატური არქეოლოგიური გათხრები არ წარმოებულა და ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილ ნივთებთან. ეს სურათი დაახლოებით იმასაც გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი რიცხვი აღმოჩენილი ჭურჭლისა მოდის თუნგულებზე (38 ცალი, ტიპ. I), შემდეგ მოკლენისკარტიან ხელადებზე (34 ცალი, ტიპ. II და II a), მერმე სამფეხა თეფშებზე (32 ცალი, ტიპ. IX), თასებზე (23 ცალი, ტიპ. VII, VII a, VII b და XII), საწურიან ხელადებზე (17 ცალი, ტიპ. III, III a და III b), ქოთნებზე (16 ცალი, ტიპ. X), ვიწრო და მოკლემილიან ჭინჭილებზე (9 ცალი, ტიპ. IV), უურიან ქოთნებზე (9 ცალი, ტიპ. XI), ჩარებზე (7 ცალი, ტიპ. XIII, XIII a და XIII b), მაღალფეხიან ბარძიმებზე (7 ცალი, ტიპ. XIV XIV a), მათარებზე (7 ცალი), ჩაფებ-დერგებზე (6 ცალი, ტიპ. VI და VI a),

ადგილები, სადაც აღმოჩენილია ალანის ველის კერამიკის მონათხავე ტურქული

| ადგილების დასახელება | ალანის ველის კერამიკის ტიპები | | | | | | | | | | | | | | | მათარები და მილანისკარ. ტურქული | | | | | | | | | | | | | |
|----------------------------------|-------------------------------|----|-----|------|----|---|----|------|------|-------|-------|----|-----|----|----|---------------------------------|------|-------|-------|-----|------|----|-----|----------|----------|-----|----|----|---|
| | I | II | III | IIIa | IV | V | VI | VIIa | VIIb | VIIIa | VIIIb | IX | IXa | X | XI | XII | XIII | XIIIa | XIIIb | XIV | XIVa | XV | XVa | დარღვილი | დარღვილი | სულ | | | |
| ალანის ველი | 12 | 3 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 6 | 1 | 2 | 1 | 12 | 3 | 1 | 1 | 5 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | | | | 68 | |
| ს. ჭიკაურის | 1 | | | | | | | | | | | | 1 | 6 | | | | | | | | | | | 1 | | 7 | | |
| ს. ჩუღუცი თბილისი | 4 | 1 | | | | | | | | | | | 1 | 3 | | | | | | | | | | | | | 11 | | |
| ს. ანთოკის | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | | |
| ს. წინანდლის | 1 | 1 | 2 | | | | | 1 | | | | | 3 | 2 | 1 | | | | | | | | | | | | 24 | | |
| ალანის პირი | 1 | 1 | | | | | 1 | 1 | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | 4 | | |
| ს. ანგა | 3 | 2 | 1 | | | | | 1 | | | | | | 1 | 1 | | | | | | | | | | | | 12 | | |
| ს. პატარჭული | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| ს. ძველი გავაზი | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| ს. კეწეშხოხი | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| გურჯაანი | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 13 | | |
| უკალთო და სამთავრო | 1 | 1 | | | | | | | | 1 | 1 | | | 6 | 2 | | | | | | | | | | | | 3 | | |
| ნიჭი | 1 | 4 | 1 | | | | | | | 1 | 1 | | | 1 | 2 | 2 | | | | | | | | | | | 17 | | |
| იალილო-თაფა | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 18 | | |
| კიროვბაღის მხარე | 1 | 3 | 1 | 2 | 2 | | | | 1 | 1 | | | | 1 | 1 | 3 | | | | | | 3 | 1 | | | | 13 | | |
| ამიჯახლუ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 4 | | |
| ჭურჭული | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 10 | | |
| გეოკ-თაფა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| მილის ე. (ოირან-ქალა) | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| მულანის ე. (ყარადომლი) | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| დეგმე-დერე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| მთლალა-ისაკლი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| მიწვეთაური | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| ჯივირან-ქეჩმა | | | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| ჩუხუჩი იურთა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 7 | | |
| სულ | 38 | 31 | 3 | 9 | 7 | 1 | 9 | 1 | 3 | 3 | 3 | 5 | 8 | 1 | 3 | 2 | 32 | 16 | 9 | 2 | 5 | 1 | 4 | 3 | 2 | 2 | 5 | 4 | 3 |

ჯამებზე (6 ცალი, ტიპ. VIII, VIII a და VIII b) მილ-ნისკარტიან ღოჭებზე (5 ცალი) და დელფიკურთებზე (4 ცალი, ტიპ. XV და XVa). ამგვარად გამოდის, რომ ყველაზე მეტი რიცხვი მოდის ისეთ ქურქლებზე (თუნგულებზე, ხელადებზე, სამფეხა თეფშებზე, თასებზე და გრძელნისკარტიან ხელადებზე), რომლებსაც უფრო მეტი საყოფაცხოვრებო პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა.

ალაზნის ველის თიხის ჰურჯლის საერთო დახასიათება და ზოგიერთი მათგანის ბანაზისი

ა) ალაზნის ველის თიხის ქურქელი უმთავრესად არის როგორც შავი ფერისა, ისე აგრეთვე მოწითურისაც და ყოფილა ხმარებაში ერთსა და იმავე დროს, ვინაიდან ეს ორივე სახის კერამიკა ჩვენ გვხვდება ერთსა და იმავე საფლაკებში (მაგალითად, საფლაკები №№ 1, 2, 4, 5, 6 და 7). შავი და წითელი ფერის კერამიკის ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე დროში არსებობა აიხსნება თვითონ კერამიკის დამზადებისა და გამოწვის ტექნიკით. როდესაც კერამიკა წითლადაა გამომწვარი, ეს მისი მაჩვენებელია, რომ ქურქელი გამოვლილია ისეთ ტემპერატურაში, რომლის დროსაც მური და ნახშირი ოქსიდირებულია და ყოველგვარი ორგანული ნივთიერებანი, რომლებიც კი იყვნენ აყალო მიწაში გამოწვის წინ, დამწვარი არიან და რკინაც თიხაში გაწითლებულია, ვინაიდან ის გადასულია Fe_2O_3 -ში. შავად გამომწვარ კერამიკაზე კი ჩვენ ამას ვერ ვიტყვით და რკინაც მასში შემავალი არის FeO სახით. მართალია, არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც წითლად გამომწვარ ქურქელს კვამლის საშუალებით აშავებდნენ ხოლმე, მაგრამ ამას დეკორატიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ბ) შავი და წითელი ფერის კერამიკის შემადგენლობა ერთიმეორეს უახლოვდება. შავი ფერის კერამიკის შემადგენლობაში შედის: 61,34% SiO_2 , 18,88% Al_2O_3 , 7,42% Fe_2O_3 , 4,43% CaO , 0,74% MgO , 0,83% SO_3 , სინესტე 1,75% და ხურებით ნაკარგი 4,28%. წითელი ფერის კერამიკა შესდგება: 62,85% SiO_2 , 14,78% Al_2O_3 , 7,91% Fe_2O_3 , 7,45% CaO , 0,74% MgO , 0,54% SO_3 , სინესტე 0,20% და ხურებით ნაკარგი 5,44%. ორივე ფერის ქურქლის აყალო მიწა ერთიდაიმავე მიდამოდან არის აღებული, ხოლო თიხის დამზადება სხვადასხვანაირი ყოფილა. შავი ფერის კერამიკაში უფრო მეტი სილიკატებია, რაც შეგლოდა შავი ფერის თიხის

ქურქელს (მაგალითად, ფეხიან ბარძიმებს) არ მიელო დეფორმაცია გაშრობისა და გამოწვის პროცესში (სილიკატები კარკასის როლს თამაშობდნენ ამ შემთხვევაში).

გ) წითელი ფერის კერამიკა უფრო ფოროვანია ვიდრე შავი ფერის ქურქელი. ეს აიხსნება სხვათა შორის იმ გარემოებითაც, რომ შავი ფერის კერამიკას უსვამდნენ ფისს, ქონს ან სანთელს, რომ მურო უფრო კარგად ჩამჯდარიყო მის კედლებში და მიეცა შავი ფერი.

ფოროვანობის გამოსაანგარიშებლად თუ გამოვიყენებთ ცნობილ ფორმულას — $\frac{W - P_n}{P_2} \cdot 100$ — დავრწმუნდებით, რომ წითელი კერამიკის ფოროვანობა განისაზღვრება 14,3%-ით, ხოლო შავი კერამიკისა — 4%-ით.

დ) როგორც შავი, აგრეთვე წითელი ფერის თიხის ქურქელის კედლებს კარგად ეტყობათ გალესვა, რომ ნაკლებ ყოფილიყო სითხისათვის გამჟონავი და თანაც სილამაზე მისცემოდა.

ე) სკოდნიათ აგრეთვე გამოწვის წინ ქურქელზე ნაცრის მოყრა, რომ უფრო პრილა ზედაპირი გამოსვლოდა და თანაც სითხის გამოჟონვა შემცირებულყო.

ვ) ქურქელის გასალამაზებლად გამოყენებულია ანგობა, რომლის საშუალებით ქურქელის ტანზე გამოყვანილია წრეები, ტეხილი და სხვა სახის ხაზები.

ზ) უმეტეს შემთხვევაში ქურქელი მორგვზეა ნაკეთები, იშვიათად გვხვდება ხელით ნაკეთები.

ს) ანგობას გარდა დეკორატიულ ელემენტებად გამოყენებულია ლურსმნის თავის მაგვარი ბორცვები, „ქლოვანი“ და „წინწყლებიანი“ ორნამენტი, დრვილისებური მორჩები და ორწახნაგოვანი წამონაშვერდ ამავე მიზნით იცოდნენ ქურქელის გალესვაც, რისთვისაც ქურქელს ზოგჯერ ამოავლებდნენ თიხის თხელ ფაფაში.

თ) ორნამენტებით, საერთოდ, ღარიბია ალანის ველის კერამიკა.

ი) სამფეხა თევზებს ფეხების გაკეთების დროს „კოტას“ ატანებდნენ, რომ ფეხი უფრო მაგრად დამაგრებულყო.

ია) თითოეულ ქურქელს აქვს ყური, გარდა ერთი ქოთნისა და ორი ცალი კვაწიისა (ინიატურული ქოთნისა).

იბ) ყურების ზემო თავები ყოველთვის, როგორც წესი, უშუალოდ უერთდება ქურქელის ზემო პირს. ალანის ველის კერამიკიდან მხოლოდ ერთ ცალ ჩაფსა და ერთ დერგს აქვს დატანებული პატარა ზომის ორი ყური ტანის შუა ნაწილზე, რომ უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო ქურქელის დაძვრა.

ყურები ყველა ბრტყელი ფორმისაა და ზოგიერთს მათგანს აქვს მოწყობილი ცერის დასაყრდნობი.

ივ) თევზს და ჯამებს ყურები უმთავრესად კედელზე და ან სხვა რამეზე აქეთ გაკეთებული თოკით ჩამოკიდების მიზნით.

იღ) კერამიკის ფორმები მრავალფეროვნობას განიცდის და რთული პროპორციებით ხასიათდება.

იე) ქურქლებისათვის ფართოდ არის გამოყენებული კონსტრუქციული ელემენტები: ნისკარტი, საწური, ფეხები და სხვა.

ივ) ზოგიერთ ქურქელს მეტად მკვეთრი გადაზნევა ახასიათებს ტანის შუა წელზე.

იზ) კერამიკა კარგადაა დამუშავებული და ეტყობა სპეციალურად გაკეთებულ ქურქებშია გამოძწვარი. არის შემთხვევები ცუდი გამოწვისაც.

იძ) კრიტოლის ლუმელებში ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ შავი ფერის კერამიკის „ცხოზის“ ტემპერატურა 1130°C უდრის, ხოლო „დნობისა“ — 1180°C .

ით) წითელი ფერის კერამიკის „ცხოზის“ ტემპერატურა 1160°C -ით განისაზღვრება, ხოლო „დნობისა“ — 1200°C -ით.

კ) ასეთი განსხვავების მიზეზი „დნობისა“ და „ცხოზის“ ტემპერატურებში, რომელიც შავსა და წითელ კერამიკას ახასიათებს, უნდა ვეძიოთ თვითონ მათი ქიმიური ელემენტების შემადგენლობის რაოდენობაში, სახელდობრ, შავი თიხის კერამიკაში Al_2O_3 შეადგენს $18,88\%$, წითელ კერამიკას კი აქვს $14,78\%$. ვინაიდან Al_2O_3 ითვლება უფრო ადვილ მადნობელ ნივთიერებად, აქედან ადვილი გასაგებია, თუ რად არის შავი კერამიკის „ცხოზისა“ და „დნობის“ ტემპერატურა წითელ კერამიკაზე უფრო ნაკლები.

კა) წითელი ქურქლის ნაპირებს უფრო ეტყობა ხიწვიანობა და თანაც წყალსაც უფრო ხშირად იზიდავს, რაც, სხვათა შორის, ქურქლის ნორმალურ გამოწვაზე მიგვითითებს.

კბ) წითელი ქურქლის რაოდენობა შავ ქურქელთან შედარებით ბევრად უფრო დიდია. მათი ერთიმეორესთან შეფარდება რაოდენობის მიხედვით დაახლოვებით უდრის, როგორც 3 : 1.

კვ) შავი ფერის კერამიკა თავისი ფორმების მიხედვით უფრო მეტს არაქაულ ელემენტებს ატარებს, ვიდრე წითელი ფერის თიხის ქურქელი და თანაც ეტყობა, რომ მათ უფრო სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე ყოველდღიური, პრაქტიკული. ვფიქრობთ, მაღალფეხიანი ბარძიმის ფორმა შემდეგში ქრისტიანობის მსახურებმა გამოიყენეს, რასაც თიხის მაგივრად ლითონისგან აკეთებდნენ.

კდ) ალაზნის ველის თიხის ქურქლის განვითარება მარტივი ფორმებიდან უფრო რთულ ფორმებისაკენ ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

თუნგულების, ხელადებისა და დოქების უახლოეს მარტივ ფორმად ჩვენ უნდა დავსახოთ მრგვალტუჩიანი ქურქელი დიდი ყურით (სურ. 63 a და 64 a). ცხადია, ამ ქურქელს კიდევ წინ უსწრებდა უფრო მარტივი ფორმა, რომელსაც ჩვენ აქ არ ვიხსენიებთ და რომელიც ალაზნის ველის კერამიკას აღარ შემორჩა.


მრგვალტუჩიან თუნგულის შემდგომ უფრო განვითარებულ ფორმად ჩვენ უნდა ჩავთვალოთ ნისკარტიანი ხელადა (სურ. 63 b¹ და სურ. 64 b), რომელსაც შემდგომი განვითარების სტადიაზე ყური გვერდზე უკეთდება (სურ. 63 c და სურ. 64 c) ისეთნაირად, რომ ეს ყური პერპენდიკულარულად ხედება ნისკარტის მიმართულების ხაზს და მოწყობილი იყო მარჯვენა ხელით სახმარად, თანაც ხელადას პირის უკანა ნაწილი უფრო გაშლილი აქვს¹. ამგვარი ქურქელიდან შემდეგ განვითარებულია ჯერ მოკლე ნისკარტიანი საწურიანი ქურქელი (სურ. 63 d და სურ. 64 d), მერმე კი—მეტად გრძელნისკარტიანი (სურ. 63 e და სურ. 64 e), ესეც საწურით მოწყობილი ქურქელი, რომელსაც ნისკარტის ნაპირები უშუალოდ ერთვის პირის ნაპირებსა და ერთ მთლიან შეუწყვეტელს სამყურა ბალახის ფოთლის ფორმის ხაზს ჰქმნის, თანაც ნისკარტის უკან მდებარე ტუჩის ნაპირები ფართოდ იშლება.


ამასთანავე ქურქლის ყური ამოღარულ ფორმას იღებს და ზემო ნაწილზე უშუალოდ ქურქლის ტუჩის ნაპირებს ერთვის და „რქების“ მაგვარად ფორმდება.

ამგვარი ფორმის ქურქლიდან დასაშვებია უფრო რთული პროპორციების მქონე ქურქლის წარმოშობა (სურ. 63 f და სურ. 64 f), რომელსაც ნისკარტის ნაპირები უშუალოდ აღარ ერთვის ტუჩის ნაპირებს და ეყოფიან მას დაფანჯრული, საწურად გამოყენებული ფირფიტის საშუალებით.

მრგვალტუჩიანი თუნგულის განშტოებას ალაზნის ველის კერამიკის ფორმების საფუძველზე წარმოადგენს ვიწრო და თანაც მოკლემილიანი ჰინქილა (სურ. 63 g და სურ. 64 g) და მარტივი ფორმის მათარა (სურ. 63 j და სურ. 64 j). ვიწრო მოკლემილიან ჰინქილას შემდგომი განვითარების საფეხურზე მილი თანდათან უგრძელდება, უფრო პერპენდიკულარულად ექცევა (სურ. 63 h და სურ. 64 h) და


¹ გვერდზე გაკეთებულს ყურს ის დანიშნულება ჰქონდა, რომ უკეთესად გადმოესხათ ქურქლიდან სითხე.





დაბოლოს კიდევაც უკავშირდება ჭურჭლის ტუჩის პატარა ზომის „ხიდის“ საშუალებით (სურ. 63 i და სურ. 64 i), როგორც ჩვენ ამას ვხედავთ ნიჯის (სურ. 57), იალოილუ-თაფასა (შარიფოვი, სურ. 17) და მულანის ველის (სურ. 73 b) ჭურჭლების მაგალითებზე.

ალანის ველის მარტივი მათარა (სურ. 63 j და სურ. 64 j) გადაღის უფრო რთულ ფორმაში (სურ. 63 k), მას უკეთდება ცალი გვერდი ბრტყლად, რომ უფრო მარჯვე ყოფილიყო ადამიანის მიერ მისი ჩამოკიდება გვერდზე მოგზაურობის დროს, ხოლო მეორე გვერდზე უნდება ძალზე ამობურცულად გამოყვანილი „კამენი“ (k₁) (სურ. 63 k), რომელიც ატარებს დეკორატიულსა და თანაც ტიკის კამენის მიმბაძველობის ხასიათს. ამ მათარის ეს „კამენი“ იმავე წესით არის გაკეთებული, როგორც ტიკის კამენი.



სურ. 65

მათარის კრილი ბორცვის გასწვრივ

როდესაც მათარა გაუკეთებიათ მორგვე¹ და „კამენის“ ადგილას ვიწრო ნახვრეტი დარჩენილა (სურ. 65 d) ისე, როგორც ეს

¹ მათარის ბრტყელი გვერდი უშუალოდ მორგვე იყო დადებული და ისე იყო ჭურჭელი გაფორმებული.

დაურჩება ხოლმე ტიკის გასაკეთებლად განკუთვნილ ტყავს, მაშინ ცალკე გაუკეთებიათ თიხის „კამენი“, ჩაუსვამთ ამ ნახერცში (სურ. 65 b) და „კამენის“ ქვემო ნაწილი თიხით (სურ. 65 c) შემოილესავსთ და შეუერთებიათ მათარის სხეულთან. დამუშავების ამგვარი ტექნიკა დღეს ნათლად არის დადასტურებული „კამენიან“ ყველა მათარებზე, რომლებსაც შიგნიდან კარგად ეტყობათ მორგვზე გაკეთების დროს „კამენის“ ადგილას დარჩენილი ნახერცი. ეტყობათ აგრეთვე, თუ როგორ არის „კამენი“ ჩასმული და შემდეგ შემოლესილი. ასე რომ ამგვარი ტიპის მათარის წარმოშობას უეჭველია საფუძვლად დაედო ალაზნის ველის მათარის მაგვარი თიხის ქურქელი (სურ. 17) და წყლისათვის სახმარებელი „ტიკი“.

შენიშვნა: ს. წინანდლის მათარის ტიპის ფორმიდან (სურ. 39) განვითარებულია დუბლირებული მათარა (სურ. 64 l და სურ. 40), რომელსაც კიდევ კარგად აქვს შერჩენილი „კამენი“.

რაც შეეხება ნიჯის პატარა ზომის მათარას (სურ. 64 m) ის უეჭველად დაკავშირებულია როგორც წინანდლის მათარის ფორმასთან (სურ. 64 k), აგრეთვე ვიწრომილიან კინკილასთან (სურ. 64 n, k, g).

ნიჯის მეორე სახის მათარა (სურ. 59) კი განვითარებულია წყლის შორს წასაღებად გაკეთებული ისეთი ხის ქურქლისაგან, რომელსაც სვანეთში „ოხარ“-ს, რაჭაში „საგომს“ ანუ „საგომელასა“ და ხევსურეთში „ორძირას“ ეძახიან.

ს. ჩუმლაყის მათარა (სურ. 37), როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, განვითარებულია ორი თუნგულის ერთიმეორესთან შეერთებით, რის დაახლოვებით წარმოდგენას ჩვენ გვაძლევს სურ. 38.

ასე რომ ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია ზოგიერთ მკვლევართა მოსაზრებანი, ვითომც მათარები წარმოშობილი იყოს ერთისა და იმავე ფორმის ქურქლისაგან.

ალაზნის ველის მძივების დახასიათება

ალაზნის ველის მძივები გარდა გიშრისა (საფ. 3, ტაბ. VI d), სარდოლიკის (საფ. 6, ტაბ. XI b), ტოპაზის (საფ. 7, ტაბ. XIII a) და ბრინჯაოს (საფ. 7, ტაბ. XIII d და საფ. 3, ტაბ. VI k) მძივებისა ნაკეთები არის სხვადასხვა შემადგენლობის პასტისგან, რომელიც საერთოდ შეიცავს დიდის რაოდენობით სილიკატებს. ეს სილიკატები მძივებისათვის წარმოადგენენ ერთგვარ ჩონჩხს და თანაც მწვლად გასადნობ მასას.

მძივებს (ტაბ. VI a, c, e, f; ტაბ. XI a, b, c, d, g; ტაბ XIII c) შქრქალი ფერი აქვთ, ადვილად იმსხვრევიან და ამ ნამსხვრევებსაც შქრქალი ფერი დაჰკრავს.

სამწუხაროდ, ჩვენი მძივების ქიმიური ანალიზი ზოგიერთ შემთხვევაში ექვს ბადებს (მაგალითად, SO_3 ძალზე დიდი რაოდენობა მძივებ c-ში, ტაბ. XI და სხვა). ვინაიდან ანალიზისათვის ვერ გავიმეტეთ საკმაო რაოდენობის მძივები, ამიტომ ვეღარ მოვახერხეთ საკონტროლო ანალიზის ცდების ჩატარება. ამნაირი საქმის გარეშობა გვაიძულებს მძივების მინერალური შემადგენლობის გამოანგარიშებისგან თავი შევიკავოთ.

ჩატარებული თერმიული ცდები ჩვენს მძივებზე, განსაკუთრებით მისი „დნობისა“ და „ცხობის“ ტემპერატურის განსაზღვრის დროს, გვიკარნახებენ იმას, რომ მძივები იძლევიან შუშისმაგვარ მასის თვისებებს. ამ თვისებებზე მიგვითითებს ამავე მძივების ჩამოტეხილი ნაპირები, რომლებსაც ეტყობათ შქრქალი ბრწყინვა. ეს თვისებები გარეგანი შეხედულობით უფრო ნათლად გამოსკვევის მძივებზე h და f-ზე (ტაბ. XI) და e-ზე (ტაბ. XIII). ამ მძივებს ბრწყინვალა ფერი დაჰკრავს, მეტად თხელ-თხელი „ფენები“ ძვრება და ირიზებულ შუშის თვისებებს გვაძლევს.

მძივები b (ტაბ. XIII) და b (ტაბ. VI) მეტად საინტერესონი არიან დამუშავების მხრივ. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მძივებს b-ს (ტაბ. XIII) ეტყობათ სპირალისებური სხვადასხვა ფერის ზოლები. გამადიდებელი შუშის საშუალებით ადვილი შესამჩნევი ხდება ამ ზოლებში მოქცეულ ნივთიერებათა ერთიმეორისგან განსხვავება. ამ განსხვავებას იძლევა აგრეთვე თერმიული ცდები, ვინაიდან სხვადასხვა ფერის „ზოლები“ სხვადასხვა ტემპერატურის დროს იწყებენ როგორც „ცხობას“, ისე აგრეთვე „დნობას“. ეს გარემოება კი იმას გვეუბნება, რომ მძივების გასაკეთებლად ჯერ დაუმზადებიათ სხვადასხვა ფერის თხელი ფენები შუშისმაგვარი შემადგენლობის მასისა, ხოლო შემდეგ ეს ფენები ერთიმეორეზე დაულაგებიათ და ერთად შეუკრებიან, რის დროსაც მძივებს გამოჰყვა სპირალის მსგავსად მიმდევნო სხვადასხვა ფერის ზოლები.

დაახლოვებით ამავე წესითაა ნაკეთები მძივები b (ტაბ. VI), რომლებსაც შუა წელზე თეთრი ზოლი მიუყვება. სხვათა შორის, ეს ზოლი სურათზედაც კარგად შესამჩნევია (ტაბ. VI b, მეხუთე მძივი მარცხნიდან).

მძივები b (ტაბ. VI) სხვა მხრივაც საინტერესონი არიან. ეს მძივები HCl მოქმედებით მეტად თვალსაჩინოდ იძლევიან რეაქციას რკინაზე.

ლიტერატურა იალოილუ-თაფას კულტურის შესახებ

როგორც ზემოთ აღნიშნული გეკონდა, ალაზნის ველის კულტურას მკიდრო ნათესაური კავშირი აქვს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ეგრეთწოდებულ იალოილუ-თაფას კულტურასთან და ორივე ერთსა და იმავე დროს უნდა მივაკუთნოთ.

იალოილუ-თაფას კულტურის შესახებ პირველად დ. შარიფოვი დაბეჭდა სტატია („Раскопки в Ялойлу-Тапа“, Материалы Азгосмузея, Баку 1927), თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ M. E. Pottier-ის მიერ გამოქვეყნებულ ლუვრში დაცულ იალოილუ-თაფას მაგვარ ქურქელს, რომელიც შეგროვილი იყო ფრანგ არქეოლოგ ბარონ de Baye-ს მიერ ყოფილ განჯის გუბერნიაში (Bull. et Mém. de la soc. nat. des antiquaires de France, Mémoires, Paris 1899)¹.

თავის სტატიაში დ. შარიფოვი იძლევა იალოილუ-თაფაში ჩატარებულ არქეოლოგიური გათხრების ანგარიშს, იქ აღმოჩენილი ნაშთების აღწერილობას, ასხვავებს ორი სახის კერამიკულ ნაწარმს, სახელდობრ, შავსა და ღია ფერის ქურქელს (გვ. 15) და, „не делая никаких выводов“ (გვ. 32), მაინც აღნიშნავს, რომ ღია ფერის კერამიკა შავი ფერის კერამიკაზე უფრო ახალი დროის არისო (გვ. 23). როგორც შავი ფერის კერამიკას, აგრეთვე ღია ფერის კერამიკას ავტორი მიაწერს ორ სხვადასხვა ხალხს, რომლებსაც მოსულად სთვლის. დ. შარიფოვის ვარაუდით საიდანღაც ჯერ მოსულა და დასახლებულა შავი კერამიკის მატარებელი ხალხი, რომელიც დაუპყრია შემდეგში მოსულ ღია ფერის კერამიკის მქონე უფრო ძლიერსა და უხეშ ხალხს. ამის შემდეგ ხმარებაში შემოსულა ჯერ ღია ფერის საუცხოვო ფორმის ქურქელი და შემდეგ კი მოთხოვნილება კერამიკისა კმაყოფილდებოდა საერთოდ გავრცელებული უხეში ჩვეულებრივი ფორმის ქურქლით (გვ. 23). ამავე დ. შარიფოვის აზრით „некоторые из сосудов, как черной, так и светлой глины, даже большинство их, по линиям своих частей и в целом стремятся возвыситься до классических образцов античного мира“ (გვ. 24)².

¹ ბარონ de Baye-ს ეს ქურქელი შეუძენია უცხო პირებისაგან, რომლებსაც აღნიშნული ქურქელი მოპოვებული ჰქონიათ ან გაძარცვის მიზნით გათხრილი სამარეებიდან და ან შემთხვევით მიწის სამუშაოების დროს. M. E. Pottier-ის აღწერილობიდან ამონაწერი და რამდენიმე ქურქლის სურათი მოყვანილი აქვს ტ. პასეკსა და ბ. ლატინინს თავიანთ შრომაში: К вопросу о керамике из Ялойлу-Тапа, Изв. О-ва Обслед. и Изуч. Азерб., Баку 1927, IV, стр. 218—219.

² რაც შეეხება დათარიღებას, ამის შესახებ დ. შარიფოვი არაფერს ამბობს და საკითხს ღიად სტოვებს.

ცხადია, რომ დ. შარიფოვის ასეთს ვარაუდს არავითარი მეცნიერული საფუძველი არ აქვს და, როგორც ჩვენ ამას შემდეგში დავინახავთ, არც იალოილუ-თაფას კერამიკაში გამოირჩევა ისეთი ქურქული, რომელსაც აქვს მისწრაფება „возвыситься до классических образцов античного мира“.

დ. შარიფოვის სტატიამ იალოილუ-თაფას კერამიკის შესახებ არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია არქეოლოგიაში, ვინაიდან იალოილუ-თაფაში აღმოჩენილი ნივთები თავისი რაოდენობითა და ფორმების სხვადასხვაობით ცოტად თუ ბევრად ახალი იყო კავკასიის არქეოლოგიისათვის.

ამ არაჩვეულებრივი ინტერესით აიხსნება ის გარემოებაც, რომ იალოილუ-თაფას კულტურას ცალკე წერილები უძღვნეს და თავიანთ შრომებში გააშუქეს ეს კულტურა როგორც საბჭოთა კავშირის, აგრეთვე უცხოეთის არქეოლოგებმა.

იალოილუ-თაფას კულტურის შესახებ დ. შარიფოვს გარდა ცალკე წერილი დაბეჭდეს ტ. პასეკმა და ბ. ლატინინმა¹, სადაც ავტორები ხელმეორედ აქვეყნებენ ბარონ de Baye-ს მიერ შეძენილ ქურქულს ყოფილ განჯის გუბერნიაში ოთხი ცალის რაოდენობით და² იხსენიებენ აგრეთვე ხოჯალას ერთერთ ყურღანში აღმოჩენილ სამეფა „ჯამს“, რომელსაც ათარილებენ ჩვენი წელთაღრიცხვის წინადროის პირველი ათასეულის პირველი საუკუნეებით³. ამასთანავე ავტორები გამოსთქვამენ იმედს, რომ შესაძლოა იალოილუ-თაფას კულტურა დაუკავშიროთ ამიერ-კავკასიაში ცნობილ უკვე ძველ კულტურებს და თვით ეგეოსის კულტურასო (გვ. 221), თუმც ამ კავშირის შესახებ არაფერს ამბობენ.

ამრიგად გამოდის, რომ არსებითად ვერაფერი ახალი რამ სთქვეს აზერბეიჯანის არქეოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებმა და სრულიად სამართლიანად აღნიშნა ეს ა. იესენმა, როდესაც, თავის შრომაში (Культура Ялойлу-Тапа в Закавказье) სთქვა, რომ „Статья его“, ლაპარაკია დ. შარიფოვზე, „Однако ограничивается кратким отчетом и описанием найденных предметов, не пытаясь определить культурную принадлежность могильника и значение его для выяснения прошлого Закавказья. Не определила этого значения и последующая заметка Т. С. Пассек и Б. А. Латынина“ (გვ. 27).

¹ Т. Пассек и Б. Латынин, К вопросу о керамике из Ялойлу-Тапа, Изв. О-ва Обсл. и Изуч. Азерб., IV, Баку 1927.

² შეად. А. Иессен, გვ. 36.

დ. შარიფოვის წიგნს „Раскопки в Ялойлу-Тапа“ გამოეხმაურა ფინელი არქეოლოგი A. Tallgren-ი, რომელმაც ერთს თავის სარეცენზიო წერილში: *Das Kaukasusgebiet*¹ იალოილუ-თაფას საფლავები დროის მიხედვით მიაკუთვნა ლიტერატურაში ფართოდ ცნობილ კობანის სასაფლაოს და თანაც განმარტა, რომ „die lackierten Schalen auf hohem Fuss (ლაპარაკია შარიფოვის მიერ გამოქვეყნებულ იალოილუ-თაფას კერამიკაზე) erinnern an Mykenische Vasen. Die Kultur Azerbaidžans war in dieser Zeit vermutlich gegen Klein-Asien hin orientiert“ (S. 199).

უფრო ვრცელი წინასწარი დახასიათება იალოილუ-თაფას კულტურის შესახებ ჩვენ მოგვცა A. Иессен-მა ერთს თავის შრომაში: *Культура Ялойлу-Тапа в Закавказье*².

ა. იესენი ცდილობს თავი მოუყაროს და მთლიანად გვიჩვენოს ყველა ის ნაშთი, რომელიც იალოილუ-თაფას კულტურას ეფარდება, მაგრამ ამ მიზანს ის ვერ აღწევს, ვინაიდან მთელი რიგი ნაშთებისა, რომლებიც იალოილუ-თაფას კულტურას ეკუთვნის, მას არ აქვს თავის შრომაში მოხსენებული. აქედან თავისთავად ცხადია, რომ მის მიერ შედგენილი რუკა, რომელიც ისახავს იალოილუ-თაფას კულტურის გავრცელებას, მეტისმეტად შეკვეცილია და რუკაზე მოხვედრილია მხოლოდ ამ კულტურის აღმოჩენის ოთხი ადგილი, სახელდობრ: a) ნიჯი და იალოილუ-თაფა, b) დეგმე-დერე, c) ამირჯანლუ და d) ჭიაური³. აქედან გასაგებია, რომ თვით იალოილუ-თაფას კულტურის გავრცელების არე მთლიანად არ არის წარმოდგენილი ა. იესენის მიერ და, რასაკვირველია, მთლიან სურათს არ იძლევა უკვე არსებული მასალების მიხედვით.

თავის შრომაში ა. იესენიც იმეორებს უკვე ზემოთ ნახსენები ავტორების მოსაზრებებს, რომ იალოილუ-თაფას კერამიკის გენეზისი მიგვითითებს მიკენისკენ და საერთოდ მცირე აზიასა და ეგეოსის კულტურებისკენ. დაბოლოს ავტორი გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ იალოილუ-თაფას კერამიკის ფორმების თავისებურება აიხსნება „замкнутостью занимаемой ею территории“, რამაც გამოიწვია ეკონომიური ცხოვრების კარჩაკეტილობა. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი უნდა მომხდარიყო მატერიალური კულტურის ფორმების

¹ Eurasia Septentrionalis Antiqua, Helsinki 1928, B. III, S. 199.

² Сборник Госуд. Академии Истории Материальной Культуры, Ленинград 1929, I, стр. 25—40.

³ A. Иессен, стр. 27.

განვითარების რამდენადმე განკერძოება (გვ. 38). ამავე გვერდზე ა. იესენი აღნიშნავს, რომ საერთო ჯამში იალოილუ-თაფას კერამიკა გენეტიკურად გადაბმულია წინააზიის ფართო ქვესაფუძველზე და რომ ეს კერამიკა იმეორებს ზოგიერთ ფორმებს, რომლებიც უფრო ადრე ჰქონდა ყოფაცხოვრებაში ამ კულტურული ქვეყნის წამყვან ცენტრებს. იალოილუ-თაფას კულტურას ავტორი მიაკუთვნებს ერთ ტომს ან ტომთა წყებას, რომლებიც ცხოვრობდნენ ძველი აღბანეთის ტერიტორიაზე (გვ. 39), რაც ნაწილობრივ სამართლიანად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იალოილუ-თაფას კერამიკა გენეტიკურად შესაძლოა დაუკავშირდეს არა მარტო წინააზიას, არამედ სხვა ქვეყნებსაც.

ურანც ჰანჩარიც (Franz Handjar) ერთს თავის შრომაში¹ ვერცლად იხსენიებს იალოილუ-თაფას კულტურას და აღნიშნავს, რომ ის იცნობს ამიერ-კავკასიიდან ერთ ჭურჭელს „ასკოს“ (მათარას) (Askos) სახელწოდებით. ამ ჭურჭლის სურათი არის მოცემული, როგორც დ. შარიფოვის შრომაში („Раскопки в Яллойлу-Тапа, სურ. 2), ისე აგრეთვე ა. იესენის ნაკვლევიც (Культура Яллойлу-Тапа в Закавказьи, სურ. 17) და აღმოჩენილია იალოილუ-თაფაში. ფ. ჰანჩარის მიხედვით „er steht den Luristan-Gefässen gleicher Art“ (გვ. 82).

ფ. ჰანჩარი ემხრობა მ. მაიერის² აზრს, „ასკოს“ წარმოშობის ცენტრს ათავსებს ახლო აღმოსავლეთში (ESA, IX, S. 82), მის მთავარ გავრცელების არედა სახავს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის ტერიტორიას და ამბობს, რომ ეგვიპტეში (J. de Morgan, Recherches sur les Origines de l'Égypte, Paris 1896, სურ. 481, J. de Morgan, L'Humanité Préhistorique, Paris 1921, სურ. 45), ქალდეაში და ელამშიდაც (J. de Morgan, L'Humanité Préhistorique, სურ. 46) ცნობილი იყო ამგვარი ჭურჭელი (გვ. 83).

დროის მიხედვით, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ფ. ჰანჩარი და როგორც ეს თავის დროზე დაადასტურა მ. ჰოერნესმა³, ამ ტიპის ჭურჭელი უკვე ენეოლითში იყო ცნობილი ეგეოსის მხარეში და არც ტროას II—V ფენებისათვის იყო უცნობი.

¹ Dr. Franz Handjar, *Kaukasus-Luristan. Züge Kultureller Verwandtschaft des prähistorischen Kaukasusgebietes mit dem Alten Orient. Eurasia Septentrionalis Antiqua*, Helsinki 1934, B. IX, S. 47 ff.

² M. Mayer, *Askoi*, *Jahrbuch des Kaiserlich deutschen Archäologischen Institutes* XXII, 1907, S. 207 ff.

³ M. Hoernes, *Kultur der Urzeit*, Bd. II. Berlin 1922.

გრძელნიკარტიან იალოილუ-თაფას ჭურჭლის შესახებ ფ. ჰანჩარო აღნიშნავს, რომ ის უკავშირდება ნიჰანდისა (Illustrated London News, 8, 1929, გვ. 982—983, Ernst Herzfeld, Prehistoric Persia, სურ. 13 და სურ. 19) და ლურისტანის ნიკარტიან ბრინჯაოსა და თიხის ჭურჭელს და დანიშნულება ჰქონდათ, რომ ადამიანს ნელა დაეღია და ან გადმოსხმის დროს არ დაღვროდა ჭურჭლის შინა მდგომი სითხე.

ალაზნის ველის და სხვა მხედრების კარამიკის
ერთიმეორესთან ნათესაობა

კავკასიისა და წინააზიის კულტურების ერთიმეორესთან ნათესაური კავშირის შესახებ ფრიად საყურადღებო აზრები იყო ხოლმე გამოთქმული¹. ამ უკანასკნელ დროში წინააზიის ერთერთი კუთხის, სახელდობრ, ლურისტანისა და კავკასიის განათხარი მასალების ერთიმეორესთან ნათესაური კავშირის შესახებ საინტერესო აზრი გამოსთქვა ა. გოდარდ-მა².

ამავე საკითხზე აზრი აქვთ გამოთქმული ჰ. ბოსსერტს³, ლ. სპელეერს⁴, ა. მოორტგატსა⁵ და სხვას. საკმაოდ ვრცლად აქვს მოყვანილი პარალელები ფ. ჰანჩარსაც ერთერთ თავის შრომაში, რომელიც ეხება განჯა-ყარაბაზში, ტალიშში, ლელვარში და კობანში აღმოჩენილ არქეოლოგიური ძეგლების შედარებას ლურისტანში აღმოჩენილ მდიდარ არქეოლოგიურ მასალასთან⁶. საყურადღებოა აგრეთვე ს. პრევეორსკის შრომა მცირე აზიასა და კავკასიის ერთიმეორესთან კავშირზე მეორე ათასეულის წლების მიწურულში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე)⁷. ამ შრომაში ს. პრევეორსკის მოჰყავს

¹ მაგალითად, Фармаковскій, Материалы по археологии России, 34. Захаров, Кавказ, Малая Азия и Эгейский мир, Труды Секции археологии т. III, Москва 1926 და სხვები.

² André Godard, Les Bronzes du Luristan, Ars Asiatica, XVII, Paris 1931.

³ Dr. Helmut Th. Bossert, Eine neuentdeckte altorientalische Kultur, Atlantis, Berlin 1931.

⁴ L. S. Speleers, Nos bronzes Perses, Bulletin des Musées Royaux d'Art et d'Histoire, Bruxelles 1931, III; Nos nouveaux bronzes Perses 1932, IV, 1933, V.

⁵ A. Moortgat, Bronzegerät aus Luristan, Staatliche Museen zu Berlin. Vorderasiatische Abteilung, Berlin 1932.

⁶ Dr. Franz Hančar, Kaukasus-Luristan. Züge Kultureller Verwandtschaft des prähistorischen Kaukasusgebietes mit dem Alten Orient. Eurasia Septentrionalis Antiqua, B. IX, Helsinki 1934, S. 47—112.

⁷ Stefan Przeworski, Der Grottenfund von Ordu. Ein Beitrag zu den Kleinasiatisch-Kaukasischen Beziehungen am Ende des II Jht. v. Chr. Reprinted from Archiv Orientalni, Vol. 7 (1935) No 3, Vol. 8 (1936), No 1.

აგრეთვე მთელი რიგი პარალელები ანატოლიასა და კავკასიაში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების შესადარებლად. როგორც ვხედავთ, კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის ერთიმეორესთან კავშირი დიდს ინტერესს იწვევს არქეოლოგიაში და საინტერესო პრობლემადაა დასახული. ამიტომ ჩვენც შევეცდებით ამ პრობლემის, ე. ი. ძველი აღმოსავლეთისა და კავკასიის ძველი ნაშთების ერთიმეორესთან ნათესაურ კავშირზე (ალაზნის ველის არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე), ზოგიერთი პარალელები გაეავლოთ. ამგვარი სამუშაოს ჩატარება არქეოლოგიაში აუცილებელია, ვინაიდან ამრიგად დაგროვილი მასალა მოგვეცემს საშუალებას გარკვევით ვსთქვათ ძველი აღმოსავლეთისა და კავკასიის ერთიმეორის გაელენაზე. დღეს ამ უკანასკნელ საკითხზე აზრთა დიდი სხვადასხვაობაა არქეოლოგიაში და დიამეტრალურად ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული¹.

ალაზნის ველის არქეოლოგიურ ნაშთებს და მათთან ერთად მჭიდროდ დაკავშირებულ საქართველოსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში აღმოჩენილ ძეგლებს, განსაკუთრებით კერამიკულ ნაწარმს, მოეპოვება პარალელები წინააზიაში და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნიწილში მდებარე ქვეყნებში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელთან და არსებული არქეოლოგიური ლიტერატურული მასალების მიხედვით შეგვიძლია ზოგიერთი მაიგანის წარმოშობის ცენტრი ამ აღნიშნულ ადგილებში ვეძიოთ. მაგალითად, არქეოლოგიურ ლიტერატურაში ნისკარტიანი საწურიანი ჭურჭლის წარმოშობის ცენტრად მცირე აზია ითვლება. ამ სახის ჭურჭელი მცირე აზიაში დადასტურებულია იმ ძველი დროისათვის, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 2200 წ. იქით უნდა ვივარაუდოთ. მცირე აზიის კერამიკის კარგი მცოდნე ჰ. ფრანკფორტი ერთს თავის შრომაში აღნიშნავს, რომ „Ausserordentlich wichtig ist die Flasche mit auf der Schulter aufgesetztem Siebaussguss, wobei der Bügelgriff nicht dem Ausguss gegenüber, sondern seitlich, in einer Fläche, welche rechtwinklig zu der des Ausgussesliegt, steht“².

ჭურჭელი, რომელზედაც ჰ. ფრანკფორტი ლაპარაკობს, არის აღმოჩენილი Senirdje-ში და ძალზე დაზიანებულია. მას აღარ აქვს შერჩენილი ყური და ტუჩის ზემო ნაწილიც მომტკრეულია. ყელის ქვემოთ ემჩნევა დახვრეტილი ადგილი „წყლის“ გასაწურად მოწყო-

¹ შდრ.: Reprinted from Archiv Orientalní, Vol. 8 (1936), № 1, გვ. 67.

² H. Frankfurt, Kleinasien, M. Ebert RL, B. XIV, S. 79, Berlin 1929.

ბილი. ეტყობა, რომ ამ სახის ჭურჭელი ჩქარა გავრცელებულა პალესტინა-სირიაში, საიდანაც არქეოლოგიას მოეპოვება ბრინჯაოს პერიოდის საშუალო ხანის ანუ არქეოლოგიაში ეგრეთწოდებული საშუალო „ქანაანიტურ“ (kanaanitisch)¹ დროის (2000—1600 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ნისკარტიანი ჭურჭელი.

ნისკარტიანი, საწურით მოწყობილი ჭურჭლის შედარებით ადრე წარმოშობა და მისი ჩქარა გავრცელება პალესტინა-სირიაში ადვილი გასაგები ხდება, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ მცირე აზიისა და განსაკუთრებით პალესტინა-სირიის ზოგიერთი ადგილების წყლით ნაკლებობას.

ცნობილია, რომ პალესტინა-სირიაში მოიპოვება ისეთი ადგილები, სადაც წყაროს წყლების, კებისა და მდინარეების სიმცირის გამო მოსახლეობა მთლიანად ვერ კმაყოფილდებოდა სასმელი წმინდა წყლით. ამიტომ იქაური მცხოვრებლები იძულებული იყვნენ ბევრ ადგილებში მოეწყოთ ხელოვნური ტბები ან ცისტერნები და ამრიგად მოეგვარებინათ ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო საკითხი, ე. ი. წყლით მომარაგება. ი. ბ ე ნ ი ც ი ნ გ ე რ ი, რომელიც სპეციალურად ამ საკითხს სწავლობდა დიდი ხნის განმავლობაში, ერთს თავის შრომაში აღნიშნავს, რომ „Eine der wichtigsten Lebensfragen für die Bewohner von Palästina war jeder Zeit die Beschaffung des nötigen Trinkwassers“².

მართლაც წყლით მომარაგების საკითხი ყოველთვის მწვავედ იდგა პალესტინა-სირიაში. ამას მოწმობენ მთელი რიგი ძველის დროის არქეოლოგიური ნაშთები, რომლებიც მიგვითითებენ ხელოვნური ტბებისა და ცისტერნების არსებობაზე წყლის დასაგროვებლად. პალესტინა-სირიის დიდ ქალაქებში წყალი ვაჭრობის ერთერთ საგნად იყო გადაქცეული³. ცხადია, რომ ხელოვნურ ტბებსა და ცის-

¹ სახელწოდება „ქანაანიტური“ არის პირობითი და, ცხადია, არ ატარებს ეთნიკურ ხასიათს. ასეთი სახელწოდების პერიოდიზაცია ყოველ შემთხვევაში შემოღებულია არქეოლოგიურ ლიტერატურაში და იერუსალიმის მუზეუმსაც ასეთი სახელწოდებით აქვს თავისი არქეოლოგიური მასალების ექსპოზიცია გაშლილი (W. J. Phythian-Adams u. J. Garstang Guide Book to the Palestine Museum of Antiquities 1924. შტრ. M. Ebert RL, B. XIV, S. 67).

² Dr. J. Benzinger, Hebräische Archäologie, Freiburg i. B. und Leipzig 1894, S. 97, 229 ff. Wasserbauten, Protest.Realencyklopädie 21 (1904), S. 10 ff. ამასვე აღნიშნავენ სხვა ავტორებიც, მაგალითად, Peter Thom sen, Bewässerung und Wasserversorgung, M. Ebert RL, B. I, S. 8 ff, Berlin 1925; B. XII, S. 83 ff, Berlin 1928.

³ J. Benzinger, Hebr. Archäologie, S. 97.

ტერნებში (ბორ) წყალი არ იყო სუფთა და საჭიროებდა სიფრთხილით დაღვევას, რომ ადამიანს წყლის დაღვევის დროს არ ჩაჰყოლოდა რაიმე გლახა (მაგალითად, წურბელები, მწერები და სხვა). ამიტომ აუცილებელ საჭიროებად გადაიქცა წყლის დაღვევის დროს ამავე წყლის გაწურვა. ასეთმა აუცილებლობამ კი ცხოვრებაში გამოიწვია წყლის დაღვევის დროს წყლის გაწურვის სხვადასხვა საშუალება, რომელთაგან ერთერთს წარმოადგენდა საწურით მოწყობილი ჭურჭელი. ამ ჭურჭელის სამშობლოდ ჯერ-ჯერობით მცირე აზია ითვლება, თუმცა არის ზოგიერთი მოსაზრება მისი სამშობლო გადატანილ იქნეს პალესტინა-სირიაში, ვინაიდან ეს ჭურჭელი თითქმის ერთისა და იმავე დროიდან გვხვდება როგორც მცირე აზიაში, აგრეთვე პალესტინა-სირიაში.

ამ საწურთან ჭურჭლებს საწური აქვთ ან ყელთან დატანებული ანდა ჭურჭლის ტანის ზემო ნაწილის კედელი ერთ ადგილზეა წვრილად დახვრეტილი, როგორც ეს იყო დადასტურებული Senirdje-ში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზე. ჭურჭლის კედლის დახვრეტილ ადგილს ქვემოთ მოწყობილი აქვს თიხისავე ღარის მსგავსი „ნისკარტი“ წყლის გადმოსასხმელად (Macalister The Excavation of Gezer II. 68, 1912). ასეთი ღარისკარტა ჭურჭელი ცნობილია გორდიონში¹, სარდში (ლიდია)², კეიპროსზე³, სიცილიაზე⁴ და სხვაგან⁵, სადაც ისინი ანატოლიის გავლენას განიცდიან.

გრძელნისკარტიანი ჭურჭელი, რომლის ნისკარტი წარმოადგენდა ყელის პირის ერთი ნაპირის გაგრძელებას და რომლის ნაწილების პროპორციები ფანტანსტიკურ შეხედულებებს იღებს, ფართოდ იყო

¹ Koerte, Gordion, Arch. Jahrb. Ergezungsband 5 (1904).

² Am. J. of. Arch. 1921.

³ The Swedish Cyprus Expedition Finds and results of the Excavations Cyprus 1927—1931, Vol. I plates, CII, Ctockholm 1935.

⁴ M. Ebert RL, B. XII, Tf. 48 c.

⁵ საყურადღებოა, რომ საწურიანი ჭურჭელი ყოველთვის წყლის დასაღვეად არ კეთდებოდა ხოლმე. საწურიანი ჭურჭლები მზადდებოდა ბევრი სხვადასხვა დანიშნულებისთვისაც, ამიტომ ისინი ფორმისა და სიდიდის მიხედვით ბევრ ვარიაციებს განიცდიდნენ. ზოგი მათგანი მთლიანად იყო საწურად გადაქცეული. მაგალითად ძველ ეგვიპტეში ლუდის გაკეთების დროს ხმარობდნენ თიხიდან გაკეთებულს, ყოველი მხრიდან დახვრეტილ „ჭურჭელს“. ამავე სახის ჭურჭელი ნაპოვნია Tell 'As-ში (სირია) (Du Mesnil du Buisson, Une campagne de Fouilles a Khan Sheikhoun, Syria 1932, t. XIII, pl. XLI). ზოგ ამათიო ჭურჭელში „სწურავდნენ“ თაფლს, ზოგში რეცხავდნენ მწვანილს, სწურავდნენ კენკარს, ხმარობდნენ ყველის გაკეთების დროსა და სხვა.

გავრცელებული როგორც მცირე აზიაში, ისე აგრეთვე სხვა ქვეყნებში. მაგალითად, ასეთი ჭურჭელი იცის Tépé Sialk-მა¹, Bos-Öyük-მა², Vortan-მა³, Troja-მ⁴, Shamra-Ugarit-მა (აქ აღმოჩენილ გრძელნისკარტა ჭურჭელს ფრანგები ყვავის ნისკარტს ამსგავსებენ და ეძახიან: Vase à bec de corbin-ს)⁵, კაბადოკიამ, ეგეოსის მხარემა და სხვა⁶.

ზოგს ამ გრძელნისკარტიან ჭურჭელს სამი ფეხი აქვს, მაგალითად, Vortan-ში⁷ (სურ. 66 a) აღმოჩენილ თიხის ჭურჭელს, ზოგს მათგანს სამი ფეხის მაგივრად ტანის ქვემოთ აქვს მოწყობილი მაღალი „ფეხი“⁸ (სურ. 66 b), ისე როგორც ამას ვხედავთ იალოიდულ-თაფაში⁹ (სურ. 66 c), ან მილის ველზე ნაპოვნ ჭურჭელზე¹⁰ (სურ. 66 d). არის უფეხოდაც, რომლის ნიმუშს იძლევა ალაზნის ველი (სურ. 66 e). ნისკარტის ძირში საწურ მოწყობილ ჭურჭელს ხმარობდნენ როგორც წყლის დასალევად, ისე აგრეთვე სხვა სასმელების დასალევადაც. მაგალითად, ფრიგიელები ლუდს სვამდნენ ისეთი ჭურჭლიდან, რომელსაც ყელის ზემო ნაწილზე დატანებულ ნისკარტს საწური ჰქონდა მოწყობილი, რომ ლუდის დაღვების დროს ლუდში მოხვედრილი ქერის შარცვლები დაეკავებინა¹¹. საფიქრებელია, რომ ამგვარი ჭურჭელი გამოყენებული იყო ღვინის დასალევადაც. ყოველ შემთხვევაში ალაზნის ველის გრძელნისკარტიანი საწურიანი ჭურჭელი სასიამოვნო იკნებოდა ახლად ჩასხმელი, ჯერ კიდევ დაუწმენდელი, ღვინის დასალევად¹².

¹ R. Ghirshman, Rapport préliminaire sur les fouilles de Tépé Sialk, près de Kashan (Iran), Syria, t. XVI, f. 3, 1935, pl XXXIX.

² Athen. Mitteil. 1899; M. Ebert RL, B. XIV, Tf. 61 W.

³ M. Ebert RL, B. XIV, Tf. 43A, h, k.

⁴ G. Karo, Troja RL, B. XIII, Tf. 67 d. Dörpfeld, Troja u. Ilion, 1902.

⁵ Claude F.-A. Schaeffer, Les fouilles de Ras Shamra-Ugarit, Syria, t. XVII, f. 2, 1936, pl. XIX.

⁶ M. Ebert RL, B. XIV, Tf. 43E, Tf. 18.

⁷ M. Ebert RL, B. XIV, Tf. 43A.


⁸ Erich F. Schmidt, Anatolia Through the Ages. Discoveries at the Alishar Mound 1927-29, Chicago, Illinois 1931. Fig. 110. ამ ჭურჭელს აქვს მოწყობილი საწური.

⁹ Д. Шарифов, Раскопки в Ялоидлу-Тапа, рис. 13, 14.

¹⁰ ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. № 145—13/2.

¹¹ Xenophon, Anab. IV, cap. V, 26, M. Ebert. RL, B. XII. S. 82.

¹² სოფ. ანაგაში, როგორც გადმოგვცემენ, ერთს გლეხს დღესაც აქვს გრძელნისკარტიანი საწურიანი თიხის ჭურჭელი ღვინის სასმელად. ეს ჭურჭელი გლეხს შემთხვევით უპოვნია მიწის სამუშაოების დროს და არაფრის გზით მას არ ელევა.



სურ. 66

a Vortan-იდან.

b Alishar-იდან. $\frac{1}{3}$ ნატ. სიდიდისა

c იალოილუ-თაფიდან. $\frac{1}{3}$ ნატ. სიდიდისა

d მილის ველიდან. $\frac{1}{3}$ » »

e ალაზნის ველიდან. $\frac{1}{3}$ » »

ჩვენი ალაზნის ველის ნისკარტიანი ქურქელი უეჭველად ახლო ნათესაურ კავშირშია მცირე აზიასა და პალესტინა-სირიაში აღმოჩენილ ნისკარტიანსა და საწურთან ქურქლებთან და უნდა ვიფიქროთ მათი გავლენის ქვეშ არის, თუმცა ალაზნის ველის ნისკარტიანი ხელადები ადგილობრივად თავისებურად არიან გარეგანი შეხედულებით შეცვლილნი და თავის პროტოტიპებისგან, რასაკვირველსა, დღეს უკვე განსხვავდებიან.

ნისკარტიანი ქურქელი (უსაწუროდ), საერთოდ, ფართოდ იყო გავრცელებული. ამ სახის ქურქელს ჩვენ ვხედავთ ტრაში II¹, Karaeuyuk-ში², Shamra-Ugarit-ში³ და სხვაგან. ეს ქურქელი ჩვენ გვხვდება კრეტაზე (Hagios Onuphrios Depotfund-ში) და ეკუთვნის მინოსის ადრინდელ კულტურას⁴. ეს ქურქელი თავისი ფორმითა და ორნამენტით ძველი დროით ხასიათდება. ამ ქურქელს ისეთი ორნამენტი აქვს და თანაც მისი დამუშავების ტექნიკა ისეთია, რომ მცირე აზიაზე მიგეითითებს, საიდანაც ის გავრცელდა ეგეოსის მხარესა და ბევრს სხვა ადგილს (მაგალითად, ურშია, ანაუ III, კავკასია). ასე რომ ნისკარტიანი ქურქელს ჩვენ ვხვდებით ბევრს სხვადასხვა ადგილას, როგორც ბრინჯაოს პერიოდში, ისე აგრეთვე ჩვენსკენ უფრო ახალ დროში, მაგალითად, ენოხოიას ანუ ოინოხოიას სახით.

ნისკარტიანი ქურქელი დღესაც არის ხმარებაში, რასაკვირველია, მეტად შეცვლილი ქურქელის ნაწილების პროპორციებითა და ჰიერიით⁵. მაგრამ ყველა ამ ქურქელის პროტოტიპებისაკენ მიმავალ გზებს მცირე აზიისაკენ და პალესტინა-სირიისაკენ მივყავართ⁶.

საერთოდ ცნობილია, რომ მცირე აზიის კერამიკამ დიდი გავლენა მოახდინა ეგეოსისა და სამხრეთ ევროპის ქვეყნების კერამიკაზე განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბრინჯაოს კულტურამ აზიიდან ევროპისაკენ გავრცელება დაიწყო. ამ გავლენას სხვათა შორის არ

¹ Carl Schuchardt, *Alteuropa*, Berlin u. Leipzig 1926, S. 202, Abb. 118 f.

² *Céramique Cappadocienne*, Paris 1926. Pl. 14 (9766).

³ Claude F.—A. Schaeffer, *Les fouilles de Ras Shamra-Ugarit, Syria* t. XVIII f. 2, 1937, fig. 15, z. XVII f. 2, 1936, fig. 13.

⁴ Hubert Schmidt, *Troja-Mykene, Zeitschrift für Ethnologie*, Heft 5. 1904, S. 651, Fig. 25. G. Karo, *Kreta* RL, B. VII, Tf. 56 a.

⁵ იმერეთში ნისკარტიანი ქურქელი დოქის სახელწოდებით იხმარება მხოლოდ ღვინისათვის, მართალია, მას აღარ აქვს თიხის დახვრეტილი ფირფიტებიდან მოწყობილი საწური, მაგრამ ამ უკანასკნელის მაგიერობას ასრულებს ურნალის (*Andropogon ischaemum* L) წმინდა, გრძელი ფესვებიდან გაკეთებული საცობი, რომლის საშუალებით საუცხოოდ იწურება ღვინო გადმოსხმის დროს.

⁶ დღესაც ჩვენი დოქის ფორმა მეტად გვაგონებს სირიაში აღმოჩენილ დოქის ფორმას (M. Ebert RL, B. XIV, Tf. 43^b).

ფიცავს ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერიც კი. მაგალითად, H. Frankfort-ი ნათლად და გარკვევით ამბობს, რომ ეს გავლენა ეტყობა: „nicht nur die früheste zyprische Keramik (Gjerstad Studies, S. 209), sondern auch die früh-minoische und früh-helladische Urfirnis-Ware“-საც, რომლებიც მთლიანად ეყრდნობიან მცირე აზიის კერამიკას¹. H. Frankfort-ს შეეძლო უფრო მეტის თქმა, ე. ი. მას უნდა ეთქვა, რომ მცირე აზიის გავლენა შემდეგ დროშიაც იყო, მაგრამ ის თავდაპერილობას იჩენს და უტყუარ არქეოლოგიურ მასალას მხედველობიდან უშვებს. მხედველობიდან უშვებენ და განგებ თვალებს ხუჭავენ ნამდვილი ფაქტების წინაშე დღევანდელი ბურჟუაზიული მეცნიერები, როდესაც სრულიად უსაფუძვლოდ ამბობენ, რომ ვითომცმეორე ათასეულიან წლებში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) არსებობდნენ „გერმანელ-ბერძნების“ ძლიერი მეფეები და თავადები, რომლებმაც დაიპყრეს სამხრეთ-ევროპის დიდი ნაწილი და ეგეოსის კუნძულები და შეიტანეს ახალი უფრო განვითარებული კულტურა, რომლის დამამტკიცებელია არა მარტო ილიადას და ოდისეიას წარმოშობა ჩრდილო გერმანელებისაგან, არამედ მთელი საბერძნეთის კულტურის. ამ აზრს ბურჟუაზიული მეცნიერები გამოსთქვამენ იმ დროისათვის (2000 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), როდესაც, როგორც ეს დანამდვილებით ვიცით, არავითარი გერმანელები არც ევროპაში და არც ევროპის გარეშე არ არსებობდნენ².

გრძელნისკარტიან ჭურჭელს გარდა ალაზნის ველის კერამიკაში ყურადღებას იპყრობს სამეფხა თეფშები, რომლებიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება. ბურჟუაზიულ მეცნიერ-არქეოლოგებს, რომ ჰკითხოთ, თუ სად არის კერამიკის ამ სახის წარმოშობის ცენტრი, რასაკვირველია, ისინი გიპასუხებენ: „ჩრდილო-მხარეაო“. სინამდვილეში კი სულ სხვაა.

განათხარ არქეოლოგიურ მასალებში ჩვენ გვხვდება ხოლმე, საერთოდ, სხვადასხვა სახისა და ზომის თიხის სამეფხა „ჭურჭელი“. გვხვდება ხოლმე აგრეთვე თიხის სამეფხა „მაგიდები“ პატარა ზომისა, გვხვდება ეგრეთ წოდებული „სამეფხა“-ც, რომლის დანიშნულება იყო მხოლოდ გაეჩერებინა მასზე დადგმული გარეთკენ ფსკერ ამობურცული ჭურჭელი, რომელიც თავისი ფსკერის მოყვანილობით

¹ H. Frankfort, Kleinasien, M. Ebert RL, B. XIV, S. 80, Berlin 1929.

² Проф. Б. Л. Богаевский, Эгейская культура и фашистские фальсификаторы истории, стр. 35—36. ეს სტატია მოთავსებულია წიგნში: Против фашистской фальсификации истории. Академия Наук СССР, Институт истории, Москва-Ленинград 1939.

ბრტყელ ადგილზე სწორად ვერ გაჩერდებოდა. ამნაირი დანიშნულების „სამფეხა“, რომელიც გარეგანი შეხედულებით გვაფიქრებინებს ალაზნის ველის სამფეხა თეფშების მოყვანილობას, აღმოჩენილია, მაგალითად, El Acebuchal-ში (Sevilla-ს პროვინცია)¹ და არის აგრეთვე ცნობილი ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ ადგილებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამგვარ „სამფეხას“ სრულებით ვერ იცნობს „წინაისტორიულ“ დროში ვერც შუა და ვერც ჩრდილო ევროპა და თუ შემთხვევით მას იცნობს—ისიც იმპორტის სახით სამხრეთ მხარეებიდან შესულს.

ხმელთაშუა ზღვის მხარეებში ცნობილია ლითონის სამფეხა ჭურჭელიც, სახელდობრ სპილენძის სამფეხა ქვაბი აღმოჩენილი მიკენის აკროპოლში ეგრეთწოდებულ Schachtgrab-ში. ასეთივე სამფეხა ქვაბი ცნობილია Tiryns-შიაც, ცნობილია კრეტაზედაც, მაგრამ ყველა ამათ ეტყობა აღმოსავლური გავლენა. ეს გავლენა უფრო აშკარად ემჩნევა ეგეოსის მხარეში საკმაოდ ცნობილ რკინის სამფეხებს, რომლებსაც ამკობს აღმოსავლური ხელობის ბრინჯაოს ნაწილები.

ყველაზე ძველი „სამფეხები“ წინა აზიაშია ცნობილი. ამ „სამფეხების“ მასალად გამოყენებულია ბრინჯაო და ქვა და ისინი უმთავრესად განკუთვნილი იყვნენ მსხვერპლის მისატანად (H. Lamer, Altorkult. im Bilde) ასურბანიპალის დროიდან (M. Ebert RL, B. I, § 4).

ძველი დროის სამფეხა ჭურჭელი ცნობილია სუზაში², ჰამმანში (იქ, სადაც მდ. ეფრატს ერთვის მდ. საიური), ეგვიპტეში³, ტალიშში⁴ და სხვაგან.

ვიციტ სამფეხა თეფში Tépé Sialk-იდან (სურ. 67 a)⁵, რომელიც ალაზნის ველის სამფეხა თეფშისგან არ განსხვავდება (სურ. 67 b, ტაბ. IV f და ტაბ. V e, ინვ. № 7—38/12).

ეს Tépé Sialk-ის სამფეხა თეფში დროის მიხედვით ეფარდება ტალიშში, ლელვარში, კობანში და მკირე აზიაში (გორდიონში) აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთების დროს (XII—XI ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ამავე Tépé Sialk-ში აღმოჩენილია სამფეხა ფიალა (სურ. 68 a) (Vase tripode eu terre gris-noir, R. Ghirshman, Syria 1935, t. XVI, pl. XXXIX), რომელიც დროის მიხედვით მიეკუთვნება

¹ M. Ebert RL, B. IV, zweiter Teil, Tf. 147.


² J. de Morgan, La préhistoire Orientale, Paris 1927, ტ. III, გვ. 84, სურ. 123 (12).

³ M. Ebert RL, B. XIV, S. 92, Tf. 43L g, S. 57.

⁴ J. de Morgan, Mission en Perse, IV, გვ. 110.

⁵ R. Ghirshman, Rapport préliminaire, Syria 1935, t. XVI, f. 3, pl. XLI (1).

Tépé Sialk-ის სამფეხა თეფშს (Nécropole B) და რომელიც ემსგავსება ალაზნის ველის დელფიკურთას (სურ. 68 b). სამფეხა ფრიალა თეფში მოიპოვება ე. ლალაიანცის მიერ სევანის ტბის მიდამოების




სურ. 67

a Tépé Sialk-იდან

b ალაზნის ველიდან. $\frac{1}{3}$ ნატ. სიდიდისა

განათხარ მასალებშია¹. ამ თეფშის ზედაპირზე გამოყვანილია ორი-კონცენტრული წრე. ერთი ამ წრეთაგანი თეფშის შუა გულზეა.



სურ. 68

a Tépé Sialk-იდან

b ალაზნის ველიდან. $\frac{1}{3}$ ნატ. სიდიდისა

ხოლო მეორე თეფშის ნაპირს ახლოს მიჰყვება. წრეებს შუა გამოყვანილია ოთხი ოთხკუთხედი, რომელთა შიგნივა გული წერტილიანი ორნამენტითაა ამოვსილი. თეფშის ნაპირზე გაკეთებულია მეტად პატარა ზომის ორი ნახვრეტი, რომ შესაძლო ყოფილიყო თეფშის ჩამოკიდება ლარის საშუალებით.

\ თეფშის „სახმარი“ პირი ისეთნაირად არის გალამაზებული წინწკლიანი ორნამენტებით, რომ გვაფიქრებინებს თეფშის გამოყენებას

¹ თეფში ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. № 64—05/E 21.

სარიტუალო და არა პრაქტიკული დანიშნულების მიზნით. სამფეხა თეფში დაბალი კონუსის მაგვარი ფეხებით აღმოჩენილია ხოჯალას (აზერბეიჯანი) ერთერთ ყურღანში და აკუთვნებენ პირველი ათასეული წლების პირველ საუკუნეებს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე)¹.

ალაზნის ველის ბირთვის მსგავს სამფეხა ღრმა თასს (სურ. 36 და სურ. 69 c) შეიძლება აგრეთვე მოეძებნოს ანალოგები. თუ ტროას არქეოლოგიურ განათხარ მასალას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ტროას პირველ ფენაში აღმოჩენილია ალაზნის ველის ღრმა თასის მსგავსი სამფეხა ჭურჭელი ბრტყელი ყურით, რომლის ზემო თავი ჭურჭლის პირის ნაპირს უერთდება (სურ. 69a)², როგორც ეს საერთოდ ახასიათებს ალაზნის ველის ყველა თიხის ჭურჭელს. ამგვარივე ჭურჭელი აღმოჩენილია Bos-Öjnek-ში³ (სურ. 69 b), Tépé Gawra-ში (მეზოპოტამია, ტიგროსის მარცხენა მხარე)⁴.

ამათ მაგვარი სამფეხა „ჭურჭელი“, მხოლოდ სულ სხვა დანიშნულების, აღმოჩენილი აქვს ივანოვსკის ქალაქენტას მახლობლად⁵. ამ ჭურჭლის ტანი დახვრეტილია.

საინტერესო ფორმის სამფეხა ღრმა „ჭურჭლები“ მოიპოვება აგრეთვე ე. ლალაიანცის მიერ გათხრილ არქეოლოგიურ მასალაში სევანის ტბის მიდამოებიდან (სურ. 70 b)⁶. ერთერთი ეს „ჭურჭელი“ (სურ. 70 b) მიემზგავსება სასირეთის ბრინჯაოს ჭურჭელს (სურ. 70 c), რომელსაც შერჩენილი აქვს თავსახური „სულის“ ჩიტის გამოსახულებით⁷. ე. ლალაიანცის მიერ აღმოჩენილი თიხის სამფეხა ღრმა ჭურჭლები თავიანთი ფორმით, მოცულობით, აგრეთვე თავსახურავებისათვის მოწყობილი ნახვრეტებით (ჭურჭლებს თავსახურავები აღარ აქვსთ შერჩენილი) გვეუბნებიან იმავე დანიშნულებაზე, რასაც ასრულებდა სასირეთის ბრინჯაოს ჭურჭელი⁸.

¹ Т. П а с с е к и Б. Л а т ы н и н, К вопросу о керамике из Ялошлу-Тана, стр. 219—220.

² Carl Schuchhardt, Alteuropa, Berlin u. Leipzig 1926, Abb. 118 b.

³ F. Schachermeyr, Westkleinasiatische Fundote, M. Ebert RL, B. XIV, Tf. 61 W.

⁴ E. A. Speiser, Excavations at Tépé Gawra, Philadelphia 1935. Vol. I, pl. LXXVI fig. 1.


⁵ Материалы по археологии Кавказа, т. VI, табл. XI, рис. 21.

⁶ ჭურჭლები ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. №№ 50—06/E 3, 4.

⁷ G. Nioradze, Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi, Eurasia Septentrionalis Antiqua, VII, Helsinki 1929.

⁸ ამავე „ჭურჭელს“ ენათესავება Tépé Gawra-ს სამფეხა „ჭურჭელი“ (სურ. 70 a). S. Speiser, Excavations at Tépé Gawra, pl. LXXVI, fig. 1.

როგორც სასირეთის, აგრეთვე ეს თიხის ჭურჭლები სევანის მიდამოებიდან განკუთვნილი იყვნენ უეჭველად საკულტო მიზნებისათვის. ამასვე გვიკარნახებს სხვათა შორის ამ ჭურჭლების მეტად სუსტად გამოყვანილი ფეხები, რომლებიც ყოველდღიური პრაქტიკული




სურ. 69

- a ტროადან
- b Bos-ტუნკ-იდან
- c ალაზნის ველიდან

საშინაო ხმარებისათვის ყოვლად გამოუსადეგარი იქნებოდნენ. ვფიქრობთ საკულტო დანიშნულებისათვის იყვნენ გაკეთებული ალაზნის სამფეხა, დაბალი, ღრმა ჭურჭლები (სურ. 35, 36), რომლებიც შესაძლოა იხმარებოდნენ როგორც „სასაკმეველ“ სურნელოვან ნივთიერებათა საკმეველ (დასაწვავად) სარიტუალო ცერემონიების დროს. ამ აზრს ჩვენ გვიკარნახებს აგრეთვე ცეცხლის ნიშნები, რომლებიც

წათლად ეტყობა დაბალფეხიან ჭურჭელს (სურ. 30) და რომლებიც მას მიუღია ჭურაში გამოწვის შემდეგ.

სამფეხიან „ჭურჭლებთან“ ერთად მოვიხსენიოთ მაღალ და დაბალ ფეხიანი ჭურჭლები, რომლებსაც ჩვენ ბარძიმსა და ჩარებს



სურ. 70


a Tépé Gawra-დან

b სევანის ტბის მიდამოებიდან. $\frac{1}{2}$ ნატ. სიდიდისა
სასირეთიდან. $\frac{1}{2}$ ნატ. სიდიდისა

ვეუწოდებთ. ამათაც, რასაკვირველია, მოეპოვება ანალოგიები, როგორც ამიერ-კავკასიაში, აგრეთვე წინააზიაში და ეგეოსის მხარეზე აღმოჩენილ კერამიკაში. ამიერ-კავკასიაში ასეთი სახის „ჭურჭელი“, მაგალითად, ცნობილია ქალაქანეთის მახლობლად (ივანოვსკის გათხრები MAK, ტაბ. XIII, 9, ქვისგან გაკეთებულია). ასეთი „ჭურჭელი“ ვიცით ტალიშიდან (Morgan, Mission, en Perse, IV, გვ. 108, სურ. 112), ვიცით Tépé Sialk-იდან (Syria 1935, t. XVI, f. 3, pl. XXXVII, XXXVIII), Jericho-დან (Sellin-Watzinger, Jericho, Tf. 35, M.

Ebert RL, B. I, S. 387, Tf. 105 a) ქარხამიშიდან, კრეტადან, მელო-სიდან და სხვა¹.

ალაზნის დაბალღებუ ჩარას (სურ. 71 c, 31) მსგავსება აქვს ანატოლიის ჩარასთან (სურ. 71 a), რომელთანაც მას საერთო უპროტოტიპი მოენახება, ისე, როგორც ეს დასაშვებია იალოილუ-თაფას ჩარასათვის (სურ. 71 b).



სურ. 71

a ალიშარიდან

b იალოილუ-თაფადან

c ალაზნის ველიდან

ქურჭელი (სურ. 32) მეტად გვაგონებს ობსიდიან ჩასმულს ქურჭელს (Feensterurne-ს ანუ Fenstergaß-ს), რომელიც ცნობილია „შუშის ქარხნის“ სასაფლაოდან (ბაშკიჩეთის რაიონი)² და ერთი და იმავე დანიშნულების უნდა ყოფილიყო.


ალაზნის ველის კერამიკის საინტერესო ფორმად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ვიწრო მილიანი ქურჭელი (სურ. 16), რომელსაც საკმაოდ ბევრი ანალოგები მოეპოვება. მილიანი ქურჭელი მეტად ძველ დროში იყო ცნობილი სუმერიელების კერამიკაში (სურ. 72 a), რომელსაც

¹ Schmidt, Anatolia Through the Ages, Fig. 109.

² Г. Н и о р а д з е, Моги́льни́к „Сте́кля́нного за́вода“. Проблемы исто-
рия докапиталистических обществ, Москва-Ленинград 1934, № 3.

აკუთვნიან 3000 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე¹, იცნობს ირანი და სირია (სურ. 72 b)². მასვე იცნობს შცირე აზია, კრეტა³ და სხვა.

ამ სახის ჭურჭელი ბევრს სხედასხვა ვარიაციებს განიცდის, თავის მოყვანილობით მილის მიმართულებით, ყურის მოწყობი-



სურ. 72

- a სუმერიელებისა
- b მინეტ-ელ-ბეიდან
- c ალაზნის ველიდან
- d კიროვადის მხარიდან

ლობით, ზომით და სხვა, ასე რომ მან მრავალმხრივი განვითარება პოვა წინა აზიაში და ზოგმა მათგანმა კიდევაც მიიღო თავისი სპეციალური სახელწოდება, როგორც, მაგალითად, „კაპადოკიის ჩაიდანმა“ ანუ ანატოლიაში განვითარებულმა „მილ-ნისკარტიანმა“ ღოჭმა.

¹ V. Gordon Childe, *New Light on the Most Ancient East*, London 1935, Fig. 74.

² *Ibid.*: Fig. 89.

³ Gjerstad, J. Lindros, E. Sjöquist, A. Westholm, *The Swedish Cyprus Expedition*. Vol. II, pl. XIII, XXVIII, XLIII და სხვა.

ჩვენ გვაინტერესებს ეს მილ-ნისკარტიანი მცირე აზიაში წარმოშობილი დოქი, რომელთა სხვადასხვა სახეები დიდის რაოდენობით აღმოჩენილია Boghasköj-ში და Kara Öyük-ში. ამ ანატოლიის მილ-ნისკარტიანი დოქის ერთერთი ფორმა აღმოჩენილია Kafer Djerr-ში და Byblos-ში (სურ. 73 a)¹.



სურ. 73

a Byblos-იდან

b მულანიდან

c ნიჯიდან

ბიბლოსში აღმოჩენილი „დოქის“ (სურ. 73 a) მაგვარი ჭურჭელი ჩვენ მოგვეპოვება მულანის ველიდან (სურ. 73 b, ინვ. № 121—13/3), გვაქვს აგრეთვე იალოილუ-თაფასა² და ნიჯის კერამიკაშიაც (სურ. 73 c), მართალია, ცოტა შეცვლილი სახით. ხოლო იალოილუ-თაფასა და ნიჯის კერამიკა ალაზნის ველის კერამიკის ლეიძლი ძმა და ერთსა და იმავე დროს ეკუთვნიან. აქედან ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ ანატოლიის მილნისკარტიანი დოქის ფორმა შემოსულია ამიერკავკასიაში მულანსა და ალაზნის ველის მახლობლად მდებარე ადგილებში ნიჯში და იალოილუ-თაფაში და თვით ალაზნის ველის ვიწრო მილიანი ჭურჭელიც (სურ. 16) სამხრეთით მდებარე ქვეყნებიდანაა ჩვენში შემოსული.

ალაზნის ველის მათარა (სურ. 17) მეტად პრიმიტიულია და ნათლად ეტყობა, რომ ის განვითარებულია თუნგულიდან (სურ. 64 j). რომლისგანაც ის განსხვავდება ყურების ზომითა და რიცხვით. ამ სახის მათარა შემდეგ განვითარების სტადიაზე იღებს სხვა ფორმას. მას ცალი გვერდი უბრტყელდება და თანაც ყელი უპატარავდება.

¹ H. Frankfort, Nord-Syrien, M. Eberl RL, B. XIV, Tf. 43L.

² Д. Шарфова. Раскопки в Ялоилу-Тапа, рис. 17.

ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ ს. პატარძელის, იყალთოსა და სხვა ადგილებში აღმოჩენილს მათარებზე, რომლებმაც ანგობით გაკეთებული კონცენტრული წრეებიც კი შეინარჩუნეს. ეს მათარები შემდგომი განვითარების საფეხურზე დუბლირებული ხდებიან და ეტყობათ, რომ წარმოშობილი არიან ორი თუნგულის ერთად შეერთებით და ტყავის მათარის წამბაძველობით. ასეთი არის მათარა (სურ. 40), რომელსაც ნათლად ეტყობა ტიკის კამენის მიმბაძველობა. ტყავის მათარას მიმბაძველობა კარგად ეტყობა ნიჯის მათარასაც¹. ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს მათარები სხვადასხვა დროს ეკუთვნოდნენ, პირიქით ისინი ერთსა და იმავე დროის პერიოდს ეკუთვნიან და, თუ ისინი ერთიმეორისგან განსხვავდებიან თავისი ფორმით, ეს აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ოსტატი აკეთებდა როგორც უბრალო ფორმისას და, მაშასადამე, უფრო იათსა და ხელმისაწვდომს, აგრეთვე—უფრო რთულსა და, რასაკვირველია, უფრო ძვირს მათარას.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ფ. ჰანჩარი იალოილუ-თაფაში აღმოჩენილ მათარას (შარიფოვი, სურ. 2) უკავშირებს ლურისტანში აღმოჩენილ ჭურჭელს, ემხრობა მ. მაიურის აზრს და ასკოს (მათარას) წარმოშობა გადააქვს ახლო აღმოსავლეთში². მართლაც პალესტინის ძველ ქანაანიტურ დროის (Altkanaanitische Zeit) კერამიკაში ჩვენ ვხედავთ მათარას, რომელიც მიეკუთვნება 2500—2000 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამავე სახის მათარებს ჩვენ ვხედავთ შემდეგში Vortan-ში, Bos-Öyük-ში, Troja-ში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, ეგვიპტეში, ქალდეაში, ელამში, ტურენგ-თეფეში და სხვა. ყველა ამ მათარებს ეტყობათ თავისებური ცვლილებები.


ეს ცვლილებები ეტყობათ, რასაკვირველია, აზერბეიჯანსა და საქართველოში აღმოჩენილ მათარებსაც, რომლებმაც ადგილობრივ დამზადებული კერამიკისა და ტიკების წამბაძველობით თავისებური გამოხატულებანი პოვეს კონსტრუქტიული ნაწილების მიხედვით.

ალაზნის ველის კერამიკის ანალოგები ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე მოვძებნოთ წინააზიის თიხის სხვა ჭურჭლებშიაც. მაგალითად ალაზნის ველის ორყურა დერგის (სურ. 74 b) მსგავსი ჭურჭელი, რომელიც მიეკუთვნება „გვიანდელ-ხეთურ“ დროს (დაახლოებით მე-11

¹ Д. Шарфова, Раскопки в Ялоилу-Тапа, рис. 2. არის მათარები, რომლებიც მწარე კვახის წამბაძველობითაა გაკეთებული, მაგალითად, Bos-Öyük-ში ნაპოვნი მათარა.

² შდრ. M. Mayer, Askoi, Jahrbuch d. K. Arch. Inst., XXII, 1907.

საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე), აღმოჩენილია ჩრდილო სირიაში¹ და ამ ქურქლის დამუშავების ტექნიკა, ფორმა, დეკორატიული მოტივი და სხვა თითქმის იგივეა, როგორცაა ალაზნის ველის დერგისა. მსგავსი დერგი ნაპოვნია აგრეთვე Teleilat Ghassul-ში² და ალაზნის ველის დერგზე უფრო ტლანქი ხელობისაა. ალაზნის ველის



სურ. 74

a ჩრდილო სირიიდან.
1/7 ნატ. სიდიდისა

b ალაზნის ველიდან.
1/8 ნატ. სიდიდისა

ყურიან კოქობსაც (სურ. 28) აქვს ანალოგია წინააზიის კერამიკასთან, სახელდობრ Kul-tépé-ში (ხეთური პოლიხრომიანი კერამიკა). ამ ჩვენი კოქობის მსგავსება Kul-tépé-ს კოქობთან არის არა მარტო ფორმით, არამედ თვით ყურის მოწყობილობითაც³.

შეიძლებოდა კიდევ სხვა ანალოგებიც გაგვეტარებინა ალაზნის ველზე ჩვენს მიერ აღმოჩენილ კერამიკასა და წინააზიის ძველი დროის თიხის ქურქელს შორის, მაგრამ ზემოთ მოხსენებული ანალოგებიდანაც ცხადია, თუ რა დიდი ნათესაური კავშირი აქვს ალაზნის ველის კერამიკას წინააზიის ძველი დროის თიხის ქურქელთან.

მართალია, ალაზნის ველის კერამიკა და ჩვენ მიერ ნახსენები წინააზიის ძველი დროის თიხის ქურქელი ერთისა და იმავე დროისა არ არიან (ალაზნის ველის კერამიკა უფრო ახალი დროისაა),

¹ H. Frankfort, M. Ebert RL, B. XIV, Tr. 43L m, S. 92.

² Le R. P. Alexis Mallon, Les Fouilles de Teleilat Ghassul, Syria 1932 t. XIII, f. 4 LXIX.

³ Céramique Cappadoçienne, II, pl. 31, fig. 122.

მაგრამ გასაკვირი არ არის, რომ ძველის დროის კერამიკის ფორმებმა ბევრი ასეული წლების განმავლობაში შეინახა თავისი სახე, რასაკვირველია, თავისებური ცვლილებებით. არქეოლოგიამ ბევრი იცის ისეთი მაგალითი, როდესაც მთელი რიგი ერთი და იმავე სახის მატერიალური კულტურის ნაშთები ხმარებული ყოფილა არა მარტო „წინაისტორიულ“ დროში, არამედ — „ისტორიულშიაც“.

ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი ი ს ა თ ვ ი ს

თუ ჩვენ შევადარებთ ალაზნის ველის კერამიკას იალოილუ-თაფას თიხის ჭურჭელს, დავინახავთ, რომ ისინი ერთსა და იმავე კულტურას და ერთსა და იმავე დროს ეკუთვნიან. ამიტომ ერთი მათგანის დათარიღება უჭქს მოჰყენს მეორე მათგანის ხანის გარკვევას, ე. ი. დათარიღებას. ჩვენ ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ სრულიად თავისუფლად შეგვიძლია გადავიტანოთ იალოილუ-თაფას კულტურაზე გამოთქმული შეხედულებანი მისი დათარიღების შესასახებ ალაზნის ველზე აღმოჩენილი ნაშთების ხანის გარკვევის საქმეში.

როგორც ვიცით დ. შარიფოვის შრომაში („Раскопки в Ялойлу-Тапа“) ადამიანი ვერავითარ გარკვეულ აზრს ვერ გამოიტანს ამ გათხრების დასათარიღებლად. დ. შარიფოვი მეტად ბუნდოვნად აღნიშნავს, რომ „Полное отсутствие в могилах №№ 2, 3 и 4 каких-либо других предметов (за исключением м. № 5, в которой найдено было железное кольцо) и наличие в могилах № 0 и № 1 бус из пасты и шмальты и очень немногочисленных нашивных бронзовых полусферических пуговиц и 2 бронзовых колец дает основание предполагать большую древность этих могил“ (Д. Шарифов, стр. 15—16), მაგრამ რა ეპოქას, ან რომელ პერიოდს მიეკუთვნება ეს ნაგარაუდები „большая древность“ — არ ვიცით.

ვერც ტ. პასეკი და ბ. ლატინინი შევლიან იალოილუ-თაფაში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალის დათარიღების საკითხის გარკვევას, თუმც ისინი ყველაზე უფრო ადრე გამოეხმაურენ დ. შარიფოვის შრომას ამ გათხრების შესახებ. ტ. პასეკი და ბ. ლატინინი თავიანთ წერილში „К вопросу о керамике из Ялойлу-Тапа“ მეტად ზერელედ და გაურკვეველად ამბობენ იალოილუ-თაფას კერამიკის დათარიღებაზე და სხვათა შორის გაკვირით აღნიშნავენ, რომ „все данные, пока, говорят за необходимость отнесения Ялойлу-

ташинского типа культуры к довольно позднему периоду развитой эпохи металлов, скорее даже к железу, чем к бронзе“ (стр. 221). ასე რომ ვერც აზერბეიჯანის არქეოლოგიის მცოდნე სპეციალისტები რაიმე გარკვეულ პასუხს იძლევიან იალოილუ-თაფას კერამიკის დათარიღების საკითხში.

უფრო გარკვეულ პასუხს იალოილუ-თაფას თიხის ქურქლის დათარიღების შესახებ იძლევა ფინელი არქეოლოგი A. Tallgren-ი, რომელიც ერთს თავის სარეცენზიო სტატიაში „Das Kaukasusgebiet“¹ პირდაპირ ამბობს, რომ იალოილუ-თაფას კერამიკა მიეკუთვნება ცნობილ კობანის სასაფლაოს დროს და დაახლოებით ათარიღებს 1200 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე (etwa um 1200 v. Chr.)², რაც, ცხადია, როგორც ამას შემდეგში დავინახავთ, სიმართლეს არ შეესაბამება.

იალოილუ-თაფას კერამიკის დათარიღების შესახებ საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს ა. იესენიცი. მას მოჰყავს ზოგიერთი საყურადღებო ანალოგები და ამბობს, რომ „Наиболее вероятной датой культуры Ялоилу-Тапа кажется время около IV—I вв. д. н. э.“³.

ფ. ჰანჩარი (Franz Hanzar) იალოილუ-თაფას კულტურას ნაწილობრივ მიაკუთვნებს განჯა-ყარაბახ-ლეღვარ-ტალიშ-ის რკინის ეპოქას, „oder wäre mindestens von gleichen Entwicklungsimpulsen aus Kleinasien her getroffen worden“⁴. მეორე ადგილას აღნიშნავს, რომ იალოილუ-თაფას სხვადასხვა ფორმის ფეხიანი ჩარები (Schalen) დროის მიხედვით უნდა ეფარდებოდეს ხოჯალის ყურღანს, ე. ი. 1000—900 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე⁵. ასეთი თარიღი, მართალია, უახლოვდება ა. ტალგრენის დათარიღებას, მაგრამ სიმართლეს არც ეს შეეფერება.

როგორც ვხედავთ, იალოილუ-თაფას კერამიკის დათარიღების შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო, აზრთა დიდი სხვადასხვაობა და გაურკვეველობა არსებობს.

ამ ბოლო ხანებში იალოილუ-თაფას კერამიკის დათარიღების საკითხში მეტად საინტერესო რამე გამოირკვა. სახელდობრ, გამოირკვა, რომ იალოილუ-თაფაში აღმოჩენილ ნივთებთან ერთად თურმე ყოფილა აღმოჩენილი ფული, რომლის სურათი მოცემულია დ. შა-

¹ Eurasia Septentrionalis Antiqua, Helsinki 1928, B. III, S. 199.

² Ibid. გვ. 199.

³ Культура Ялоилу-Тапа в Закавказьи, გვ. 38.

⁴ Kaukasus-Luristan, გვ. 86.

⁵ Ibid., გვ. 83.

რიფოვის მიერ გამოქვეყნებულ ტაბულაზე (სურ. 1) და რომელსაც, სამწუხაროდ, დ. შარიფოვი არ იხსენიებს თავის წიგნში. როგორც დასტურდება ეს ფული აღმოჩენილი ყოფილა დ. შარიფოვის წიგნში მოხსენებულ № 0 —სამარეში. ეს ფული გაუწმენდია ცნობილ ნუმიზმატს ე. პახომოვს და გამომდგარა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის ვერცხლის დენარი¹. როგორც ე. პახომოვი ერთს თავის წერილში მატყობინებს, ამ დენარის ცალ გვერდზე არის წარწერა: *Caius Vibius Pansa* და მოკრილია 90 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე².

ფულზე კარგად არის გამოსახული აპოლონის თავი და ნათლადაა წარწერა *PANSA*. ასე რომ ამ ფულის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს იალოილუ-თათას კერამიკის დათარიღებისათვის და, მაშასადამე, ალაზნის ველის ნაშთების დათარიღებისთვისაც, ვინაიდან ისინი ერთისა და იმავე დროისანი არიან.

ალაზნის ველის კერამიკის დასათარიღებლად სხვათა შორის საყურადღებოა აგრეთვე ე. სკინდერის გათხრები კიროვაბადის მახლობლად მდებარე ყურღანებისა, სადაც მან აღმოაჩინა ალიზით აშენებული სამარეები (*сырцовые могилы*) ალაზნის ველის კერამიკის მონათესავე ქურქლითა და სხვა ნივთებით³. ხოლო ამ ალიზით ნაშენებ სამარეებში გ. როზენდორფმა⁴ აღმოაჩინა ადამიანის ერთერთ ქვემოყბის ძვლის ქვეშ რომაული ფული სპილენძისა¹.

ამავე ალიზით ნაშენებ სამარეებში 1937—8 წ.წ. ი. ჰუმელმა აღმოაჩინა კიროვაბადის მიდამოებში ალაზნის ველის კერამიკის მონათესავე ქურქელი (ტიპ. II), თავებგახსნილი და თანაც თავებმსხვილი ბრინჯაოს სამაჯურები ალაზნის ველის სამაჯურის ტიპისა და არშა-

¹ Е. А. Пахомов, Статуэтка из Момла-Исаклинского сельишша и ее датировка. Известия Азербайджанского Филиала Академии Наук СССР, Баку 1936, стр. 23—24.

² Babelon E. Descr. hist. et chron. des monn. de la Rep. Rom., t. II, Paris 1886, p. 537 და შემდ.

³ А. С., Некоторые Закавказские могильники. Известия Археологической Комиссии. Вып. 29, С. Петербург 1909, стр. 6, рис. 67—72.

В. А. Скнядер, Опыт археологической разведки, Пятигорск 1906.

⁴ Раскопки Г. О. Розендорфа, Отчет Археологической Комиссии за 1903 г. Санкт-Петербург 1906, стр. 97. ამ ფულს იხსენიებს А. С. თავის წერილში: „Некоторые Закавк. могильн.“ (გვ. 17) და დასძენს, რომ შორვანი, რომელიც იცნობს ასეთ საფლავებს მცირე აზიაში, აკუთვნებს ელამიტურს (Morgan, Recherches archéologiques. Fouilles à Suse, ტ. I, გვ. 114).

კიდეების დრაქმები ფრასტა III-ის (70—57 წ. ჩვენს წ.-აღრ.) და ოროდ I-ის (57—38/37 წ. ჩვენს წ.-აღრიცხ.)¹.

საყურადღებოა აგრეთვე სამთავროს აღმოჩენებიც. სამთავროს ერთერთ საფლავში, სადაც კუბოდ ხმარებული იყო ქვევრი, აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხთან ერთად ალაზნის ველის კერამიკის მეორე ტიპის ქურკელი და პართული ფული ოროტისა (პირველი საუკუნის მეორე ნახევარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე).


ასე რომ ალაზნის ველზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნაშთები უკვე არსებობდა, როდესაც ხმარებაში იყო პირველი საუკუნის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ფულები. ამიტომ ალაზნის ველის კულტურაც უნდა მიეკუთვნოს ჩვენი წელთაღრიცხვის წინა და დასაწყისის პირველ საუკუნეებს.

ამავე თარიღზე გვეუბნება ის გარემოებაც, რომ ალაზნის ველის არქეოლოგიურ გათხრებში მოიპოვება მეტად უმნიშვნელო რაოდენობის ბრინჯაოს ნივთები და ისიც სამკაულების სახით. ბრინჯაოს იარაღი, როგორც სამუშაო, ისე საომარ-სანადირო სრულებით არ არის წარმოდგენილი უბრალო ისრის წვერებითაც კი, არც ჩვენ მიერ გათხრილ ადგილზე და არც სხვა ადგილებში, სადაც კი აღმოჩენილია ალაზნის ველის ნაშთების ახლო მონათესავე ძეგლები. სამაგიეროდ დიდის რაოდენობითაა კარგად განვითარებული რკინის იარაღი: შუბის წვერები, დაშნა, დანები და სხვა, რომლებიც ამავე დროისათვის დამახასიათებელი არიან. დამახასიათებელი არის აგრეთვე ამავე დროისათვის თავებგამსხვილებული და ერთიმეორეზე თავებგადადებული ბრინჯაოს სამაჯურები, მძივები და სხვა წერილი სამკაულები, რომლებიც მოგვცა ალაზნის ველმა.

ალაზნის ველის კულტურის გავრცელების არე

ალაზნის ველის არქეოლოგიური განათხარი ნაშთები საერთოდ გვეუბნება, რომ მათი და მათდაგვარი თიხის ქურქლის გავრცელების არე, ჯერ-ჯერობით მოპოვებული მასალების მიხედვით, უმთავრესად უნდა მიეკუთვნოს მტკვრის აუზის საშუალო და ქვემო ნაწილებს (იხ. ალაზნის ველის კულტურის ნაშთების გავრცელების რუკა, გვ. 93), რომელთა საზღვარი დასავლეთით უნდა ვიანგარიშოთ თბილის-სამთავრო, ხოლო აღმოსავლეთით ჩუხურ-იურთა და ჯეირან-ქეჩმა. ამ დიდს ტერიტორიაზე ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ სამი რაიონი, სადაც უფრო ხშირად და ერთიმეორესთან უფრო ახლოს გვხვდება

¹ ამ ახალი აღმოჩენების შესახებ ცნობები და სურათები მომაწოდა ი. ჭუ-შელმა, რისთვისაც მას მადლობას ვუცხადებ.



ალაზნის ველის კერამიკის გაფრცედილების რუკა. იხ. შენიშვნა, გვ. 94

ხოლმე ამ კერამიკის ნაშთები. ეს რაიონები არის: ა) ალაზნის მიმდინარეობის გარშემო მდებარე ადგილები კახეთის ფარგლებში, ბ) მტკვრის საშუალო მიმდინარეობის მარცხნივ მდებარე ადგილები ალაზნის შესართავს ქვემოთ და ც) მტკვრისა და არეზის შესართავიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მილისა და ზულანის ველები. ეს სამი რაიონი ერთიმეორისაგან გათიშული არაა. მაგალითად, პირველსა (ა) და მეორე (ბ) რაიონს აკავშირებს ამირჯანლუ, მეორესა და მესამეს (ც) აახლოვებს ჯეირან-ქეჩმა. ცხადია, რომ ჩვენი რუკა არ იძლევა ნამდვილ სურათს ალაზნის ველის კულტურის გავრცელების არისას; ვინაიდან რუკაზე აღნიშნულ ადგილებში თითქმის ყველგან სრულიად შემთხვევით აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი და სისტემატური არქეოლოგიური გათხრები გარდა რამდენიმე გამონაკლისისა არ ჩატარებულა¹. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალაზნის ველის კულტურის ნაშთების აღმოჩენა მოსალოდნელია ყველგან მტკვრის აუზის საშუალო და ქვემო ნაწილებში შემავალ სხვადასხვა ადგილას და აგრეთვე მტკვრისა და არეზის შესართავიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ველებზე.

დაგროვილი მასალების მიხედვით ჯერ-ჯერობით შეიძლება ითქვას, რომ ალაზნის ველის კულტურა უმეტეს წილად გავრცელებული ყოფილა ალბანეთის ტერიტორიაზე.

ალაზნის ველის კერამიკის ბავრცელაზის ზეგანი

ალაზნის ველის კერამიკას საკმაო რაოდენობით მოეპოვება ანალოგები წინააზიაში და მისი პროტოტიპები განსაკუთრებით ადგილი გასარჩევი ხდება მცირე აზიის ადგილებში, საიდანაც ისინი გავრცელებულან სხვადასხვა ქვეყნებში და კერძოდ ამიერ-კავკასიაში.

არსებული მეტად მცირე არქეოლოგიური განათხარი მასალის მიხედვით ძნელია გარკვეულად თქმა იმისა, თუ რა გზებით ანდა როგორ ვრცელდებოდა წინააზიის კერამიკის სხვადასხვა ტიპე-

¹ აღმოჩენის ადგილები რუკაზე აღნიშნულია წერტილებით:

1. ალაზნის ველი; 2. სოფ. კიაური; 3. ჩუმლაყი; 4. თბილისი; 5. სოფ. ანთოკი; 6. სოფ. წინანდალი; 7. ალაზნის პირი; 8. სოფ. ანაგა; 9. სოფ. პატარძელი; 10. ძველი გავაზი; 11. სოფ. ქვემო-ხოდაშენი; 12. გურჯაანი; 13. სოფ. იყალთო; 14. სამთავრო; 15. ნაჯი; 16. იალოილუ-თაფა; 17. ამირჯანლუ; 18. ყურუ-ყობა; 19. გეოქ-თაფა; 20. მილის ველი (ოირან კალა); 21. ზულანის ველი (ყარად ომლი); 22. დეგმე-დერე; 23. მოლლა-ისაკლი; 24. მინგეჩაური; 25. ჯეირან-ქეჩმა; 26. ჩოხურ იურტა.

ბი კავკასიისაკენ ანდა როგორ ახდენდნენ ისინი გავლენას კავკასიის იმდროინდელ თიხის ქურქელზე. ამიტომ ჯერ-ჯერობით ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ზოგიერთი ფაქტების კონსტანტირებით და შესაფერი დასკვნებიდან ჯერ კიდევ თავი უნდა შევიკავოთ, სანამ ჩვენს განკარგულებაში არ იქნება უფრო მეტი თვალსაჩინო არქეოლოგიური მასალა.

დღეს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნათ, რომ ალაზნის ველის კერამიკისა და მასთან მჭიდრო ნათესაურ კავშირში მდგომი თიხის ქურქლის გავრცელების გზებს მილისა და მულანის ველებისაკენ მივყავართ და შემდეგ ისინი სამხრეთისა და დასავლეთისაკენ მიიმართვიან, სადაც უკვე „წინაისტორიულ“ დროში არსებობდნენ მათი პროტოტიპები. ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ ალაზნის ველის კერამიკა ამიერ-კავკასიიდან წინააზიაში გავრცელდა, პირიქით, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ, ვინაიდან ალაზნის ველის კერამიკის ახლო მონათესავე წინააზიის თიხის ქურქელი ბევრად უფრო ძველი დროისაა ვიდრე ალაზნის ველისა, ამიტომ ალაზნის ველის კერამიკის მთავარი ტიპები შემოსულია წინააზიიდან მულანისა და მილის ველების მხრიდან. ასეთი დასკვნა, ცხადაა, არ არის საბოლოო, ვინაიდან ამ ადგილებში ჩვენ კიდევ არ გვაქვს ჩატარებული სისტემატური არქეოლოგიური გათხრები და არც ვიცით მთლიანად ალაზნის ველის კერამიკის გავრცელების ზუსტად შემოფარგლული ტერიტორია. ჩვენ ამას ვაპბობთ მხოლოდ ჯერ-ჯერობით არსებული მასალის მიხედვით. ჩვენ არ შეგვიძლია აგრეთვე ჯერ-ჯერობით რაიმე ვთქვათ, თუ ვინ იყო ალაზნის ველის კერამიკის მქონე ხალხი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ კერამიკის მქონე ხალხს დიდი კავშირი ჰქონდა წინააზიის მცხოვრებლებთან და კერძოდ მცირე აზიასთან. ამას გვეუბნებიან არა მარტო კერამიკული ნაწარმნი, არამედ სხვა ნივთებიც სამკაულის სახით, მაგალითად, ტოპაზის მძივები, ბრინჯაოს სამკაულები, რომელთა შემადგენლობაში დიდის რაოდენობითაა ანთიმონი და სხვა.

ახლა, თუ რომ ალაზნის ველის კერამიკას ჩვენ საერთოდ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ამ კერამიკის მქონე ხალხს კარგად ჰქონდა განვითარებული მიწათმოქმედება, იცოდნენ ვაზის მოვლაც, რაზედაც მიგვითითებს მთელი რიგი სხვადასხვა სახის საღვინე ქურქელი.

მიწათმოქმედებაზე მიგვითითებენ თიხის ქურქლის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ისეთი ფორმები, მაგალითად, მეტად გრძელნისკარტიანი ხელადები, სამფეხიანი თეფშები, მალალფეხიანი ბარძი-

მები, მილნისკარტიანი თუნგულები და სხვა, რომლებსაც მეჯოგეობის მიმდევარი ხალხი ძნელად თუ გამოიყენებდა. ყოველ შემთხვევაში, მათთვის შეუფერებელი იქნებოდა ასეთი ქურქელი ყოველდღიური პრაქტიკული გამოყენების მიზნით.

მიწათმოქმედებაზე მიგვითითებს აგრეთვე დიდი რაოდენობა და მრავალსახიანობა თიხის ქურქლისა კარგად განვითარებული 'კონსტრუქტული ნაწილებით და მთელი რიგი ქურქლის ისეთი სახეები, რომლებიც მხოლოდ მიწათმოქმედი ხალხისათვის იყო აუცილებელი და თანაც პრაქტიკულად გამოსადეგი.

ჩვენ როდესაც ვამბობთ, ალაზნის ველის კერამიკის მქონე ხალხი იყო მიწათმოქმედი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მესაქონლეობასაც არ მისდევდნენ. საამისო პირობები, რასაკვირველია, მათ ჰქონდათ და ამის ნიშნებიც მოიპოვება, მაგრამ მიწათმოქმედებამანც მათთვის იყო მთავარი საარსებო წყარო ცხოვრებისა. ამას ნათლად ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები ალაზნის ველისა-

РАСКОПКИ В АЛАЗАНСКОЙ ДОЛИНЕ

Резюме

В 1937 году ИЯИМК произвел археологические раскопки в Алазанской долине с целью обнаружения и изучения так называемой культуры „Ялойлу-Тапа“, которая по археологическим раскопкам не была известна на территории ССР Грузии.

Раскопки велись на правом берегу реки Алазани у „подножия“ села Архилос-Кало, где было раскопано семь могил (рис. 1) с довольно богатым инвентарем и обследован целый ряд могил, сильно поврежденных при земляных работах головного сооружения Алазанского водопровода.

Могилы все были грунтовые и лежали на глубине до двух метров от поверхности земли. Видно было, что покойников хоронили в скорченном положении вместе с глиняной посудой, разного рода украшениями, а иногда и оружием.

Предметы могильного инвентаря сделаны были из бронзы, железа, глины, стекла, сердолика и пр. Из бронзовых предметов следует отметить браслеты с раскрытыми и заходящими друг на друга концами (таб. XI, рис. 1), кольца маленького размера (таб. XIII g, h), бусы (таб. XIII d), колокольчик (таб. XI i) и пр. Из железных предметов отметим дугообразно изогнутый нож (таб. XIII n), фрагменты длинного ножа (таб. XIII i), кольца (таб. XIII m) и др.

Бусы главным образом приготовлены были из пасты и стекловидной массы, хотя попадались, сделанные из сердолика (таб. XI e) и топаза (таб. XIII a).

Керамические изделия встречались, как красного так и черного цвета. У большинства сосудов поверхности лощеные. Гончарный круг применялся, но целый ряд сосудов сделаны от руки. Принимая во внимание форму сосуда, можно выделить следующие типы:

Тип I. Кувшин узкогорлый, отверстие круглое (рис. 10).

Тип II. Кувшин, имеющий отверстие в виде трилистника (рис. 11).

Тип III. Кувшин с коротким носиком и перегородкой для процеживания (рис. 13).

а) С длинным носиком и широко раскрывающимися краями отверстия (рис. 14).

б) Верхний край перегородки сливается с краями отверстия (рис. 15).

Тип IV. Кувшинчик с трубочкой (рис. 16).

Тип V. Фляга в виде кувшина (рис. 17).

Тип VI. Кувшин с узким горлом и двумя ручками (рис. 18).

а) С широким горлом (рис. 19).

Тип VII. Чаша с двумя ручками (рис. 20).

а) Края отверстия загибаются кнаружи (рис. 21).

б) С одной ручкой (рис. 22).

Тип VIII. Тарелка; верхний край загибается кнаружи; ручка „перпендикулярна“ к краю (рис. 23).

а) Верхний край суживается; ручка приделана горизонтально (рис. 24).

б) Венчик отогнут; ушко узкое и предназначено для подвешивания (рис. 25).

Тип IX. Тарелка на трех ножках (рис. 26).

Тип X. Горшечек (рис. 27).

Тип XI. Горшечек с ушком (рис. 28).

Тип XII. Чаша (рис. 29).

Тип XIII. Чара (рис. 30).

а) С двумя ушками. Края с шестью фестонами (рис. 31).

б) С резким перегибом в верхней половине (рис. 32).

Тип XIV. Чаша на высокой ножке (рис. 33).

а) Венчик широко раскрыт (рис. 34).

Тип XV. Чаша шаровидной формы, на трех ножках (рис. 36).

В пределах ССР Грузии сосуды, имеющие очень близкое родство с Алазанскими сосудами, найдены были в следующих местах:

Село Чиаури. Случайные находки, начиная с 1890 г. Шесть тарелок на трех ножках (тип IX) и один кувшин (тип I).

Чумлаки. При проведении Кахетинской железной дороги в местности Чумлаки, в 1913 г., во время земляных работ обнаружены были четыре кувшина (тип I), один кувшин типа II, три горшечка (тип X), тарелка (тип VII а), тарелка на трех ножках (тип IX), глиняная фляга (рис. 37), бронзовые и железные предметы. Заметно, что фляга из Чумлака имела прототипом кувшинчики типа I (рис. 38).

Тбилиси. Во время земляных работ при постройке Музея Грузии, в 1915 г., были обнаружены два кувшина типа II. Из Тбилиси известен также такого же типа еще один кувшин, найденный в 1932 г. близ Тб. гос. университета им. Сталина.

Село Антоки. Из этого села известны чаши типа VII и типа XII по одному экземпляру. Находки 1921 г.

Село Цинандали. В 1925 г. случайно были найдены одиннадцать кувшинов типа I, два кувшина типа II, три тарелки типа VII, горшечек с узкой трубочкой, три горшка типа X, два горшечка с ушками (тип XI), две фляги и др. предметы.

„Алазнис-Пири“. Под таким названием занесена в каталоге Музея Грузии местность, где в 1925 г. были случайно открыты кувшинчик типа IV и такого же рода бронзовый браслет, какой был найден в Алазанской долине. В этой же местности найдена чаша с двумя ушками (тип VII а), кувшин (тип I) и тарелка (тип VIII а).

Село Анага. Из этого села известны кувшинчик типа IV, горшечек типа X, кувшин с длинным носиком (тип III а), кувшин типа VI а, кувшин типа VI, три кувшина типа I, два кувшина типа II, чаша типа VII а, горшок типа XI и другие предметы, не связанные с этими находками.

Село Патардзеули. Найден горшечек типа X.

Село Дзвели-Гавази. Найден кувшинчик типа I.

Село Квемо-Ходашени. Кувшинчик типа I.

Гурджаани. Кувшинчик (тип I), две чаши (тип VII а и VII б), два горшечка (тип X), шесть тарелок на трех ножках (тип IX) и др. предметы. По близости Гурджаани найдены также кувшинчик типа I и кувшин с коротким носиком (тип II).

Село Икалто. Две фляги, подобные флягам из Цинандали и связанные с сосудами типов I, II, VII и пр.

Самтавро (Мцхета). Кувшин (тип II) и сосуды на трех ножках.

Вне пределов ССР Грузии мы имеем также сосуды однотипные с Алазанскими сосудами из Нижи, Ялойлу-Тапа, района Кировабада, Амирджанлу, Кури-Коба, Геок-Тапа, Ойран-Кала (Мильская степь), Карадомли (Муганская степь), Дегме-Дере, Молла-Исакли, Мингечаури, Джейран-Кечма и Чухур-Юрта (см. карту, стр. 93). Если мы представим схематически места находок, количество всех сосудов и отдельных типов (стр. 57), то убедимся, что больше всего сосудов было найдено в Алазанской долине, Цинандали, Ялойлу-Тапа и Нижи. Это и понятно, так как в этих местах (за исключением Цинандали) были проведены археологические раскопки, тогда как в других местах находки имели совершенно случайный характер. Мы убедимся также, что большинство сосудов приходится на кувшины с круглым отверстием (тип I, 38 экзempl.), затем идут кувшины с коротким носиком (типы II, IIa, 34 экз.), тарелки на трех ножках (тип IX, 32 экз.), чаши (типа VII, VIIa, VIIb, XII, 23 экз.), кувшинчики с длинными носиками, внутри которых перегородки с отверстиями (типы III, IIIa, IIIb, 17 экз.), горшечки (тип. X, 16 экз.), кувшинчики с узкой трубочкой (тип IV, 9 экз.), горшечки с ушками (тип XI, 9 экз.), чары (типы XIII, XIIIa и XIIIb, 7 экз.), чаши на высоких ножках (типы XIV, XIVa, 3 экз.), фляги (7 экз.), кувшины (типы VI, VIa, 6 экз.), тарелки (типы VIII, VIIIa, VIIIb, 6 экз.), кувшины (рис. 57, 5 экз.) и чаши на трех ножках (типы XV, XVa, 4 экз.). Таким образом получается, что большее число сосудов падает, именно, на такие сосуды, которые имеют практическое назначение (кувшины, тарелки на трех ножках, чаши и др.).

Общая характеристика керамики

а) Керамические изделия из Алазанской долины главным образом черного и красного цвета и были в употреблении в одно и то же время.

б) Состав глины черной керамики: 61,34% SiO_2 , 18,88% Al_2O_3 , 7,42% Fe_2O_3 , 4,43% CaO , 0,74% MgO , 0,83% SO_2 , влажность 1,75%, потеря при прокалке 4,28%.

Состав глины красной керамики: 68,85% SiO_2 , 14,78% Al_2O_3 , 7,91% Fe_2O_3 , 7,45% CaO , 0,74% MgO , 0,54% SO_3 , влажность 0,20%, потеря при прокалке 5,44%.

с) Красная керамика более пористая, чем черная.

д) На сосудах выведены окружности, ломанные и др. линии. Имеются также шишечки, вдавления и пр.

е) Большинство сосудов сделано на гончарном круге.

ф) За исключением трех маленьких горшочков все сосуды снабжены ушками.

г) Почти что у всех сосудов один конец ушка всегда соединяется с верхним краем сосуда.

h) Алазанская керамика имеет чересчур разнообразные формы и сложные пропорции.

и) Широко использованы конструктивные элементы.

j) Сосуды обжигались в печах.

к) Температура „спекания“ у черной керамики 1130°C, а у красной — 1160°C. Температура „плавления“ у черной — 1180°C, а у красной — 1200°C.

l) Различные температуры „спекания“ и „плавления“ между черной и красной керамикой указывает, что у черной керамики Al_2O_3 больше, чем у красной.

м) У красной керамики излом занозистый и жадно поглощает воду, что говорит нам об нормальном обжиге.

н) Черная керамика имеет много архаических элементов и по некоторым признакам можно догадаться, что она главным образом предназначалась для ритуальных целей.

о) Выступы на флягах (рис. 65 б, 39), имеющие декоративный характер, являются подражанием тех деревянных частей, которые имеются у кожаных „сосудов“ — бурдюков.

Рисунки 63 и 64 дают нам представление, как могли развиваться сложные формы керамических изделий Алазанской долины от более простых форм.

Бусы. Бусы из Алазанской долины, сделаны из гишера (таб. VI d), сердолика (таб. XI b), топаза (таб. XIII a), бронзы (таб. XIII d, VI k), а также из „пасты“, содержащей в большом количестве силикаты. Бусы, сделанные из „пасты“ легко ломаются; в изломе имеют бледный блеск. Термические опыты (в особенности температуры „спекания“ и

„плавления“) говорят, что эти бусы имеют свойства стекловидной массы.

Бронза. Анализ бронзовых предметов показал, что браслеты (таб. XI I, m) имеют 78,88% Cu, 7,88% Sn, 8,88% Pb, 0,94% Al, 0,38% Fe и 3,04% Sb. Бусы (таб. XIII d) состоят из следующих компонентов: 88,10% Cu, 4,99 Sn, 1,92% Pb, 1,26% Al, 0,58% Fe, 3,15% Sb, а состав бронзы колокольчика (таб. XI i) 87,20% Cu, 4,77% Sn, 0,40% Pb, 0,48% Al, 0,15% Fe, 7% Sb. Из анализа видно, что большой процент (8,88) свинца имеет состав бронзы браслета, а колокольчик в большом количестве (7%) содержит антимоний.

Связь Алазанской керамики с керамикой других местностей

Керамика Алазанской долины находится в близком родстве с керамикой Передней Азии и местностями, лежащими в восточной части Средиземного моря. Так, например, центром происхождения сосудов с носиками и ситом можно назвать Малую Азию, где они были еще известны за 2.200 лет до нашей эры (H. Frankfort, Kleinasien, M. Ebert RL, B. XIV, S. 79, Berlin 1929). Сосуды с носиком и ситом употреблялись, как для питья воды, так и для питья других напитков (напр. вина и пива). Алазанские сосуды с носиками стоят в близкой связи с такого же рода сосудами, найденными в Малой Азии и Палестине-Сирии и, несомненно, находятся под их влиянием, хотя с течением времени внешняя их форма и некоторые конструктивные элементы подверглись значительным изменениям применительно к местным условиям и потребностям. Поэтому наши сосуды значительно разнятся от своих „прототипов“. Сосуды с носиками и теперь имеют широкое распространение, но они сильно расходятся от своих исходных древних форм.

Тарелки на трех ножках тоже имеют свои прототипы в Передней Азии, именно, в Малой Азии, где они были известны еще в древнейшие времена.

Алазанские тарелки на трех ножках совершенно нельзя отличить от таких же тарелок на трех ножках, найденных в

Tépe-Sialk, (рис. 67, Syria, tome XVI, fascicule 3, Paris 1935, pL. XLI).

Алазанские шарообразные сосуды (рис. 35), которые сходны с троянскими сосудами на трех ножках (рис. 69а), скорее всего имели культово-ритуальное значение, чем бытовое. Во всяком случае для ежедневных практических надобностей они были бы совершенно не подходящи и не целесообразны.

Вазы на высоких и низких ножках тоже имеют параллели среди древних керамических изделий, найденных, как в Закавказьи, так и в других местах (напр. Малая Азия, Эгейский мир).

Очень много аналогий имеют сосуды с трубочками для сливания жидкости (рис. 16). Такого рода сосуды были известны за 3.000 лет до нашей эры у шумерийцев (рис. 72 а).

Подобные сосуды были известны в Малой Азии, на острове Крите и пр.

Формы и отдельные части таких сосудов значительно варьируют, так что они нашли разностороннее развитие в Передней Азии и некоторые из них даже получили специальное название в роде „кападокийских чайников“ или кувшинов „с трубчатым носиком“, которые так хорошо были известны в Анатолии. Подобного рода кувшин „с трубчатым носиком“, найденный в Библосе (рис. 73а), стоит в близком родстве с кувшинами из Муганской степи (рис. 73б), Ялойлу-Тапа (Шарифов, рис. 17) и Нижи (рис. 73с). Можно думать, что кувшины „с трубчатым носиком“ проникли из Передней Азии в Муганскую степь и другие места восточного Закавказья (Ниж, Ялойлу-Тапа и др.).

Думается также, что Алазанский сосуд с трубочкой (рис. 16) тоже проник из Передней Азии в Закавказье.

Алазанские сосуды имеют и другие параллели среди керамических изделий Передней Азии. Так, например, кувшин с двумя ушками (рис. 74а), относящийся к „поздне-хеттскому“ времени (приблизительно к XI веку до нашей эры) и найденный в Северной Сирии, имеет тесное родство с кувшином из Алазанской долины (рис. 74б), как по своей форме, декоративным мотивам, так и по технике обработки и пр.

Горшочек с ушком из Алазанской долины (рис. 28) имеет близкую аналогию с горшечком из Передней Азии, найденным в Kul-téré (хеттская полихромная керамика). Сходство этого Алазанского сосуда с сосудом из Kul-téré не только по форме, но и по устройству ушка (Céramique Cappadocienne, II, pl. 31, fig. 122).

Можно было, конечно, наметить еще целый ряд других аналогий между Алазанскими керамическими изделиями и керамикой Передней Азии, но из приведенных уже аналогий ясно, какое большое родство имеет Алазанская керамика с керамикой Передней Азии. Правда, Алазанские и Передне-Азиатские сосуды не относятся к одному и тому же времени (Алазанская керамика более поздняя), но не удивительно, что древние формы керамических изделий на протяжении многих столетий сохранили свое существование, подвергаясь своеобразным изменениям. Археология знает много примеров, когда предметы материальной культуры, имеющие одни и те же формы были известны, как в „доисторические“, так и в „исторические“ времена.

К хронологии

Керамические изделия из Алазанской долины и Ялойлу-Тапа относятся к одному и тому же времени.

